ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№159 (12 229)
9 ივლისი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი




ქოქუა ბულგარეთთან მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო (22 ქულა)

კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. U 20

## საქართველო ელიტაში რჩება

საქართველოს 20-წლამდელ კალათბურთელთა ნაკრებმა იტალიასა და სლოვენიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე მცირე სასწაული მოახდინა. მოდით, ნუ გამოვეკიდებით იტალიასთან ჩაგდებულ თამაშს და ბულგარეთთან ბენვის ხიდზე გავლას. ჯერ ერთი, შარშანდელის შემდეგ, გვარიანად გადახალისებული გუნდისგან ამდენსაც არ ველოდით და მეორეც: იტალია ხომ ობიექტურად ჩვენზე ძლიერია. ამას გარდა, ბულგარეთთან მატჩის წინ, მთავარი მიზანი, ანუ ელიტაში დარჩენა, უკვე მიღწეული გვქონდა. მოკლედ, ისლა დაგვრჩენია, დავტკბეთ ევროელიტაში ყოფნით და მომდევნო ეტაპზეც, ჩვენს ოცწლამდელებს შეძლებისდაგვარად წარმატებით თამაში ვუსურვოთ...

ვრცლად 11

## კალაძე მილიტოს ალტერნატივაა?

### თუ ბარსამ არგენტინელი ვერ იყიდა, მილანს ქართველი მცველისთვის შეუტევსო

როგორც ესპანური "მარკა" იტყობინება, "სარაგოსა" და "ბარსელონა" ახლოს არიან შეთანხმებასთან, რომლის ძალითაც არგენტინელი მცველი გაბრიელ მილიტო კარიერას ესპანურ გრანდში გააგრძელებს. ფეხბურთელმა კატალონიელებთან პერსონალური საკითხები უკვე მოაგვარა, ახლა კლუბები უნდა მორიგდნენ. "ბარსელონა" მილიტოში 16 მილიონ ევროს იძლევა, "სარაგოსა" კი 18 მილიონს ითხოვს. ჩვენთვის, სწორედ ეს ორმილიონიანი სხვაობაა საინტერესო: "თუკი კლუბები ვერ შეთანხმდებიან, "ბარსელონა" ყველა ღონეს იხმარს, რათა "მილანიდან" კახა კალაძე გადაიბიროს. კატალონიელთა სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი მილიტოს ვარიანტის ჩავარდნის შემთხვევაში, სათადარიგოდ კალაძის და ანდრადეს ტრანსფერს განიხილავს" - წერს ესპანური გაზეთი. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ანდრადე უკვე შეუთანხდა "იუვენტუსს". გამოდის, რომ მილიტოს ალტერნატივად კალაძე რჩება...

ნიკოლოზ ნეფარიძე





გაბრიელ მილიტო

საქართველოს ახალი ჩემპიონატის პირველ ტურში: ოლიმპი–დინამო
კალენდარი მისტერ X-ით და თარილების გარეშე 2

ბრაზილიამ კვლავ დრო ითხოვა
არგენტინის ახალგაზრდული ნაკრები თბილისში? 3

გაფრინდა თუ არა იმედაშვილი სატურნზე?
მარცვალაძე კიევის დინამოში რჩება 2

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE



## 9 მილიონი ევრო წელიწადში!

### რეალმა კაკას ზღაპრული პირობები შესთავაზა

### რაული და დეკუ ნიუკასლში?

მსოფლიო ფეხბურთის ამბები 6-10




## ქართული სპორტის რეზერვი საიმედოა!

დასკვნითი რეპორტაჟი ტრაბზონიდან 11

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# შოთა გლადბახმა და ბარიმ მიიწვიეს

34 წლის **შოთა არველაძე** "ალკმაარში" მოგვიანებით, 10 ივლისს ჩავა, გუნდმა კი სეზონისწინა სამზადისი 5 ივლისს დაიწყო. შოთა მანამდე შემოთავაზებებს ელის სხვა კლუბებიდან და რამდენიმე წინადადება უკვე მიიღო.

არველაძეს ჯერ მიონხენგლადბახის "ბორუსია" დაუკავშირდა. წლეულს "გლადბახი" ბუნდესლიგიდან გავარდა და დამდეგ სეზონში იქ დაბრუნებას შეეცდება. შეთავაზება მეორე - იტალიური "ბარი". ეს გუნდი 2006-07 წლების სეზონის სერია B-ში მე-13 ადგილზე გავიდა. გაურკვეველია, რა მიზნები ექნება მომდევნო სეზონში, თუმცა არველაძეს აყვანით კი დაინტერესდა. შოთამ ამ ორივე შემოთავაზებაზე უარი თქვა და გადაწყვიტა, რომ სეზონისწინა სამზადისს "ალკმაარში" დაიწყებს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დამდეგ სეზონს აუცილებლად "ალკმაარში" ითამაშებს - სატრანსფერო ფანჯარა 1 სექტემბრამდე ღიაა.

ამასობაში, ალკმაარელთა დამრიგებელმა **ლუი ვან გაალმა** პრესკონფერენცია გამართა და სხვათა გარდა, ჩვენებურზეც ისაუბრა. *"არველაძემ ჩვენთან ორი ჩინებული სეზონი ითამაშა და არ გვინდა, მას ხელი შევუშალოთ, სხვა ქვეყანაში გააგრძელოს თამაში. ყოველთვის ვამბობთ, რომ ის ჩვენს გუნდში საუკეთესო ფეხბურთელია, თუმცა არველაძეც არ მალავს, რომ უჭირს ამ დიდ დატვირთვებთან გამკლავება, რაც ბევრი მნიშვნელოვანი თამაშითაა გამოწვეული".*

შოთას მუხლის ქრონიკული ტრავმა წლობით აწუხებს და შემოთავაზებების გარდა, მისი მერმისი მუხლის მდგომარეობაზეც იქნება დამოკიდებული.

**დავით თავართქილაძე**


შოთა არველაძე


დავით იმედაშვილი

# იმედაშვილი სატურნელია?

## გოგუას წარმატებული ოპერაცია

რუსული საინფორმაციო სააგენტოები **დავით იმედაშვილის** რამენსკოეს "სატურნში" გადასვლას ადასტურებენ. გუშინ "გაზეტა" წერდა: *"რამენსკოელებმა კონტრაქტი გააფორმეს კიევის "დინამოს" ქართველ მცველ დავით იმედაშვილთან. ეს ფეხბურთელი უკრაინელთა ძირითადში იშვიათად ხვდებოდა, შეუძლია დაცვის ცენტრსა და მარცხენა ფლანგზე თამაში. ადრე დაიწერა, თითქოს ფეხბურთელი გასინჯვაზე იმყოფებოდა, მაგრამ იტალიური სააგენტო "ტოტომერკატო" ამტკიცებს, რომ ქართველის "სატურნში" გადასვლა გადაწყვეტილი საქმეა. ეს "სატურნის" მეორე ტრანსფერია. მანამდე რამენსკოელებმა მოსკოვის "ლოკომოტივიდან" დმიტრი ლოსკოვი დაიმატეს".*

სააგენტოები კი ამტკიცებენ, ტრანსფერი შემდგარიაო, მაგრამ თავად "სატურნის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე ჯერ ქართველზე სიტყვაც არ დაუძრავთ. მხოლოდ ერთხელ ეწერა, რომ გუნდში საქართველოს ნაკრებში ნათამაშებ მცველს ელიან. მერე **ოთარ მარცვალაძემ** გვითხრა, რომ დათომ ავსტრიაში გუნდს ჩააკითხა და ვარაუდით დავასკვენით, რომ მან პოლონეთის ჩემპიონ "ზაგლემბესთან" ითამაშა. ამ შეხვედრაში ყველა გასასინჯმა ფეხბურთელმა ითამაშა - ეს უკვე "სატურნის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე ეწერა. თუმცა, ასეთი უცნაური სახით ინფორმაცფ აქამდე მხოლოდ ლატვიური "ვენტსპილსის" ინტერნეტ-მისამართიდან გვახსოვდა - გვარის ნაცვლად ეწერა - "გასინჯვაზე მყოფი ფეხბურთელი".

თუმცა, ოფიციალური წყაროები ჯერ ინფორმაციას არ ადასტურებენ. რამენსკოელთა მთავარი მწვრთნელის, **გაჯი გაჯიევის** თქმით, ახალწვეული ჯერ მხოლოდ **ლოსკოვია**, დანარჩენების საკითხი კი არ გარკვეულაო.

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ **გოგიტა გოგუას** კი მიუნხენში მენისკის ოპერაცია წარმატებით გაუკეთეს - იუწყება "სატურნის" პრესსამსახური. როდის დაუბრუნდება 23 წლის ნახევარმცველი მოედანს, ჯერ უცნობია.

**მერაბ მამულაშვილი**

# მარცვალაძე დინამოში რჩება

**ოთარ მარცვალაძემ** უკრაინულ პრესასთან საუბარში განაცხადა, რომ "დინამოში" ვარჯიშის მიუხედავად, ჯერ არ იცის, სად გააგრძელებს კარიერას.

*"გუნდში ვვარჯიშობ, მაგრამ არ ვიცი, სეზონს სად დავიწყებ. დღეისთვის გუნდებს შორის მოლაპარაკება არენდის შესახებ მიმდინარეობს. უახლოეს დღეებში ყველაფერი მეცოდინება. თუმცა, "არსენალის" შემადგენლობაში საკონტროლო შეხვედრა ჩავატარე და საგოლე გადაცემაც გავაკეთე. მთავარ მწვრთნელ ალექსანდრ ზავაროვთან ჯერ არ მისაუბრია, პრეზიდენტ ვადიმ რაბინოვიჩს კი შევხვდი,"* - ამბობს მარცვალაძე.

გუშინ საღამოს კი ოთარმა "ლელოს" უთხრა, რომ "დინამოში" წლის ბოლომდე დარჩება. გუშინვე მან კიეველთა დუბლშემადგენლობაში ითამაშა და ორი გოლი გაიტანა.

**მერაბ მამულაშვილი**


ოთარ მარცვალაძე

ვიტ ჯორჯია

# სამოყვარულო ტესტი უკრაინამდე

დამდეგი სეზონის წინ თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" მეორე საკონტროლო მატჩი გამართა - მცხეთაში პირველ ლიგაში ჩაქვეითებული გორის "დილა" ისტუმრა და 3:0 მოიგო. გოლები **სახოკიამ, მაისაშვილმა** და **ლიპარტიამ** გაიტანეს.

ვიტელებმა პირველ ტაიმში ამ შემადგენლობით ითამაშეს: **ბედიაშვილი,- ჯაფარიძე, ლომაია, კვახაძე, პ. დათუნაშვილი, მელქაძე, გ. დაუშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, სახოკია, ლუჭაშვილი.**

მეორე ტაიმში **ნესტორ მუმლაძის** თერთმეტეული ასეთი იყო: **ლურზელეიშვილი, პირველი, კაიშაური, ინჯგია, ადამაძე, იმერლიშვილი, ძამუკაშვილი, კვილინიძე, ლიპარტია, მელქაძე, კლიმიაშვილი.**

ვიტელთა შორის ფორვარდი **გიორგი ბერიაშვილი** იმიტომ არ იყო, რომ გლანდების ოპერაცია გაიკეთა. ის გუნდთან ერთად ვარჯიშს დღეიდან შეუდგება.

მომდევნო ტესტმატჩს "ვიტ ჯორჯია" 14 ივლისს გამართავს საქართველოს მოყვარულთა ნაკრებთან. 16 ივლისს კი გუნდი უკრაინაში, სიმფეროპოლში გააგრძელებს მზადებას და სავარაუდოდ, 4-5 მატჩს გამართავს რუსულ-უკრაინულ გუნდებთან.

**დავით თავართქილაძე**

# საქართველოს XIX ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგის კალენდარი

## პირველი წრე

**I ტური**
მესხეთი-მგლები
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი-ამერი
ტორპედო-ბათუმი
ოლიმპი-დინამო
სიონი-X
ბორჯომი-მერანი

**II ტური**
მგლები-მერანი
X-ბორჯომი
დინამო-სიონი
ბათუმი-ოლიმპი
ამერი-ტორპედო
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი
მესხეთი-ზესტაფონი

**III ტური**
ზესტაფონი-მგლები
ლოკომოტივი-მესხეთი
ტორპედო-ვიტ ჯორჯია
ოლიმპი-ამერი
სიონი-ბათუმი
ბორჯომი-დინამო
მერანი-X

**IV ტური**
მგლები-X
დინამო-მერანი
ბათუმი-ბორჯომი
ამერი-სიონი
ვიტ ჯორჯია-ოლიმპი
მესხეთი-ტორპედო
ზესტაფონი-ლოკომოტივი

**V ტური**
ლოკომოტივი-მგლები
ტორპედო-ზესტაფონი
ოლიმპი-მესხეთი
სიონი-ვიტ ჯორჯია
ბორჯომი-ამერი
მერანი-ბათუმი
X-დინამო

**VI ტური**
მგლები-დინამო
ბათუმი-X
ამერი-მერანი
ვიტ ჯორჯია-ბორჯომი
მესხეთი-სიონი
ზესტაფონი-ოლიმპი
ლოკომოტივი-ტორპედო

**VII ტური**
ტორპედო-მგლები
ოლიმპი-ლოკომოტივი
სიონი-ზესტაფონი
ბორჯომი-მესხეთი
მერანი-ვიტ ჯორჯია
X-ამერი
დინამო-ბათუმი

**VIII ტური**
მგლები-ბათუმი
ამერი-დინამო
ვიტ ჯორჯია-X
მესხეთი-მერანი
ზესტაფონი-ბორჯომი
ლოკომოტივი-სიონი
ტორპედო-ოლიმპი

**IX ტური**
ოლიმპი-მგლები
სიონი-ტორპედო
ბორჯომი-ლოკომოტივი
მერანი-ზესტაფონი
X-მესხეთი
დინამო-ვიტ ჯორჯია
ბათუმი-ამერი

**X ტური**
მგლები-ამერი
ვიტ ჯორჯია-ბათუმი
მესხეთი-დინამო
ზესტაფონი-X
ლოკომოტივი-მერანი
ტორპედო-ბორჯომი
ოლიმპი-სიონი

**XI ტური**
სიონი-მგლები
ბორჯომი-ოლიმპი
მერანი-ტორპედო
X-ლოკომოტივი
დინამო-ზესტაფონი
ბათუმი-მესხეთი
ამერი-ვიტ ჯორჯია

**XII ტური**
მგლები-ვიტ ჯორჯია
მესხეთი-ამერი
ზესტაფონი-ბათუმი
ლოკომოტივი-დინამო
ტორპედო-X
ოლიმპი-მერანი
სიონი-ბორჯომი

**XIII ტური**
ბორჯომი-მგლები
მერანი-სიონი
X-ოლიმპი
დინამო-ტორპედო
ბათუმი-ლოკომოტივი
ამერი-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-მესხეთი

## მეორე წრე

**XIV ტური**
მგლები-მესხეთი
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი
ამერი-ლოკომოტივი
ბათუმი-ტორპედო
დინამო-ოლიმპი
X-სიონი
მერანი-ბორჯომი

**XV ტური**
მერანი-მგლები
ბორჯომი-X
სიონი-დინამო
ოლიმპი-ბათუმი
ტორპედო-ამერი
ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი-მესხეთი

**XVI ტური**
მგლები-ზესტაფონი
მესხეთი-ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია-ტორპედო
ამერი-ოლიმპი
ბათუმი-სიონი
დინამო-ბორჯომი
X-მერანი

**XVII ტური**
X-მგლები
მერანი-დინამო
ბორჯომი-ბათუმი
სიონი-ამერი
ოლიმპი-ვიტ ჯორჯია
ტორპედო-მესხეთი
ლოკომოტივი-ზესტაფონი

**XVIII ტური**
მგლები-ლოკომოტივი
ზესტაფონი-ტორპედო
მესხეთი-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-სიონი
ამერი-ბორჯომი
ბათუმი-მერანი
დინამო-X

**XIX ტური**
დინამო-მგლები
X-ბათუმი
მერანი-ამერი
ბორჯომი-ვიტ ჯორჯია
სიონი-მესხეთი
ოლიმპი-ზესტაფონი
ტორპედო-ლოკომოტივი

**XX ტური**
მგლები-ტორპედო
ლოკომოტივი-ოლიმპი
ზესტაფონი-სიონი
მესხეთი-ბორჯომი
ვიტ ჯორჯია-მერანი
ამერი-X
ბათუმი-დინამო

**XXI ტური**
ბათუმი-მგლები
დინამო-ამერი
X-ვიტ ჯორჯია
მერანი-მესხეთი
ბორჯომი-ზესტაფონი
სიონი-ლოკომოტივი
ოლიმპი-ტორპედო

**XXII ტური**
მგლები-ოლიმპი
ტორპედო-სიონი
ლოკომოტივი-ბორჯომი
ზესტაფონი-მერანი
მესხეთი-X
ვიტ ჯორჯია-დინამო
ამერი-ბათუმი

**XXIII ტური**
ამერი-მგლები
ბათუმი-ვიტ ჯორჯია
დინამო-მესხეთი
X-ზესტაფონი
მერანი-ლოკომოტივი
ბორჯომი-ტორპედო
სიონი-ოლიმპი

**XXIV ტური**
მგლები-სიონი
ოლიმპი-ბორჯომი
ტორპედო-მერანი
ლოკომოტივი-X
ზესტაფონი-დინამო
მესხეთი-ბათუმი
ვიტ ჯორჯია-ამერი

**XXV ტური**
ვიტ ჯორჯია-მგლები
ამერი-მესხეთი
ბათუმი-ზესტაფონი
დინამო-ლოკომოტივი
X-ტორპედო
მერანი-ოლიმპი
ბორჯომი-სიონი

**XXVI ტური**
მგლები-ბორჯომი
სიონი-მერანი
ოლიმპი-X
ტორპედო-დინამო
ლოკომოტივი-ბათუმი
ზესტაფონი-ამერი
მესხეთი-ვიტ ჯორჯია

თარიღები მალე დადგინდება; X-ის ნაცვლად კალენდარში სავარაუდოდ, ცხინვალი ჩაიწერება.

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო. საკონტროლო მატჩი

# დღეს, კარლ ცაისთან...



რომან დობეში

**როტ ვაისი–დინამო 1:0**

1:0 როკენბახი (13. პენალტით)

დინამო: ლორია (46. ოვონო), შ. კაშია, ზელიჩი (46. გ. კაშია), კრშკო, ლობჟანიძე (46. თომაშვილი), დილმელაშვილი (46. ხმალაძე), ოდიკაძე (73. ფირცხალავა), ვუკუე (46. ჯანაშია), ფეიქრიშვილი (72. სპასოევიჩი), მეებაშვილი (46. ხუციშვილი), აკირემი (46. ჟეფერსონი).

გერმანულ მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" მორიგი ამხანაგური-მატჩი შაბათს გამართა. დინამოელები ყოფილი გდრ-ის ქალაქ ერფურტში რეგიონალლიგაში მოასპარეზე "როტ ვაისს" დაუპირისპირდნენ.

ბუნებრივია, ერფურტელები ერთგულად ქომაგოდნენ თავიანთ გუნდს. თუმცა სტადიონზე ქართული დროშებიც ფრიალებდა. ადგილობრივ ქართველთა მცირერიცხოვანი ჯგუფი "დინამო, დინამოს" სკანდირებდა.

დინამოელებს მატჩის სტარტზევე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. **ზელიჩმა** და **ოდიკაძემ** ჩინებულად გაითამაშეს საჯარიმო, **მერებაშვილიც** კარგად მონახეს, მაგრამ ერფურტელთა მეკარემ რთული ბურთი მოიგერია. **დუშან უჰრინის** გუნდს შესვენებამდე საგოლე მომენტი აღარ შეუქმნია. კლუბი პრესატაშის, **გიგა გვენცაძის** თქმით, მე-13 წუთზე **ლორიას** კარში არბიტრმა მოგონილი პენალტი დანიშნა, რომელიც "როტ ვაისის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა **ტიაგო როკენბახმა** გოლად აქცია. იმავე როკენბახს კიდევ შეეძლო გატანა, მაგრამ ტაიმის მიწურულს მისი დარტყმული ძელმა აისხლიტა. მოგვიანებით ორივე გუნდის კარის ძელი თითოჯერ შეზანზარდა.

უფერული პირველი ტაიმისგან განსხვავებით, მეორე ნახევარი უფრო საინტერესოდ წარიმართა. გოლის გატანის შანსი **ჟეფერსონსა** და **გურამ კაშიას** ჰქონდათ, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. მატჩის შემდეგ, ერფურტელთა ბულგარელი მწვრთნელი **პაველ დოჩევი** "დინამოსთან" გამარჯვების გამო სიხარულს ვერ მალავდა.

უჰრინის გუნდი გერმანული შეკრების დასკვნით მატჩს დღეს, 9 ივლისს, იენის "კარლ ცაისთან" გამართავს. 26 წლის შემდეგ, "დინამო" და კარლ ცაისი" კიდევ ერთხელ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. შეგახსენებთ, რომ იენელთა გუნდში უკვე ჩაირიცხა რუსთავის "ოლმპის" უკვე ყოფილი მცველი **გიორგი ონიანი** და შესაძლოა, თბილისელთა წინაალმეგ **ფრანკ ნოიბარტის** გუნდში მანაც ითამაშოს.

### დობეში მოვიდა, ჟეფერსონი წავიდა, ოვონოს იტოვებენ

"დინამოს" გუშინ 29 წლის ჩეხი მცველი **რომან დობეში** შეუერთდა. მარცხენა მცველი დობეში ბოლოს ტრენჩინის "დუკლაში" ასპარეზობდა, მანამდე კი "ზლინსა" და "მოსტში" გამოდიოდა. რომან დობეშმა "დინამოს" შემადგენლობაში გუშინვე ივარჯიშა. დღეს კი ალბათ, იენის "კარლ ცაისთან" ითამაშებს. იენელთა წინაალმდეგ ვიხილავთ **სანდრო კობახიძესაც**, რომელიც ერფურტელებთან ამხანაგურ მატჩში არ გამოჩენილა, რადგან მას მწვრთნელებმა დასვენების საშუალება მისცეს.

ტესტირებაზე მყოფმა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **ჟეფერსონმა** გუნდი უკვე დატოვა. ჯერჯერობით, "დინამოს" ახალ ფეხბურთელებთან კონტრაქტები არ გაუფორმებია. თუმცა როგორც შევიტყვეთ, გაბონის ნაკრების მეკარე **დიდიე ოვონოს** დატოვება გადაწყვეტილი ამბავია. გასარკვევია კამერუნელი **რაიმონ ვუკუესა** და გაბონის ნაკრების ფორვარდის, **გეორგის აკირემის** საკითხიც.

დაბოლოს, "დინამოსა" და "კარლ ცაისს" შორის ამხანაგური მატჩი დღეს, რედონშტადტში, თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**



ინტერვიუ დავით თარგამაძესთან

# ფრაიბურგთან კონტრაქტს მალე გავაფორმებ

მეორე ბუნდესლიგაში ქართველთა ნავსაყუდელ "ფრაიბურგს" მალე იენის "კარლ ცაისი" შეცვლის, სადაც ერთბაშად ოთხი ჩვენებური ჩაირიცხება. მართალია, ალექსანდრე იაშვილი "კარლსრუეში" გადავიდა, თუმცა გერმანიაში ქართველთა გზამკვლევ გუნდში ჩვენიანები კიდევ არიან. ოთარ ხიზანეიშვილის გარდა, მალე ამ კლუბთან კონტრაქტს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მარჯვენა ნახევარმცველი დავით თარგამაძე გააფორმებს, რომელიც მალე 18 წლის გახდება.

თარგამაძე თებერვლიდან "ფრაიბურგის" მეორე გუნდში ვარჯიშობს, მაგრამ ასაკის გამო, პროფესიული კონტრაქტი ვერ გააფორმა - ფიფა 18 წლამდე მოთამაშეებს ასეთ გარიგებებს უკრძალავს. სწორედ ეს ყოფილა "ფრაიბურგის" ოფიციალურ ვებგვერდზე თარგამაძეზე ინფორმაციის არარსებობის მიზეზი. ჩვენი საუბარიც ამით დაიწყო:

- მე ჯერ კონტრაქტი არ გამიფორმებია. 18 წლისა მალე შევსრულდები და ხელს მერე მოვაწერ.

**- ეს დანამდვილებით შეგვიძლია გვითხრა?**

- "ფრაიბურგის" მენეჯერმა დარჩენა შემომთავაზა და დაინტერესდა, ეს იყო თუ არა ჩემი სურვილიც. ჩემს დატოვებას რომ არ აპირებდნენ, ნახევარი წელიწადი ბაზაზე არავინ გამაჩერებდა. აქამდე სტუდენტის სტატუსით ვვარჯიშობდი. ახლა რომ ჩავალ, სკოლაშიც ვისწავლი. გერმანული ნელ-ნელა ავითვისე, მაგრამ თავს ვერ დავდებ, რომ წყალივით ვლაპარაკობ.

**- "ფრაიბურგში" ფინკეს მიწვევით ჩაგრიცხეს და მისი წასვლით შენი გეგმები არ შეცვლილა?**

- ფინკესთან დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი. ასეთი საუბრებიც იყო, თითქოს "ციურიხში" მიდიოდა და ჩემი იქ წასვლა არ იყო გამორიცხული.

**- იქ სხვა მწვრთნელი დაინიშნა.**

- კი, მაგრამ თავიდან ფინკეს ინვევდნენ. მოკლედ, სადაც უკეთესად ვიქნები, იქ ვითამაშებ. თუმცა ფინკეს ქართველები ძალიან უყვარს და ბუნებრივია, მასთან მუშაობა მერჩივნა. ჩემთან დაკავშირებით "ფრაიბურგის" ახალი მწვრთნელის პოზიცია არც ვიცი. თუმცა ახლა "ფრაიბურგში" მივდივარ.

**- მართალია, თითქოს თბილისის "დინამოში" დაბრუნება შემოგთავაზეს?**

- იყო რალაც ლაპარაკი, მაგრამ გერმანიაში დარჩენა ვამჯობინე. აქ დიდი ფეხბურთისთვის მეტი პერსპექტივაა, ვიდრე საქართველოში.

**- საკუთარი მენეჯერი თუ გყავს?**

- მენეჯერი არა, მაგრამ ყველაფერში აჩიკო არველაძე მეხმარება. გამოცდილი კაცია და მირჩევს, რა და როგორ სჯობია.

**- პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირზე კარგად გითამაშია. ამის შემდეგ შენით არავინ დაინტერესებულა?**

- არავის არაფერი უთქვამს და თუკი ინტერესი არსებობს, ალბათ, "ფრაიბურგს" დაუკავშირდებიან.

**- დუბლებში ვარჯიშმა რა შეგძინა?**

- ბევრი რამ, რადგან ძლიერი გუნდია და მაგარი ვარჯიშებია. ათლეტურად გავიზარდე და ეს აშკარად დამეტყო. ძველებურად სუსტი აღარ ვარ. სხვათა შორის, იუნიორებმა სეზონი ძალიან შედეგიანად და წარმატებულად ჩაამთავრეს. ყველა ამბობს, რომ პერსპექტიული გუნდი გვყავს.

**- "ფრაიბურგისგან" რას ელოდები, რა პერსპექტივას ხედავ?**

- ელემენტარულად, ასეთივე პირობებში ვარჯიშს, გაზრდასა და პირველ ბუნდესლიგაში გადასვლას. მერე, ალბათ, ძირითად გუნდშიც გადამიყვანენ და ვითამაშებ. "ფრაიბურგში" ძალიან მეგობრული ვითარებაა, მწვრთნელებმა კარგად მიმილეს და ადაპტაციაში ხელი ყველანაირად შემიწყვეს.

**- გერმანიაში ბევრი ქართველია და ჩვენთვის უცნობი ფეხბურთელი ხომ არ თამაშობს?**

- გერმანიაში, კობლენცში რომ ვემზადებოდით, მაშინ ჰაინც ტოპმიოლერმა ჩვენთვის უცნობი ბიჭი ჩამოიყვანა და ნაკრებთან ავარჯიშა. რომელიღაც გერმანულ ლიგაში თამაშობსო და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მისი გვარი ვერ დავიმახსოვრე. გამიგია, რომ კლუბებში კიდევ არიან ჩვენიანები, მაგრამ არავის ვიცნობ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ამერისთვის სლავიაც ავია

ჩეხურ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "ამერმა" გასულ უქმეებზე ორი საკონტროლო მატჩი გამართა. ამერელები ჯერ "კლადნოს" გაეჯიბრნენ და 4:1 მოუგეს. გამბრინუსლიგის ამ გუნდს "ამერი" წლევანდელ ჩეხურ შეკრებაზე მეორედ შეხვდა - პირველ მატჩშიც "ამერმა" იმარჯვა 2:0.

"კლადნოსთან" მეორე დაპირისპირებაში "ამერის" შემადგენლობა ასეთი ჩანდა: **ნადირაშვილი, მჭედლიშვილი (63. ელბაქიძე), ხვადაგიანი (63. კობაური), კაკაშვილი(63. დიდავა), ჩიკვილაძე (63. დავითნიძე), შალამბერიძე (64. ჯელაძე, 83. დოლიძე), მესხი (59. დობროვოლსკი), დეკანოსიძე (59. ბოლქვაძე), ალავიძე (46. ვარდოსანიძე), ტატანაშვილი (58. დავითაშვილი), ცხადაძე (58. გოცირიძე).**

ამერელთაგან სამი გოლი **დიმიტრი ტატანაშვილმა** გაიტანა, ერთიც **გიორგი დეკანოსიძემ**.

გუშინ კი "ამერი" პრალაში იქაურ "სლავიას" გაეჯიბრა და 3:4 დამარცხდა. "სლავია" 2006-07 წლების ჩეხეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა. ამერელთაგან ორი გოლი **დავით ბოლქვაძემ** შეაგდო, ერთი დეკანოსიძემ. 83-ე წუთამდე ანგარიში 3:3 იყო. შეგახსენებთ, წინა კვირას "ამერმა" ჩეხეთის ჩემპიონ "სპარტასთან" 0:3 წააგო.

ამერი: **ქვაჩახია, კობაური (58. კაკაშვილი), დავითნიძე, დიდავა (68. მჭედლიშვილი), ელბაქიძე (60. ჩიკვილაძე), დოლიძე (64. შალამბერიძე), ბოლქვაძე (66. დეკანოსიძე), დობროვოლსკი (64. მესხი), ჯელაძე (58. ალავიძე), დავითაშვილი (55. ტატანაშვილი), გოცირიძე (64. ცხადაძე).**

"ამერს" პირველივე ჩეხურ შეხვედრაში "ლიბერეცთან" 19 წლის **რატი ნინამძღვრიშვილი** დაუშავდა. წინასწარი ინფორმაციით მას მენისკის ოპერაცია დასჭირდება. ასეთ შემთხვევაში ის დაახლოებით თვენახევარში უნდა მომჯობინდეს. ხოლო თუ ჯვარედინი იოგები აქვს დაწყვეტილი, სარეაბილიტაციო პერიოდი 6-7 თვე გასტანს.

მომდევნო მატჩს "ამერი" ჩეხეთში 11 ივლისს გამართავს "პლზენთან", მეორე დღეს კი საქართველოში დაბრუნდება.

**დავით თავართქილაძე**



დიმიტრი ტატანაშვილი

# ბრაზილიამ კვლავ დრო ითხოვა

## არგენტინა სეგრტის გუნდთან თბილისში?



პატარქალიშვილი ბრაზილიაში

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ 22 აგვისტოს ჩვენი ეროვნული გუნდი ლუქსემბურგის ნაკრებს სტუმრად დაუპირისპირდება. თუმცა ჯერაც გაურკვეველია, თუ რა ვითარებაა ბრაზილიასა და არგენტინასთან ამხანაგური მატჩების გამართვასთან დაკავშირებით. ბოლოს, ამ თემაზე საუბრისას ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** გვითხრა, რომ არგენტინელებმა ქართულ მხარისთვის მიუღებელი ფინანსური პირობები წამოაყენეს და ეს ვარიანტი ჩაიშალა. არგენტინასთან თბილისში წელს თამაში გამორიცხულია. ბოლო მონაცემებით, ბრაზილია თანხაზე გვევაჭრებოდა. როგორც ჩანს, ეს პროცესი კვლავაც გრძელდება.

"ბრაზილიურ მხარესა და პენტაკამპეონთა ამხანაგური მატჩების ექსკლუზიური უფლების მქონე კომპანიასთან მოლაპარაკებები გრძელდება. საუბარია 12 სექტემბერს თბილისში ამხანაგური მატჩის გამართვაზე. ბრაზილიელებმა 12 ივლისამდე, ანუ ხუთშაბათამდე გვთხოვეს მოსაფიქრებელი დრო და სხვა რა გზა გვაქვს, ჩვენც ველოდებით. თუმცა ჩვენი კავშირებით მაინც ვცდილობთ ბრაზილიელები ჩვენთვის მისაღებ ფინანსურ პირობებზე დავითანხმოთ", - განაცხადა "ლელოსთან" საუბარში **ნიკო პატარქალიშვილმა**, რომელიც სამხრეთი ამერიკის ქვეყნებში ჩვენი ფედერაციის წარმომადგენელი და ნდობით აღჭურვილი პირია.

ეროვნულის გარდა, ფედერაცია 21-წლამდელთა ნაკრებისთვის ამხანაგური მატჩების ორგანიზებაზეც მუშაობს. როგორც ირკვევა, **პეტარ სეგრტის** გუნდთან სათამაშოდ არენტინისა და სხვა ვარიანტები განიხილება.

"21-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ახალი შესარჩევი ციკლი დაიწყო. ესპანეთთან საშინაო მატჩის შემდეგ სეგრტის გუნდს 22 აგვისტოს, პოლონეთში უწევს თამაში. ჩვენს 21-წლამდელთა გუნდს აშკარად აქვს პოტენციალი და შეთამაშება სჭირდება. პოლონეთთან გასვლით მატჩამდე შესაძლებელია, 21-წლამდელებმა თბილისში ერთი ამხანაგური მატჩი გამართონ. 15 აგვისტოს თბილისში ამხანაგური მატჩის გამართვის წინადადებით არგენტინელებს უკვე მივწერეთ წერილი და მათ 21-წლამდელებს თბილისში ვეპატიჟებით. სარეზერვოდ განიხილება ბრაზილიის, მექსიკისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების 21-წლამდელთა ნაკრებების ჩამოყვანის საკითხიც. თუმცა, ჯერჯერობით, ველოდებით, თუ რა პასუხს მივიღებთ არგენტინიდან. კანადაში 20-წლამდე ასაკის ნაკრებებს შორის მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს. ეს გამორჩეული ნაკრებებიც იქ ასპარეზობენ და პასუხს მალე ვერ მივიღებთ, მაგრამ დაველოდებით", - თქვა პატარქალიშვილმა.

**დავით ცაბაძე**

გახსენი... ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. შეჯამება

# ზესტაფონი

## ადგილი ჩემპიონატში: 4

**ზესტაფონი**

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ჭანტურია (მეკ.) | 25 | 25 | -10 | 2 | - |
| ს. თოდუა | 25 | 25 | - | 5 | - |
| შ. ლონლაძე | 24 | 23 | 4 | - | - |
| იონანიძე | 24 | 18 | 11 | 2 | - |
| ბ. ნოზაძე | 24 | 16 | 1 | 2 | - |
| ფიფია | 23 | 21 | 12 | 2 | - |
| კ. ჩხეტიანი | 22 | 22 | - | 3 | - |
| გ. ჭელიძე | 22 | 21 | 9 | 2 | - |
| ნ. კვასხვაძე | 21 | 12 | 3 | 1 | - |
| საჯაია | 19 | 19 | 1 | 2 | - |
| ვიეირა | 16 | 15 | 3 | 3 | - |
| რ. ონიანი** | 12 | 12 | 2 | 3 | - |
| ჟონატასი** | 10 | 7 | 1 | 1 | - |
| ძამსაშვილი* | 10 | 5 | - | - | - |
| სანტოსი | 9 | 7 | 1 | - | - |
| ზ. გოცირიძე | 9 | 3 | 2 | - | - |
| განუგრავა* | 8 | 7 | - | 1 | - |
| კესანი** | 8 | 7 | - | 1 | - |
| თურმანიძე* | 8 | 5 | - | - | - |
| გ. ჩხეტიანი** | 8 | 5 | 2 | 1 | - |
| იმედაძე* | 6 | 2 | - | - | - |
| ლეანდრო** | 6 | 1 | - | - | - |
| ხიდეშელი | 5 | 4 | - | - | - |
| ბჟალავა* | 5 | 2 | - | - | - |
| ბენაშვილი | 5 | - | 2 | - | - |
| დოლონაძე** | 1 | 1 | - | - | - |
| რ. კვასხვაძე (მეკ.) | 1 | 1 | -1 | - | - |
| ჯანელიძე | 1 | - | - | - | - |

* - მხოლოდ პირველ წრეში
**- მხოლოდ მეორე წრეში



თემურ მახარაძე

„შარშან, ფაქტობრივად, ახალი გუნდის შენება დავიწყეთ, ამასთან ერთად, ჩემპიონატსა და თასზე მიზნად მაქსიმუმის მიღწევა დავისახეთ. ისე გამოვიდა, რომ თან გუნდს ვაყალიბებდით, თან მიზნისაკენ მივისწრაფოდით, რაც საქმეს ერთიორად გვირთულებდა. „ზესტაფონს" მე-5 ტურიდან ჩავუდექი სათავეში. ჩემი მისვლის შემდეგ გუნდს ჩემპიონატში თამაში არ წაუგია. პირველი წრე ძალიან მაღალ დონეზე ჩავატარეთ. 30 ქულა დავაგროვეთ, ლიდერ „ოლიმპს" მხოლოდ 2 ქულით ჩამოვრჩებოდით და ჩემპიონობის კარგი პერსპექტივა გვქონდა. სამწუხაროდ, მეორე წრეში სტაბილურობა დაგვაკლდა. თანაც, ძალიან რთული კალენდარი გვქონდა - ყველა ლიდერს სტუმრად ვეთამაშებოდით. მათთან შეხვედრებში ბევრი ქულა დავკარგეთ. ამას დაემატა „მერანსა" და „ჩიხურასთან" გაუთვალისწინებელი ფრეები და საბოლოოდ, მე-4 ადგილს დავჯერდით.

რომ არა ფატალური უიღბლობა „ზესტაფონს" ორივე ფრონტზე მეტის მიღწევა შეეძლო. თასის ფინალში გუნდი საკმაოდ კარგად გაისარჯა, მაგრამ ჩემპიონატის მსგავსად, იქაც იღბალმა გვაქცია ზურგი..."

"ზესტაფონს" ჩემპიონატსა და თასზე მაქსიმუმის მიღწევა სურდა, მაგრამ საბოლოოდ, წინა ორი სეზონის მსგავსად, ტიტულის გარეშე დარჩა. ფეროლებს მხოლოთ იმით შეუძლიათ ინუგეშონ თავი, რომ წინა სეზონზე უკეთესი შედეგი აჩვენეს. თუ „ზესტაფონი" მე-17 ეროვნულ ჩემპიონატში მე-5 იყო, წლეულს ერთი საფეხურით მაღლა აიწია და მეოთხე ადგილი დაიკავა.

იმერლებმა მძიმედ დაიწყეს, თუმცა მე-5 ტურიდან მოყოლებული, რაც გუნდში თემურ მახარაძე დაბრუნდა, ჩემპიონატში თამაში აღარ წაუგიათ. „ზესტაფონი" მთელი სეზონის განმავლობაში სოლიდურად გამოიყურებოდა, მაგრამ ფინიშის ხაზზე სტაბილურობა დაკარგა, რამაც შედეგზე უარყოფითად იმოქმედა. აუტსაიდერებთან რამდენიმე გაუთვალისწინებელი წაფორხილება რომ არა, მახარაძის გუნდი ჩემპიონობას თუ არა, ვერცხლის მედლებს მაინც გამოჰკრავდა ხელს.

ალბათ, „ზესტაფონს" ყველაზე უიღბლო გუნდის სტატუსი ეკუთვნის. ჩემპიონატში საპრიზო სამეულს მიღმა დარჩენას ისიც მოჰყვა, რომ გუნდმა წლეულს ზედიზედ მესამედ წააგო თასის ფინალი...

ყველაფრის მიუხედავად, „ზესტაფონი" კვლავ რჩება საქართველოს ერთ-ერთ წამყვან გუნდად. მის სიძლიერეს კლუბის მიზანმიმართული პოლიტიკა განაპირობებს. გუნდში ახალგაზრდა და გამოცდილი ფეხბურთელების სინთეზია. გარდა ამისა, „ზესტაფონს" ჰყავს საკმაოდ ძლიერი ლეგიონერები და თუ-კი ერთი-ორ გამოცდილ ფეხბურთელს კიდევ დაიმატებს, იმერული გუნდი მე-19 ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტი იქნება.

## თემურ მახარაძე
### მთავარი მწვრთნელი

### საუკეთესო მატჩი

„ზესტაფონმა" სეზონის განმავლობაში არაერთი კარგი შეხვედრა ჩაატარა და რომელიმეს გამოყოფა გამიჭირდება. განსაკუთრებით კარგად ვითამაშეთ „ვიტ-ჯორჯიასთან" (5:0), „სიონთან" (3:0), „ბათუმთან" (4:0) და პირველ წრეში თბილისის „დინამოსთან" (1:0). ამ შეხვედრებში „ზესტაფონმა" მაღალი დონის ფეხბურთი აჩვენა და საუკეთესოებად ეს მატჩები მიმაჩნია."

### ყველაზე ცუდი მატჩი

„მეორე წრეში საკუთარ კედლებში აუტსაიდერ „მერანთან" 1:1 ვითამაშეთ. ამ მატჩში შედეგიც ცუდი იყო და თამაშის ხარისხიც. არადა, ეს შეხვედრა რომ მოგვეგო, საპრიზო ადგილებისთვის გავაგრძელებდით ბრძოლას. „მერანთან" წაფორხილებამ საქმე გაგვირთულა და უკან დაგვხია."

### პლუსი

„ზესტაფონს" ადრე ძალიან უჭირდა გოლების შეგდება. რეალიზაციის დაბალი მაჩვენებელი ჩვენი მთავარი პრობლემა იყო. ამ ნაკლის გამოსასწორებლად დიდი სამუშაო გავწიეთ, რამაც კარგი შედეგი გამოიღო - გასულ ჩემპიონატში 55 გოლი გავიტანეთ და შედეგიანობის მხრივ, ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი გვქონდა.

პლუსი იყო ისიც, რომ ძალიან ცოტა ბურთი გავუშვით."

### მინუსი

„როცა მატჩი ჩვენთვის არასასურველი სცენარით მიმდინარეობდა, თამაშის შემოტრიალება ძალიან გვიჭირდა. თასის ფინალში ანალოგიური დაგვემართა - სანამ „ამერი" გოლს გაგვიტანდა, კარგად გამოვიყურებოდით, შემდეგ კი ავირიეთ და თამაში ვერა და ვერ დავალაგეთ... „ზესტაფონის" ყველაზე დიდი მინუსი სწორედ ეს იყო."




### ჩემპიონატის რჩეულნი

„ზესტაფონიდან" მთელი დაცვის ხაზსა და მეკარე გრიგოლ ჭანტურიას გამოვარჩევდი. ასევე კარგად ჩაატარეს სეზონი გოგი ფიფიამ და გიორგი ჭელიძემ. ძალიან კარგი დებიუტი ჰქონდა ახალგაზრდა ნიკა კვასხვაძეს, რომელიც გუნდისთვის საკვანძო ფიგურად იქცა. რაც შეეხება ჩემპიონატის რჩეულებს, აქ უპირველესად სანდრო იაშვილს გამოვყოფდი, მან დამსახურებულად მოიპოვა საუკეთესო ფეხბურთელის წოდება. მის გარდა, დავითაშვილს, გენაძეს, ტატანაშვილს, სეთურიძესა და გიორგი ონიანს დავასახელებდი."

### ზესტაფონი და ქომაგი

„ყველაზე მეტი დასწრება ზესტაფონის სტადიონზე იყო. ტრიბუნები თითქმის ყველა თამაშზე ივსებოდა. გულშემატკივრებისგან ძალზედ დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდით, ხშირ შემთხვევაში ისინი 12-ე ფეხბურთელის ფუნქციას ასრულებდნენ. გუნდისთვის მათი გვედში დგომა ძალზედ მნიშვნელოვანი იყო."

### ჩემპიონატის ფორმატი

„დიდი ხანია მწვრთნელად ვმუშაობ, 10, 16, 18 გუნდიან ჩემპიონატებს მოვსწრებივარ და მიმაჩნია, რომ ახლანდელი ფორმატი საქართველოს პირველობისთვის იდეალურია. გუნდების შემცირების მომხრე არ ვარ. უმჯობესი იქნება, თუ ფეხბურთელები და მწვრთნელები დასაქმებულები იქნებიან. უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელებს მეტი სტიმული ექნებათ, რაც, შესაბამისად, გაცილებით მეტი ნიჭიერი მოთამაშის გამოვლენას შეუწყობს ხელს."

### გამორჩეული კოლეგები

„პირველი წრეში საუკეთესო გიორგი კიკნაძე იყო. „ოლიმპში" მისი დაწყებული საქმე კარგად გააგრძელა რევაზ ძოძუაშვილმა და გუნდს ჩემპიონობა მოაპოვებინა. ამათ გარდა, უჰრინს, ჩიხრაძესა და ცხადაძეს გამოვარჩევდი. დიდი სამუშაო გასწია „ბორჯომში" ხაჩიძემ... საერთოდ, ყველა მწვრთნელის გარჯა დასაფასებელია, ბევრს ურთულეს პირობებში უხდებოდა მუშაობა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება ბოლომდე ამიტომ ვერ მოახდინა."

### მსაჯობა

„ადრინდელთან შედარებით, ამ სეზონში უკეთესი მსაჯობა იყო. გამოჩნდა რამდენიმე ახალგაზრდა არბიტრი, რომლებმაც დაკისრებულ მოვალეობებს თავი კარგად გაართვეს. ამ ჩემპიონატშიც იყო რამდენიმე სერიოზული შეცდომა, მაგრამ საერთო სურათი მაინც გაუმჯობესებულია. შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული, მთავარია, რომ ეს შეგნებულად არ მოხდეს... ჩემი აზრით, საქართველოში მსაჯობის დონე გაიზარდა."

### გარიგებული მატჩები

„გარიგებული მატჩების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ ბოლომდე არ აღმოფხვრილა. განვლილ სეზონშიც იყო რამდენიმე საეჭვო შეხვედრა, თუმცა მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ."

### საკადრო პოლიტიკა

„ჯერჯერობით, ახალი ფეხბურთელები არ დაგვიმატებია, თუმცა ძიებაში ვართ და რამდენიმე ახალწვეული გვეყოლება. გუნდის ძირითადი ბირთვი გამოკვეთილია, მაგრამ თავდასხმის ხაზის გაძლიერებაზე ვფიქრობთ..."

### მომავალი სეზონი

„მომავალ ჩემპიონატში „ზესტაფონი" იქნება ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ძალა, რომელიც ყოველ მატჩში გამარჯვებისთვის იბრძოლებს. წლეულს გუნდმა დიდი გამოცდილება დააგროვა, რაც წარმატების მისაღწევად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. „ტობოლთან" მარცხი „ზესტაფონზე" ცუდ ზეგავლენას არ მოახდენს, პირიქით, ფეხბურთელებს გულშემატკივრების წინაშე რეაბილიტაცია სჭირდებათ და ჩემპიონატში გაცილებით შემართულნი იქნებიან. უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ და ვიცი, რომ ამ გაზაზე კონკურენტებისგან დიდ წინააღმდეგობებს გადავაწყდებით... გასულ ჩემპიონატში თბილისის „დინამო" ფაქტობრივად ოთხი გუნდით თამაშობდა, რაც ჩემპიონატში არაჯანსაღ სიტუაციას ქმნიდა. ძნელია, როცა ერთის ნაცვლად, ოთხ გუნდს ეჭიდავები. ალბათ, ახალ სეზონშიც იგივე განმეორდება და ჩვენ ამისათვისაც მზად უნდა ვიყოთ... მოკლედ, მომავალი სეზონისთვის „ზესტაფონი" ჩემპიონატშიც და თასზეც მაქსიმალური შედეგებისთვის იბრძოლებს."

**დავით კოხრეიძე**

**I ტური**
29.07.06 შ ლოკომოტივი 2:0
გოლები: ფიფია, გოცირიძე

**II ტური**
06.08.06 ს მერანი 3:0
გოლები: გ. ჭელიძე (2), ლონლაძე

**III ტური**
20.08.06 შ ოლიმპი 0:0

**IV ტური**
27.08.06 ს ვიტ ჯორჯია 0:3

**V ტური**
09.09.06 შ ჩიხურა 2:0
გოლები: ფიფია, იონანიძე

**VI ტური**
17.09.06 ს ბათუმი 0:0

**VII ტური**
23.09.06 შ დინამო 1:0
გოლი: ლონლაძე

**VIII ტური**
14.10.06 ს დილა 4:0
გოლები: იონანიძე (2), ფიფია (2)

**IX ტური**
21.10.06 შ ამერი 0:0

**X ტური**
29.10.06 ს ტორპედო 1:0
გოლი: ფიფია

**XI ტური**
05.11.06 შ სიონი 3:0
გოლები: იონანიძე, ნ. კვასხვაძე, საჯაია

**XII ტური**
18.11.06 ს კახეთი 2:0
გოლები: იონანიძე, ფიფია

**XIII ტური**
26.11.06 შ ბორჯომი 4:0
გოლები: იონანიძე (2), გ. ჭელიძე, ლონლაძე

**XIV ტური**
23. 02. 07 ს ლოკომოტივი 4:1
გოლები: ფიფია, გ. ჭელიძე, ვიეირა, ბ. ნოზაძე

**XV ტური**
02.03.07 შ მერანი 1:1
გოლი: ფიფია

**XVI ტური**
10.03.07 ს ოლიმპი 1:1
გოლი: ბენაშვილი

**XVII ტური**
17.03.07 შ ვიტ ჯორჯია 5:0
გოლები: ფიფია (3), რ. ონიანი, ბენაშვილი

**XVIII ტური**
31.03.07 ს ჩიხურა 0:0

**XIX ტური**
7.04.07 შ ბათუმი 4:0
გოლები: ნ. კვასხვაძე (2), ფიფია, ლონლაძე

**XX ტური**
13.04.07 ს დინამო 2:2
გოლები: გ. ჭელიძე, გოცირიძე

**XXI ტური**
21.04.07 შ დილა 4:1
გოლები: ფიფია, იონანიძე, სანტოსი, ჟონატასი

**XXII ტური**
27.04.07 ს ამერი 1:1
გოლი: ვიეირა

**XXIII ტური**
5.05.07 შ ტორპედო 2:0
გოლები: იონანიძე, ვიეირა

**XXIV ტური**
12.05.07 ს სიონი 0:0

**XXV ტური**
16.05.07 შ კახეთი 7:0
გოლები: გ. ჭელიძე (4), იონანიძე (2), რ. ონიანი

**XXVI ტური**
20.05.07 ს ბორჯომი 2:1
გოლები: გ. ჩხეტიანი (2)

26 მატჩი, 16 მოგება, 9 ფრე, 1 წაგება, ბურთები 55-11, 57 ქულა

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ლეგიონის უქმეები

# სალუქვაძე მესამე რაუნდშია



ლაშა სალუქვაძე (9) ზალაეგერშეგთან

ევროპის ქვეყნებში ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპის პირველი მატჩები გაიმართა. ოდესის "ჩერნომორეცმა" ბელარუსის ქალაქ სოლიგორსკის "შახტიორს" უმასპინძლა და 4:2 მოუგო. ვფიქრობთ, შემდეგ ეტაპზე გასვლის ბევრად უკეთესი შანსი უკრაინელებს აქვთ. "ანჟიდან" "ჩერნომორეცში" მიბრუნებული **კახა მჟავანაძე** სათადარიგოთა სკამზე იჯდა. კიშინიოვში "დაჩიამ" შვეიცარიულ "სენტ გალენს" უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა. კვლავ არ გამოჩენილა ქართველი ფორვარდი **ლადო ახალაია**, რომელიც "დაჩიაში" ირიცხება.

"რუბინმა" სტუმრად 3:0 გაანადგურა უნგრული "ზალაეგერშეგი". სტუმართა რიგებში სრულად ითამაშა **ლაშა სალუქვაძემ**, ვერ ვიხილეთ კვლავ **ნუკრი რევიშვილი**. ქართულ ლეგიონს ნაკლებად ეხება, თუმც აქვე ვიტყვით, რომ "ზესტაფონის" მძლეველმა "ტობოლმა" შინ 1:1 ითამაშა "ლიბერეცთან".

ლატვიის ჩემპიონატში მესამე წრე დაიწყო. რიგის "სკონტომ" 3:0 დაამარცხა "ოლიმპსი". ამ შეხვედრაში მესამე გოლი ქართველი ლეგიონერის ანგარიშზეა: 87-ე წუთზე თამაშს წერტილი ჩვენმა ტანმაღალმა მცველმა **დავით გამეზარდაშვილმა** მოხდენილი თავურით დაუსვა. ლატვიის ჩემპიონატში ეს გამეზარდაშვილის პირველი გოლია. წლევანდელ სეზონში ქართველთა გოლების ანგარიში სწორედ მან გახსნა. საკმაოხნიანი შესვენების შემდეგ "სკონტოს" სასტარტოში დაბრუნდა ეროვნული ნაკრების მარცხენა მცველი **ზაალ ელიავა**. ჩემპიონი "ვენტსპილსი" "რიგას" ესტუმრა და 0:0 ეთამაშა. **ზურაბ მენთეშაშვილი** შეუცვლელად გაისარჯა. "სკონტო" 28 ქულით მესამეა და ლიდერ "მეტალურგს" 9 ქულით ჩამორჩება. მეოთხე ადგილზეა "ვენტსპილსი", რომელსაც 26 ქულა და მეტოქეებზე ერთი მატჩით მეტი აქვს ჩატარებული.

ლიტვაში მე-18 ტურის მატჩები გაიმართა. ჩემპიონმა და ლიდერმა "კაუნასმა" აუტსაიდერ "შილიუტეს" უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა. მასპინძელთა რიგებში არ ყოფილან **გივი კვარაცხელია** და **ნუკრი მანჩხავა**, სტუმართა რიგებში კი ითამაშა "კაუნასიდან" განათხოვრებულმა **აკაკი ხუბუტიამ**. "კაუნასი" 34 ქულით პირველია, "შილიუტეს" კი 9 ქულით ბოლოსწინა ადგილი უკავია.

რუსეთის პირველ დივიზიონში **ომარ თეთრაძის** "ანჟიმ" შინ 1:0 დაამარცხა მოკრძალებული "მორდოვია". **გოჩა ხოჯავამ** 90 წუთი ითამაშა. მეორე ტაიმში მან გააფრთხილება მიიღო. შეუცვლელად ითამაშა **ზურაბ არზიანმაც**. ბრიანსკში "დინამო" 1:1 დაუზავდა "ავანგარდს". **პაატა ჯინჭარაძემ** 90 წუთი ითამაშა.

მოლდოვაში ახალი სეზონის მეორე ტურის მატჩები გაიმართა. პირველი ქულები დაკარგა "შერიფმა" - 0:0 სტუმრად "ნისტრუსთან". 90 წუთი ითამაშა სტუმართა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა**. ქულები დაკარგა "ზიმბრუმაც". კიშინიოველები სტუმრად "ისკრას" შეხვდნენ. მატჩი 1:1 დასრულდა. **მამუკა ლომიძემ** სრულად ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ილია კანდელაკი

# კანდელაკს ოდესაში დარჩენას სთხოვდნენ...

**ილია კანდელაკმა** ოდესის "ჩერნომორეცში" დარჩენა აღარ ისურვა. ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის მასპინძელ უკრაინაში საფეხბურთო ბუმია და გუნდების დაფინანსებაც კიდევ უფრო გაიზარდა, მათ შორის "ჩერნომორეციც" არის. ამის მიუხედავად, 27 წლის ქართველმა უნივერსალმა ევროპაში თამაში ამჯობინა.

*"კლუბის პრეზიდენტმა და მისმა მოადგილემ დარჩენა შემომთავაზეს. მთავარი მწვრთნელი სემიონ ალტმანი რახან წავიდა, პრობლემა აღარ შემექმნებოდა. თუმცა ამ დროისთვის უკვე გადაწყვეტილი მქონდა "კარლ ცაისში" გადასვლა და ოდესელებს პრობლემა არ შეუქმნიათ. პირიქით, ძალიან თბილად დავემშვიდობე და მითხრეს, თუკი სურვილი გაგიჩნდება, დიდი სიამოვნებით დაგაბრუნებთო. არადა, კონტრაქტის დასრულებამდე კიდევ წელიწადნახევარი მქონდა დარჩენილი. გამიგეს და გამიშვეს. როგორც ვიცი, საკომპენსაციო თანხა გერმანელებმა უკვე გადაიხადეს".*

კანდელაკმა პირველად თქვა, რომ მისით სხვა კლუბებიც იყვნენ დაინტერესებულები: *"ბუნდესლიგისა და შვეიცარიის გუნდების ინტერესის შესახებ მითხრეს. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ თავს იკლავდნენ ჩემს გადაყვანაზე. საერთოდ, ვერიდები ასეთ თემებზე საუბარს. რაც ნაღდად არ ვიცი, მტკიცებას ვერ დავიწყებ".*

ამასობაში, "კარლ ცაისი" ვესენდაირფში ვარჯიშობს. "ოსტთურინგენ ცაიტუნგმა" გუნდში ჩარიცხული **გიორგი ონიანის** შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა, სადაც წერია, დანარჩენი ქართველები - **გიორგი სეთურიძე** და **ილია კანდელაკი** (**რევაზ ბარაბაძეს** არ ახსენებენ) სავიზო პრობლემის გამო ყოვნდებიანო.

ილიამ ეს გვითხრა, გერმანიიდან ველოდებოდი სამუშაო ვიზას და წესით ორშაბათს, საკითხი უნდა მოგვარდესო. რაც შეეხება კონტრაქტის ხანგრძლივობას, ეს ჯერ არაა საბოლოოდ შეთანხმებული: *"უფრო ორწლიანის გაფორმება მსურს. არაა გამორიცხული, 2+1 ან 1+2 სისტემით მოვაწერო ხელი. ამას იენაში გავარკვევ. მთავარია, ვიზა დროულად მივიღო".*

**მერაბ მამულაშვილი**

# გერმანელი ქართველები ემზადებიან

ამ უქმეებზე გერმანიაში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთა კლუბებმა მორიგი მოსამზადებელი მატჩები გამართეს. ბუნდესლიგის ერთ-ერთმა ფავორიტმა "შალკემ" "აშაფენბურგს" 3:1 მოუგო. შონბუხში მატჩს 7 ათასი ფანი დაესწრო. **ლევან კობიაშვილმა** შესვენებაზე **ფაბიან ერნსტი** შეცვალა და საყრდენ ნახევარმცველად ითამაშა. ბუნდესლიგის კიდევ ერთმა "ქართულმა" კლუბმა "კარლსრუემ" 9:0 გაანადგურა "ალბტალი". გოლების ავტორთა შორის **ალექსანდრე იაშვილის** გვარი ვერ ამოვიკითხეთ. სხვა მონაცემები, სამწუხაროდ, არ გვაქვს.

სეზონისთვის მეორე ბუნდესლიგის კლუბებიც ემზადებიან. გუშინ, "მიუნხენი" 1:5 შერცხვა ბუნდესლიგელ "ვოლფსბურგთან". **მათე ღვინიანიძემ** ერთი ტაიმი ითამაშა. **დავით სირაძის** "პადერბორნმა" 3:2 მოუგო "მუნსტერს". ქართველ ფორვარდს არ უთამაშია. **გიორგი ონიანის** "კარლ ცაისმა" 5:0 გაანადგურა "ვალერსლებენი". "ფრაიბურგმა" 2:1 დაამარცხა "შაფჰაუზენი". **ოთარ ხიზანეიშვილი** მე-60 წუთზე შეცვალეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge





გია თოდუა

ტრანსფერი

# თოდუა ბრესტში

რუსთავის "ოლიმპისა" და ზუგდიდის "მგლების" ყოფილი ნახევარმცველი **გია თოდუა** უკვე ლეგიონერია. თავის დროზე, ბელარუსული მტზ-"რიპოში" თოდუას კარგი მაჩვენებლები ჰქონდა და მას ისევ ამ ქვეყანაში უხმეს. როგორც შევიტყვეთ, თოდუამ ბრესტის "დინამოსთან" 2,5 წლიანი კონტრაქტი გააფორმა. უფრო მეტიც, ის ბრესტელებმა საევროთასო განაცხადშიც შეიყვანეს და უეფას თასის გათამაშების პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, ლიეპაიას (ლატვია) "მეტალურგსთან" თამაშის უფლება აქვს.

*"დიახ, მართალია. ბრესტის "დინამოსთან" ორწლინახევრიანი კონტრაქტი გავაფორმე და ახალ გუნდშიც ვვარჯიშობ. აქვე თამაშობს რომან გოგინაშვილიც. იგი 10 ნომერია, მე კი 20-ნომრიანი მაისურა მომცეს. ბელარუსის ჩემპიონატში მეორე წრიდან ჩავერთვები. უეფას განაცხადში შემოყვანეს და ლიეპაიას "მეტალურგსთან" 19 ივლისსა და 2 აგვისტოს, ალბათ, ვითამაშებ",* - განაცხადა თოდუამ.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპა ამერიკა 2007. 1/4 ფინალი

# ბრაზილია და ურუგვაი, დიდი ნახევარფინალი

**ჩილე-ბრაზილია 1:6**

**ჩილე**: კლაუდიო ბრავო, კონტრერასი, ფუენტესი, მარკ გონსალესი (66. მ.ფერნანდესი), ხარა (57. კაბიონი), ორმანიო, ფიერო (46. ვალდივია), იტურა, სანუესა, ლორკა, უმბერტო სუასო.

**ბრაზილია**: დონი, ჟილბერტო, ალექსი, მაიკონი (71. ელანო), ჟუანი (73. ნალდო), ჟილბერტო სილვა, ბაპტიშტა, მინეირო, ჟოსუე, რობინიო (65. აფონსო), ვაგნერ ლავი.

**გოლები**: 0:1 ჟუანი (16), 0:2 ჟულიო ბაპტიშტა (24), 0:3 რობინიო (28), 0:4 რობინიო (28), 0:5 ჟოსუე (69), 1:5 უმბერტო სუასო (76), 1:6 ვაგნერ ლავი (85).

**გაფრთხილება**: 0-0; **დარტყმა**: 7(3) 4(1); **ჯარიმა**: 13-16; **კუთხური**: 0-3; **თამაშგარე**: 1-0.

**ვენესუელა-ურუგვაი 1:4**

**ვენესუელა**: ვეგა, სიჩერო, ექტორ გონსალესი, რეი, როხასი, არანგო, მეა ვიტალი (77. გუერა), პაესი, ვერა, ორნელიასი (46. არისმენდი), მალდონადო (72. კ.გონსალესი).

**ურუგვაი**: კარინი, ლუგანო, დარიო როდრიგესი (90. გოდინი), სკოტი, ფუჩილე, პაბლო გარსია, პერეირა, დიეგო პერესი, კრისტიან როდრიგესი, ფორლანი, რეკობა (79. ი.გონსალესი).

**გოლები**: 0:1 ფორლანი (39), 1:1 არანგო (41), 1:2 პაბლო გარსია (65), 1:3 კრისტიან როდრიგესი (87), 1:4 ფორლანი (90).

**გაფრთხილება**: 0:3; **დარტყმა**: 7(4)-12(7); **ჯარიმა**: 7-11; **კუთხური**: 4-3; **თამაშგარე**: 4-0.

ურუგვაიმ კოპა ამერიკის მასპინძელი ვენესუელა ტურნირს გამოთიშა. **ოსკარ ტაბარესის** შეგირდებმა, უსახურად ჩატარებული ჯგუფური ტურნირის შემდეგ შთამბეჭდავად იასპარეზეს და მეტოქე დიდი ანგარიშით დაამარცხეს. **დიეგო ფორლანმა** დუბლი შეასრულა. მის გარდა, **პაბლო გარსიამ** და **კრისტიან როდრიგესმაც** გამოიჩინეს თავი. ვენესუელამ ოთხიდან ორი გოლი ბოლო სამ წუთში გაუშვა. მეოთხედფინალის შემდეგ მასპინძლების თავკაცმა **რიკარდო პაესმა** თქვა, ჩვენი ქვეყანა ღირსეულად წარმოვაჩინეთ, მაგრამ მაინც იმედგაცრუებულნი ვართ, მეტის გაკეთება შეგვეძლოო.

ურუგვაელები ფლეი ოფში საუკეთესო მესამეადგილოსნის რანგში გავიდნენ. ჯგუფური ტურნირის სამ მატჩში მათ მხოლოდ ერთი გოლი შეაგდეს. მაგრამ შაბათს სულ სხვა შემართებით ითამაშეს. ანგარიში 38-ე წუთზე გაიხსნა: **მაქსიმილიანო პერეას** ჩაწოდებისას მცველმა **ალეხანდრო სიჩერომ** პოზიციური შეცდომა დაუშვა. ბურთი ფორლანს მიუვიდა. დიეგომ ვენესუელელ მეკარე **რენი ვეგას** დაბალ კუთხეში დაურტყა და 39-ე სანაკრებო მატჩში მე-13 გოლი გაიტანა.

მასპინძლებმა ანგარიში სამ წუთში გაათანაბრეს. ურუგვაელთა კარიდან 25 მეტრში საჯარიმო დაინიშნა. მისი შესრულება **ხუან არანგომ** ითავა. ძლიერად დარტყმული ბურთი ცოცხალ კედელში გაძვრა. ის გზად ერთ-ერთ მცველს შეეხო და მიმართულება შეიცვალა; ბურთი კარში ისე შევარდა, რომ **ფაბიან კარინიმ** რეაგირებაც კი ვერ მოასწრო.

შესვენების შემდეგ ურუგვაი ისევ გააქტიურდა. 65-ე წუთზე პაბლო გარსიამ 25 მეტრიდან გაიტანა: **ხორხე ფუჩილემ** მას ქუსლით დაუგორა ბურთი, გარსიამ კი შეუჩერებლად დაარტყა. ეს მისი მეორე გოლი იყო სანაკრებო მაისურით. 87-ე წუთზე **კრისტიან როდრიგესმა** ფორლანის პასით გაიტანა. ამ გოლმა მასპინძლებს ბრძოლის სურვილი გაუქრო. მსაჯისგან დამატებულ დროში ფორლანმა დამატებაზე ითამაშა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. **ოსკარ ტაბარესი**: *"გამარჯვებაში დარწმუნებულნი ვიყავით. ვფიქრობ, ანგარიში მრავლისმეტყველია. ჩემმა გუნდმა ნახევარფინალში თამაში დაიმსახურა..."*

ბრაზილიამ ჩილეს გადაუარა. **კარლოს დუნგასა** და მის შეგირდებს ჯგუფურ ტურნირში ნათამაშევი უსახური ფეხბურთის გამო აკრიტიკებდნენ. მეოთხედფინალის შემდეგ კრიტიკოსებს ცოტა ხნით მაინც დადუმება მართებთ. **რობინიომ** კიდევ ორი გოლი გაიტანა და ჯერჯერობით, ტურნირის საუკეთესო ბომბარდირია. მის აქტივშია ოთხ მატჩში გატანილი ექვსი გოლი.

თამაშის წინ ჩილეს ნაკრები სკანდალში გაეხვა. ვენესუელური პრესა სასტუმროში მომხდარი ინციდენტის შესახებ წერდა. როგორც ამბობენ, ბრაზილიასთან მატჩის წინა საღამოს ჩილეს ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი ბარში გამოთვრა და იჩხუბა. ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია მომხდარში გარკვევას აპირებს. დამნაშავეთა გამოვლენის შემთხვევაში, მათ უმკაცრესი სასჯელები ელით. უდისციპლინობა ჩილელი ფეხბურთელებისთვის უცხო არ არის. ერთი წლის წინათ ანალოგიური ინციდენტი დუბლინშიც მოხდა. მთავარმა მწვრთნელმა **ნელსონ აკოსტამ** ნახევარმცველი **ლუის გარსია** და თავდამსხმელი **რეინალდო ნავია** შეკრებიდან დაითხოვა.

აი, აკოსტას გუშინწინდელი კომენტარი: *"სასტუმროს ადმინისტრაციამ მითხრა, რომ ბიჭები ცუდად მოიქცნენ. მაშინვე ვესაუბრე ფეხბურთელებს. ისინი ამბობენ, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. როგორც ჩანს, ცუდად მოიქცნენ, მაგრამ არა იმდენად ცუდად, როგორც გაზეთებში წერენ. სასტუმროს ხელმძღვანელობას ვთხოვე, წარმომიდგინონ უფრო ხელჩასაჭიდი მტკიცებულება, მაგალითად, ვიდეოფირი. ნაკრების ხელმძღვანელობა ამ საქმეს ბოლომდე მიჰყვება. თუ ვინმე დამნაშავეა, ის აუცილებლად დაისჯება."*

დავუბრუნდეთ მატჩს. პენტაკამპეონებმა პირველი ტაიმის 13-წუთიან მონაკვეთში სამი ბურთი შეაგდეს. ანგარიში მე-15 წუთზე გაიხსნა. კუთხურის გათამაშებისას **ჟუანი** ბურთს შორ ძელთან შეეგება და დაუბრკოლებლად გაიტანა. ამას **ჟულიო ბაპტიშტასა** და რობინიოს გოლები მოჰყვა, 3:0. შეგახსენებთ, ჯგუფურ ტურნირში ამ გუნდების მატჩი 3:0 დასრულდა.

ამჯერად ბრაზილიელები სამი ბურთით აღარ დაკმაყოფილდნენ. მეორე ტაიმის მეექვსე წუთზე რობინიომ **ჟილბერტოს** პასით ისარგებლა და ანგარიშით ოთხამდე გაზარდა. 69-ე წუთზე **ჟოსუემ** ეროვნული გუნდის მაისურით პირველად გაიტანა. ჩილელები ამის შემდეგღა მოეგნენ გონს და პრესტიჟის გოლი შეაგდეს: **უმბერტო სუასომ** ბურთი ჟილბერტოს ფეხებს შორის გაუძვრინა, შემდეგ კი დონის თავზე გადაუგდო. 76-ე წუთზე **ვაგნერ ლავმა** და **ელანომ** ორსვლიანი კომბინაცია გატთამაშეს. მოსკოვის ცსკას თავდამსხმელმა თამაშს წერტილი დაუსვა.

მოკლედ, 10 ივლისს პირველი ნახევარფინალი ბრაზილია-ურუგვაია.

**წუხელ**

| | |
|---|---|
| **მექსიკა-პარაგვაი** | **6:0** |
| **არგენტინა-პერუ** | *გვიან დასრულდა* |



დიეგო ფორლანმა დუბლი მიითვალა



მზად არის კაკა რეალისთვის?

რეალი

# ზღაპრული ხელფასი კაკას

## სპეციალური პუნქტი კონტრაქტში, მოლაპარაკებები 20 ივლისს დაიწყება?

"რეალი" **კაკას** არ ეშვება. მიუხედავად იმისა, რომ **რამონ კალდერონმა**, ფაქტობრივად, აღიარა დამარცხება ბრაზილიელი ნახევარმცველის შეძენის საქმეში, ეტყობა, მთლად ასეც არაა. სამეფო კლუბი ყველაფრისთვის მზადაა, თავის მხრივ, "მილანი" კატეგორიულ უარს აცხადებს კაკას გაყიდვაზე. კალდერონის ხსნა თავად ფეხბურთელშია. კაკამ "მილანს" ტრანსფერზე დაყენება უნდა მოსთხოვოს, სხვანაირად არაფერი გამოვა. "როსონერისთვის" უნიჭიერესი ბრაზილიელის შენარჩუნება პრესტიჟის საქმეა. ასეა კალდერონისთვისაც, რომელმაც **ფაბიო კაპელოს** გაშვებით დაკარგული პოზიციები კაკას მეშვეობით უნდა დაიბრუნოს...

"ასის" ინფორმაციით, "რეალი" მზადაა, კაკა მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად აქციოს, თუ "მილანისგან" თავს დაიხსნის. 5-წლიანი კონტრაქტი და 9 მილიონი ევრო სეზონურად, ხელფასის სახით და პრემიების გარეშე - ასეთია სამეფო კლუბის წინადადება. ცხადია, რომ **სილვიო ბერლუსკონი** კაკას ამდენს ვერ შესთავაზებს, იტალიაში მოქმედი ზღვრული სახელფასო წესების გამო. როგორც ამბობენ, 20 ივლისს მილანში ჩავა კაკას მამა (ამავდროულად, აგენტი) და **ადრიანო გალიანის** დაელაპარაკება.

საყურადღებოა თავად გალიანის განცხადებაც იმასთან დაკავშირებით, თითქოს შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ, კაკას 2012 წლამდე გაუგრძელებს კონტრაქტს. ამასთან, კაკას ჰქონია სურვილი, სპეციალური პუნქტი შეიტანოს ხელშეკრულებაში, რაც მას უფლებას მისცემს, მომავალი წლის ზაფხულში უპრობლემოდ გაწყვიტოს ურთიერთობა "მილანთან", თუკი "რეალი" კიდევ მოისურვებს მის გადაბირებას.

### ტოლდო რეალში თუ...

"რეალი" **ფრანჩესკო ტოლდოს** ტრანსფერზეც მუშაობს. 36 წლის გამოცდილ კიპერს, რომელსაც "ინტერში" მეორე მეკარედ დარჩენა აღარ სურს, სამეფო კლუბში გადასვლის პერსპექტივა კი ხიბლავს, მაგრამ საქმე ისაა, რომ პირველი მეკარე ვერც "რეალში" იქნება. წარმოუდგენელია, რომ ტოლდომ ძირითადი შემადგენლობიდან **იკერ კასილიასი** ამოაგდოს. სამეფო კლუბს ტოლდო სწორედაც რომ სარეზერვო მეკარედ სჭირდება, რაკი **დიეგო ლოპესი** "ვილიარეალში" გაყიდა...

მაგრამ ტოლდოსთვის ბრძოლაში ჩაება "ბეტისიც", რომლის ახალი მწვრთნელი **ექტორ რაულ კუპერი** ამ მეკარეს ჩინებულად იცნობს "ინტერში" მუშაობის პერიოდიდან. ტოლდო სწორედ კუპერის წასვლის შემდეგ ამოაგდეს ძირითადი შემადგენლობიდან. არგენტინელი სპეციალისტი მას მეტ სათამაშო დროს ჰპირდება. ახლა საკითხავი ისაა, ვინ უფრო მეტს გადაიხდის ვეტერან მეკარეში. ტოლდოს არჩევანიც ამაზე იქნება დამოკიდებული.

### ემერსონი და სისინიო რჩებიან

მიუხედავად სპეკულაციებისა, ისე ჩანს, რომ "რეალი" **ემერსონის** გაყიდვას არ აპირებს. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს "ემომ" ერთი თვის წინათ "მილანთან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. თუმცა მარტო "მილანშიც" არ არის საქმე, ზოგადად, "პუმას" იტალიაში დაბრუნება სურს. არადა, მისი აგენტი **ჟილმარ ველოზუ** ემერსონის აზარგებას კატეგორიულად გამორიცხავს:

*"მადრიდში სამი დღე ვიყავი. ბოლოს, "რეალის" სპორტულ დირექტორს პრედრაგ მიატოვიჩსაც შევხვდი. ფინჯან ყავასთან ერთად, ჩვენ ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ. შემიძლია ვთქვა, რომ ემერსონს ყველაზე ცოტა დრო დავუთმეთ, რადგან მისი საკითხი გარკვეულია. ჩემს კლიენტს "რეალთან" ჯერ კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. უნდა დაგარწმუნოთ, რომ ის სხვა კლუბში გადასვლის საკითხს არც განიხილავს. მის მიმართ პრეტენზიები არც მადრიდელებს აქვთ".*

აგენტის სიტყვები სიურპრიზია იქიდან გამომდინარე, რაც ამასწინათ "რეალის" პრეზიდენტმა კალდერონმა თქვა - საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ემერსონი და **ანტონიო კასანო** მადრიდიდან წავლენო. ვნახოთ. შეიძლება, მხარეებმა პოზიციები კიდევ ერთხელ შეცვალონ.

ბოლო ინფორმაციებიდან ჩანს, რომ "რეალში" დარჩება ბრაზილიელი მარჯვენა მცველი **სისინიოც**. ამ უკანასკნელზე მითითება გაკეთდა **ბერნდ შუსტერის** მიერ. "მარკას" ინფორმაციით, გერმანელ მწვრთნელს, რომელიც ამ კვირაში "რეალის" თავკაცად მოგვევლინება, სისინიოს შენარჩუნება კატეგორიულად მოუთხოვია.

იუვენტუსი

# ქალბატონმა ანდრადე დაიყოლია, ბურდისო?

## იუვე დაცვას აძლიერებს. კონტაქტი ბარძალისთან

**კლაუდიო რანიერის** ყურადღება ახლა დაცვის გაძლიერებისკენაა მიმართული. მას შემდეგ, რაც **ფაბიო კანავაროს** დაბრუნება ჩაიშალა და **გაბრიელ მილიტოს** ("ბარსელონაში" გადადის) შანსიც დაკარგულია, "ბებერი ქალბატონის" მესვეურებმა მზერა ისევ პრიმერა დივიზიონს მიაპყრეს და "დეპორტივოს" პორტუგალიელ მცველ **ჟორჟე ანდრადეს** დაუკავშირდნენ. მოლაპარაკებებს ლაკორუნიული კლუბიც ადასტურებს. პრინციპული შეთანხმება მიღწეულია. "დეპორი" ტურინიდან 7 მილიონ გირვანქას ელის. ანდრადე იტალიას ამ დღეებში მიაშურებს, "იუვენტუსის" საწვრთნელ კომპლექს "სის-სპორტში" სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კონტრაქტსაც გააფორმებს.

ანდრადე 29 წლისაა. "დეპორტივოში" "პორტუდან" 2002 წელს გადავიდა. ეროვნულ ნაკრებში 40 მატჩზე მეტი აქვს ჩატარებული. ანდრადე უკვე მეორე პორტუგალიელი ფეხბურთელია, რომელიც ამ ზაფხულს "იუვენტუსში" გადავიდა. შეგახსენებთ, რომ ამასწინათ "ვეკია სინიორამ" "ლიონიდან" ნახევარმცველი **ტიაგო მენდეშიც** იყიდა.

მაგრამ ეტყობა, ტურინელები ამით არ შემოიფარგლებიან. მათ ობიექტივში კიდევ ერთი მცველია. საუბარია **ნიკოლას ბურდისოზე**. ამას ფეხბურთელის აგენტი **ფერნანდო იდალგოც** ადასტურებს. მისი თქმით, ბურდისოს "იუვენტუსში" გადასვლა სავსებით რეალურია. არგენტინელი მცველი "ინტერში" სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობასა და დაბალ ხელფასს უჩივის...

*"ბურდისო პროფესიონალია და ის "ინტერში" კარიერის ბოლომდე დარჩებოდა, მასზე რომ იყოს დამოკიდებული. მისი კონტრაქტი 2009 წლის ზაფხულში იწურება. მაგრამ ჩვენ არ ვართ კმაყოფილები ამ კონტრაქტის ფინანსური მხარით. "ინტერმა" უკვე შემოგვთავაზა ხელშეკრულების გაგრძელება, მაგრამ უარვყავით, რადგან მასში გაუმჯობესება ვერ დავინახეთ. ორშაბათს კვლავ მილანში ვიქნები, "ინტერის" ხელმძღვანელობას კიდევ ერთხელ დაველაპარაკები და ვნახოთ..."* - აცხადებს იდალგო.

ამას გარდა, დასტურდება "იუვენტუსის" კავშირ **ანდრეა ბარძალისთანაც**. "პალერმოს" სპორტული დირექტორი **რინო ფოსკი** აცხადებს - ტურინელებმა ბარძალის თაობაზე უკვე მოგვმართეს, მაგრამ რაკი ეს მცველი ჩვენც გვჭირდება, ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკებები არ შედგებაო. "სკუადრა აძურის" მცველი "იუვეში" ჯერ კიდევ შარშან უნდა გადასულიყო, ფეხბურთელს წინასწარ კონტრაქტზე ხელი მოწერილიც ჰქონდა, მაგრამ "კალჩოპოლის" სკანდალის გამო, გარიგება ბოლო მომენტში ჩაიშალა.

როგორც ჩანს, ანდრადესთან ერთად, რანიერის კიდევ ერთი კვალიფიციური მცველი სჭირდება. ფრანგი **ჟან-ალენ ბუმსონგი** აბარგებას აპირებს. სავარაუდოდ, დღის წესრიგში დადგება **ნიკოლა ლეგროტალიეს** წასვლაც, ამიტომ, ტურინელები ბარძალისთვის ბოლომდე იბრძოლებენ. მთავარია არა ის, სჭირდება თუ არა ეს მცველი "პალერმოს", არამედ ის, თუ რამდენს გადაიხდის "იუვენტუსი". ეს არის და ეს.



ჟორჟე ანდრადე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიუკასლი

# რაული და დეკუ სენტ ჯეიმსზე?

## ამბიციური პროექტები

"ნიუკასლის" ახალმა მეპატრონემ **მაიკ ეშლიმ** ამბიციური პროექტი ჩაიფიქრა. მან **რაულისა** და **დეკუს** შეძენა გადაწყვიტა. "ნიუს ოფ ზე უორლდის" ცნობით, ჯორდები მინიმუმ ერთი სუპერვარსკვლავის ყიდვას გეგმავენ. ეშლი "ნიუკასლს" ევროპულ გრანდად გადაქცევას უპირებს. ამისთვის კი ხმაურიანი ტრანსფერები სჭირდება. რაულსა და დეკუს თავ-თავიანთ კლუბებში პრობლემები აქვთ. ესპანელ მიმომხილველებს თუ დავუჯერებთ, სარფიანი შეთავაზებების შემთხვევაში, "რეალი" და "ბარსელონა" გარიგებებს სიამოვნებით დათანხმდებიან. მადრიდიდან **ფაბიო კაპელოს** აბარგების შემდეგ ძველი შემადგენლობის ალარცერთ მოთამაშეს ალარ აქვს გარანტირებული "რეალში" დარჩენა. მათ შორის, ალარც კაპიტან რაულს. მისი მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ იანვრიდან საუბრობენ. იანვრის ფანჯრისას გონსალეს ბლანკოს "ლივერპულში" გადასვლას უწინასწარმეტყველებდნენ. მერსისაიდელთაგან ალარაფერი ისმის. მათ რაულის თანამემამულე **ფერნანდო ტორესი** იყიდეს. "ნიუკასლის" დაინტერესების თაობაზე კი პირველად "ნიუს ოფ ზე უორლდისგან" შევიტყვეთ. ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა. რაც შეეხება დეკუს, კატალონიური გრანდი ჩელსელ **ფრენკ ლემპარდს** უმიზნებს. თუ ინგლისელი ბარსელონაში ჩავა, დეკუს ალბათ ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს. ვნახოთ, იქნება თუ არა ეს სამსახური ამბიციამოძალებული ჯორდული კლუბი.



რაული ესპანეთის ჩემპიონის თასით

---

რომა

# ბრაზილიელები ჯალოროსის სამიზნეში

## სპალეტიმ სილვინიო, ბელეტი და სისინიო მოიკითხა...



სისინიო

"რომა" ბარსელონელი **სილვინიოთი** და **ჟულიანო ბელეტით** დაინტერესდა. "ჯალოროსიმ" კატალონიელებს გარიგება შესთავაზა. მარჯვენა მცველი ბელეტი ახალ სამსახურს ეძებს. მას "ბარსელონის" სკამზე ჯდომა მობეზრდა. **ფრანკ რიიკაარდი** ბელეტის არავითარ იმედებს არ უკავშირებს, განსხვავებით სილვინიოსგან, რომელსაც, შეიძლება, ახალი კონტრაქტი შესთავაზონ. სილვინიოს მნიშვნელობა მას მერე გაიზარდა, რაც **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა** "ფეიენოორდს" მიაშურა. რომაელები იმედოვნებენ, რომ ორივე ზემოთხსენებულ ფეხბურთელთან მოლაპარაკების ნებას დართავენ.

აქვე მოგახსენებთ, რომ "რეალმა" "რომას" უარი განუცხადა **სისინიოს** მიყიდვაზე. გავრცელებული ინფორმაციით, სამეფო კლუბმა ტრანსფერზე დააყენა სამი ბრაზილიელი ლეგიონერი - **მარსელო, სისინიო** და **ჟულიო ბაპტიშტა**. "ჯალოროსიმ" მარჯვენა შემტევი მცველის ტრანსფერზე მუშაობა დაიწყო. ახლა კი ირკვევა, რომ "რეალის" მომავალ მწვრთნელ **ბერნდ შუსტერს** სისინიოს შენარჩუნება სურს. მან ფეხბურთელის ტრანსფერს ვეტო დაადო.

---

ვესტ ჰემი

# ბელამი 7.5 მილიონად

## კარლოს ტევესი ლონდონური ბინიდან გაასახლეს

**კრეიგ ბელამიმ** "ვესტ ჰემში" სამედიცინო შემოწმება გაიარა და კლუბს კონტრაქტის დეტალებზეც მოურიგდა. "ჩაქუჩები" 7.5 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. ტრანსფერი უახლოეს საათებში განხორციელდება. ამ ინფორმაციას ლივერპულელთა მთავარი მწვრთნელი **რაფა ბენიტესიც** ადასტურებს. შაბათს მერსისაიდელებმა "რექსჰემთან" ამხანაგური მატჩი გამართეს და 3:2 გაიმარჯვეს. ნამატჩევს სენიორ ბენიტესმა თქვა, რომ ბელამი ლონდონში გაიყიდა და რომ ეს ფეხბურთელისთვის შესანიშნავი ტრანსფერია. ბავშვობაში კრეიგი "ლივერპულის" ქომაგი იყო. მან "ენფილდზე" 42 მატჩი ჩაატარა და 9 გოლი შეაგდო. ბელამი საყვარელ კლუბში ზუსტად ერთი წლის წინათ ჩაირიცხა. ფორვარდმა კარიერა "ნორვიჩში" დაიწყო, მერე "ქოვენთრისა" და "ნიუკასლში" ითამაშა. ბელამიმ მცირე ხანი "სელტიკშიც" დაჰყო, მომავალი სეზონიდან კი "აპტონ პარკზე" ითამაშებს.



კრეიგ ბელამი

კიდევ ერთი ინფორმაცია ლონდონიდან. "ვესტ ჰემის" ბოსებმა **კარლოს ტევესს** ბინა ჩამოართვეს. არგენტინელი ფორვარდი კოპა ამერიკაზე იმყოფება. "ჩაქუჩები" ტურნირის დასრულებასა და ტევესის ლონდონში დაბრუნებას არ დაელოდნენ, მის აგენტს შეეხმიანნენ და აუწყეს, რომ ბინა ახალწვეული **ჟულიენ ფობერისთვის** სჭირდებოდათ. კარლოსს წარმოდგენა არ აქვს, სად წაილეს მისი ნივთები. ის ინგლისში კოპას დასრულებისთანავე ჩავა და "მანჩესტერ იუნაიტედთან" გააფორმებს კონტრაქტს. "ვესტ ჰემის" ბოსებმა ყოფილ ვარსკვლავს, როგორც ჩანს, კონკურენტ კლუბში გადასვლა ვერ აპატიეს.

---



სვენ გორან ერიქსონი

მანჩესტერ სიტი

# სამი წელი გარდაქმნისთვის

## სვენმა ერთ-ერთ თანაშემწედ დევიდ პლატი მიიწვია

"მანჩესტერ სიტი" ინგლისური ფეხბურთის ელიტას სამ წელიწადში უნდა დაუბრუნდეს. კლუბის ახალ ბოს **ტაქსინ შინავატრა** ეს დრო სავსებით საკმარისად ეჩვენება. ტელეკომუნიკაციების მაგნატი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა თანხას დახარჯავს შემადგენლობის გასაძლიერებლად. სპეკულაციების თანახმად, **სვენ გორან ერიქსონმა** (მან პარასკევს სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა) ათი ფეხბურთელი და დაახლოებით 50 მილიონი გირვანქა მოითხოვა. ერიქსონის უპირველესი სამიზნეა ბაიერნისა და პარაგვაის ნაკრების თავდამსხმელი **როკე სანტა კრუსი**, რომელიც 8 მილიონი გირვანქა ღირს. შინავატრას პრესმდივანმა არ დაადასტურა ინფორმაცია ამხელა სატრანსფერო ბიუჯეტის შესახებ, თუმცა დასძინა, რომ გუნდს ნამდვილად სჭირდება გაძლიერება, განსაკუთრებით კი ნახევარდაცვასა და თავდასხმაში.

აქვე გეტყვით, რომ სვენის ერთ-ერთ თანაშემწედ ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ბოსი **დევიდ პლატი** დაინიშნა. ამ ინფორმაციას "მირორი" ავრცელებს. პლატი მანჩესტერის გარეუბანში ცხოვრობს, ესე იგი, ახალ სამსახურში სასიარულოდ ბინის შეცვლა არ მოუწევს. ერიქსონის მარჯვენა ხელი ის **ტორდ გრიპი** იქნება, რომელიც სვენთან ერთად ინგლისის ნაკრებში მოღვაწეობდა.

---

### მალუდა ჩელსიში გადავიდა



გუშინ გადაწყდა, რომ საფრანგეთის ნაკრებისა და "ლიონის" მარცხენა გარემარბი **ფლორან მალუდა** კარიერას "ჩელსიში" გააგრძელებს. ეს ინფორმაცია "ლიონის" პრეზიდენტმა **ჟან-მიშელ ოლამ** და ლონდონური კლუბის ოფიციოზმა დაადასტურეს. ტრანსფერის საფასური 20 მილიონი ევროს ფარგლებშია. მალუდას ყიდვა იმას ნიშნავს, რომ **არიენ რობენს** "რეალში" გადასვლამდე, შეიძლება, საათები აშორებდეს. და რაკი "ჩელსი" ვახსენეთ, იმასაც გეტყვით, რომ "არისტოკრატთა" სპორტულ დირექტორად ისრაელის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **აბრაამ გრანტი** დაინიშნა.

### ქეროლი გლაზგოში გაემგზავრა

"მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ვესტ ჰემის" ყოფილი მეკარე **როი ქეროლი** "რეინჯერსში" გადავიდა. 29 წლის მეკარემ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გლაზგოელებს ერთი პენსიც კი არ დაუხარჯავთ, რადგან ჩრდილოირლანდიელი გოლკიპერი თავისუფალი აგენტი იყო. ქეროლმა "იუნაიტედში" ოთხი სეზონი გაატარა (2001-05), მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ძირითადი მეკარე არასოდეს ყოფილა. სწორედ ამიტომ 2005 წლის ზაფხულში "ჩაქუჩებს" მიაშურა. მომავალი სეზონიდან კი, როგორც ალვნიშნეთ, შოტლანდიელი პროტესტანტების ღირსებას დაიცავს.

### ბულარუზი სევილიას უახლოვდება

"სევილია" სადაცაა **ხალიდ ბულარუზს** გაუფორმებს კონტრაქტს. ჰოლანდიელ მცველს "ნიუკასლი", "ბოლტონი" და "ჰამბურგი" ეპატიჟებოდნენ. ერთი წლის წინათ "ჩელსიმ" ის სწორედ "ჰამბურგიდან" შეიძინა, მაგრამ ფეხბურთელმა ესპანურ ვარიანტს მიანიჭა უპირატესობა. სპეკულაციების თანახმად, "არისტოკრატები" სევილიელ მცველ **დანიელ ალვესს** ეპატიჟებიან. ბულარუზის ტრანსფერი, შეიძლება, ამ გარიგების ნაწილი გახდეს. ანდალუსიელები ხალიდის სანაცვლოდ 3.5 მილიონ გირვანქას გადაიხდიან.

### დესაის ლონდონში გააცილებენ

7 აგვისტოს **მარსელ დესაის** ფეხბურთიდან გააცილებენ. გამოსათხოვარი მატჩი "სტემფორდ ბრიჯზე" შედგება. ერთმანეთის წინაშე წარდგებიან "ჩელსი" და დესაის მეგობრების ნაკრები. თამაშს პირდაპირ ეთერში გადასცემს ევროსპორტი. მთელი შემოსავალი საქველმოქმედო პროექტებს მოხმარდება. დესაიმ ოცწლიან პროფესიულ კარიერაში ექვსი კლუბი გამოიცვალა: "ნანტი", "მარსელი", "მილანი", "ჩელსი", "ალ გარაფა" და "ფკ კატარი". ლონდონურ გრანდში მან ექვსი სეზონი გაატარა (1998-2004), 191 მატჩი ჩაატარა და 6 გოლი შეაგდო.

### ფლამინი ვალენსიაში?

ვალენსიელებმა არსენალელ **მატიო ფლამინის** დაადგეს თვალი. ფრანგი ნახევარმცველი უკმაყოფილოა იმით, რომ "მეთოფეების" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. მას საკუთარი კონტრაქტის გამოსყიდვა სურს, რათა ახალ სამსახურს მიაშუროს. "ვალენსიამ" ახალგაზრდა ფეხბურთელს თანამშრომლობა შესთავაზა. ფლამინიმ მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. საკითხს უახლოეს ერთ კვირაში უნდა მოეფინოს ნათელი. ესპანელებს ბევრი დრო არ აქვთ. ისინი ახალი სეზონისთვის ემზადებიან. თუ მატიოს "მესტალიაზე" თამაში არ სურს, მის ნაცვლად სხვა ფეხბურთელს გაუფორმებენ კონტრაქტს.

### სანდერლენდმა შვარცერი მიიწვია

"სანდერლენდი" "მიდლსბროს" მეკარეს **მარკ შვარცერს** ეპატიჟება. "შავი კატების" თავკაცმა **როი კინმა** ბოლტონელ **იუსი იაასკელაინენთან** ვერაფერი გააწყო. ფინელმა მეკარემ პრემიერლიგის დებიუტანტებში თამაში არ ისურვა. ირლანდიელმა მწვრთნელმა ავსტრალიელ გოლკიპერს დაადგა თვალი. შვარცერს "რივერსაიდიდან" აბარგება უნდა. ის კლუბის სატრანსფერო პოლიტიკითაა უკმაყოფილო. შვარცერმა დირექტორები ხმამაღლა გააკრიტიკა მისი თანამემამულე თავდამსხმელის, **მარკ ვიდუკას** "ნიუკასლში" გაშვებისთვის. 34 წლის შვარცერი 1 მილიონი გირვანქა ღირს. სანდერლენდი მიდლსბროსთან იმდენად ახლოა, რომ სამსახურის გამოცვლის შემთხვევაშიც კი ფეხბურთელს სახლის შეცვლა არ მოუწევდა.

### ანგელოსი რკინის პანსთან

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის გმირი **ანგელოს ხარისტეასი** ბუნდესლიგაში ბრუნდება. 27 წლის თავდამსხმელი როტერდამის „ფეიენოორდს" დატოვებს და კარიერას გერმანიის თასის მფლობელ „ნიურნბერგში" გააგრძელებს. ამის შესახებ გუშინ გერმანული და ჰოლანდიური პრესა ერთხმად იტყობინებოდა. ჩვენი ალემანი კოლეგების ცნობით, „ნიურნბერგი" „ფეიენოორდს", სადაც **როი მაკაი** გადავიდა, 3 მილიონ ევროს გადაუხდის. ხარისტეასი ფრანკებთან სამწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. **ჰანს მაიერის** გუნდში მან **მარკუს შროთი** უნდა შეცვალოს. როგორც იცით, ეს უკანასკნელი „მიუნხენ 1860-ში" გადავიდა და **მათე ლვინიანიძის** თანაგუნდელი გახდა. შეგახსენებთ, რომ ხარისტეასი 2002-დან 2004-წლამდე ბრემენის „ვერდერის" ღირსებას იცავდა, მაგრამ უმეტესად შეცვლებზე თამაშობდა. მიუხედავად ამისა, ბუნდესლიგაში, „მუსიკოსების" მაისურით, მას 66 მატჩში 18 გოლი აქვს გატანილი.

### ბენილუქსი 2018?

ჰოლანდიის პრემიერმა **იან პეტერ ბალკენენდემ** ბენილუქსის ქვეყნებს 2018 წლის მუნდიალის მასპინძლობა შესთავაზა: *"ამ ეტაპზე ძალიან ადრეა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ვფიქრობ, საინტერესო ინიციატივაა და დაფიქრება ღირს."* ჰოლანდიელებმა და ბელგიელებმა ერთი მნიშვნელოვანი ტურნირი უკვე ჩაატარეს. 2000 წელს ამ ქვეყნებში ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. ის უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული. ამჯერად, მათ მოცუცქნული მეზობლის მიმხრობაც სურთ, რათა უფრო პრესტიჟული ტურნირი მიიღონ. 2010 წელს მსოფლიოს პირველობა აფრიკის კონტინენტზე გაიმართება. მას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა უმასპინძლებს. 2014 წელს მუნდიალი სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრება. მასპინძლად ბრაზილიაა შეგულებული, მაგრამ ეს ოფიციალური გადაწყვეტილება ჯერაც არ არის. 2018-ში კი ტურნირი ბებერ კონტინენტზე დაბრუნდება. ჰოდა, ბენილუქსელებმა უნდა იაქტიურონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ატლეტიკო: კვარეშმა ამ კვირაში?

"როხიბლანკო" ახლოსაა პორტუგალიელი გარემარბის **რიკარდო კვარეშმას** შეძენასთანო, აცხადებს "ასი". მართალია, მოლაპარაკება რთულად მიმდინარეობს, მაგრამ მთელ რიგ საკითხებში "ატლეტიკომ" "პორტუსთან" საერთო ენა მაინც გამონახა. დარჩა გარკვეული დეტალები, რომელიც ამ დღეებში მოგვარდება და კვარეშმა "ვისენტე კალდერონს" მიაშურებს. პოზიტიური მომენტია ის, რომ ფეხბურთელი პირადი კონტრაქტის პირობებით კმაყოფილია.

რაც შეეხება ტრანსფერის საფასურს, აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ იანვარში "ატლეტიკოს" კვარეშმას ყიდვა 12 მილიონ ევროდ შეეძლო, მაგრამ უარი თქვა. ახლა კი ლამის ორჯერ მეტის გადახდა მოუწევს. "პორტუ" 25 მილიონ ევროს ითხოვს, მადრიდელებს 22 მილიონი ემეტებათ. სწორედ ეაა სირთულე. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საბოლოოდ "პორტუ" 23.5 მილიონზე დაყაბულდება.

## კივუ მაინც ინტერში წავაო...

სატრანსფერო ბაზრის ცნობილი კონსულტანტი **ერნესტო ბრონცეტი** დარწმუნებულია, რომ **კრისტიან კივუ** ბოლოს მაინც "ინტერში" გადავა. როგორც იცით, რუმინელ მცველზე უარი თქვეს "რეალმა" და "ბარსელონამ", რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მისთვის "ინტერის" კარი უკვე ღიაა. არადა, ერთი ხანობა "ნერაძურიმაც" უკან დაიხია. "რომას" თანხა ეცოტავა და მადრიდელებთან გააბა მოლაპარაკებები. ახლა კი, მას შემდეგ, რაც **ფაბიო გროსო** "ლიონში" გაუშვა, **მასიმო მორატი** კივუს ხელში ჩაგდებას ყველანაირად ეცდება.

ბრონცეტის აზრით, მოვლენები ამდაგვარად განვითარდება: "ინტერი" გადაიხდის 15 მილიონ ევროს და პლუს ამას, "ჯალოროსის" დაუთმობს ნიგერიელ ფორვარდ **ვიქტორ ობინას**, რომელიც ახლა "კიევოშია" განათხოვრებული. პრინციპში, მსგავსი წინადადება ადრეც იდგა დღის წესრიგში, მაგრამ "ინტერი" მაშინ მხოლოდ 11 მილიონ ევროს იხდიდა...

## სამპდორია: პალომბო ხელშეუხებელია, ფოტი გზაშია

"სამპდორია" **ანჯელო პალომბოს** გაყიდვას არ აპირებს. გენუელებმა უარი შეუთვალეს "რომას", რომელიც შემტევ ნახევარმცველში 6 მილიონ ევროს იძლეოდა. *"დიახ, რომაელები დაგვიკავშირდნენ და პალომბოს გაყიდვა შემოგვთავაზეს, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ ეს ფეხბურთელი ხელშეუხებელია,"* - აცხადებს "სამპის" გენერალური დირექტორი **ბეპე მაროტა**. ალბათ, ის უარს ეტყვის "ფიორენტინასაც", ვისთანაც პალომბომ წლების წინათ პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა. "სამპდორიაში" ის 2002 წლიდან ირიცხება.

ამასობაში, "დორია" 19 წლის ფორვარდ **სალვატორე ფოტის** იბრუნებს. ფოტი არენდით "ვიჩენცაში" თამაშობდა. ექსპერტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. როგორც ამბობენ, ფოტის "მანჩესტერ იუნაიტედი" და "იუვენტუსი" აკვირდებიან.

## ლაციომ ხიმენესი დაითხოვა

"ლაციომ" **ლუის ხიმენესს** წინასასეზონო შეკრებაზე არ უხმო. "ბიანკოჩელესტეს" მწვრთნელმა **დელიო როსიმ** უკვე შეარჩია ის 28 ფეხბურთელი, რომელსაც ავსტრიულ კემპზე წაიყვანს. ჩილელი ხიმენესი ამ სიაში არ ფიგურირებს. როგორც ჩანს, ნახევარმცველს რომიდან აბარგება მოუწევს. მის მომავალ კლუბად "ინტერს" ასახელებენ. ხიმენესი "ლაციალეში" განათხოვრებით თამაშობდა. "სტადიო ოლიმპიკოზე" ის იანვარში, "ტერნანიდან" (სერია C) გადავიდა. არენდის ვადა 2008 წელს იწურება.

## ლანჯელა: კალიარიდან ატალანტაში

"კალიარის" ფორვარდმა **ანტონიო ლანჯელამ** "ატალანტას" მიაშურა. კონტრაქტის მიხედვით, 30 წლის თავდამსხმელი ბერგამოში მომავალ ერთ სეზონს გაატარებს. ამის პარალელურად, "ატალანტის" ნახევარმცველი **ანტონიო დ'აგოსტინო** "კალიარიში" ერთწლიანი არენდით ითამაშებს.

რაც შეეხება ლანჯელას, ბოლო ჩემპიონატში მან მხოლოდ 16 მატჩში მიიღო მონაწილეობა. საგულისხმოა, რომ თავის დროზე **მარჩელო ლიპიმ** ის იტალიის ნაკრებშიც გამოსცადა. შეგახსენებთ, რომ ბოლო დღეებში სარდინიელებმა დაკარგეს შემტევი ნახევარმცველი **მაურო ესპოზიტოც**, რომელიც "რომას" ფეხბურთელი გახდა.

## უდინეზემ მესტო ჩაიბარა

"რეჯინის" აწ უკვე ყოფილი მცველი **ჯანდომენიკო მესტო** "უდინეზეში" გადასვლას სწორ ნაბიჯად თვლის. გარიგებით ყველა მხარე კმაყოფილია. მესტო იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მოთამაშეა. 25 წლის ფეხბურთელში ფრიულულმა კლუბმა 3.2 მილიონი გირვანქა გადაიხადა. გარიგების ნაწილად იქცა "უდინეზეს" პარაგვაელი ფორვარდი **ხოსე მონტიელი**, რომელიც რეჯოკალაბრიას მიაშურებს. მესტოს "ლაციოც" უპირებდა აყვანას, მაგრამ იმის შიშით, რომ "ოლიმპიკოზე" ნაკლები სათამაშო პრაქტიკა ექნებოდა, ფეხბურთელმა არჩევანი შედარებით მოკრძალებულ "უდინეზეზე" გააკეთა. თუმცა ის "უდინეზეს" მოკრძალებულ კლუბად სულაც არ თვლის...

## პარმა: ბოჟინოვი სარეზერვოდ?

"ფიორენტინამ" **ვალერი ბოჟინოვი**, შეიძლება, "პარმას" დაუთმოს. მაგრამ ეს უკანასკნელი ბულგარელ ფორვარდს მხოლოდ სარეზერვო ვარიანტად განიხილავს, იმ შემთხვევაში, თუ "მანჩესტერ იუნაიტედიდან" **ჯუზეპე როსის** გამოსყიდვას ვერ მოახერხებს. ის, რომ ბოჟინოვი ტრანსფერზეა დაყენებული, "ფიორენტინის" სპორტული დირექტორის **პანტალეო კორვინოს** მეშვეობით გახდა ცნობილი.

## სარაგოსა კოლოჩინისთვის? შეიძლება...

"მარკას" ინფორმაციით, "დეპორტივოს" მცველ **ფაბრიციო კოლოჩინის** აგენტი **მარსელო ლომბილია** "სარაგოსის" ხელმძღვანელობას შეხვდა. საუბრისას შესაძლო ტრანსფერის დეტალები განიხილეს. მხარეები გარიგებასთან ახლოს არიან. მოგეხსენებათ, არაგონელთა ცენტრალური მცველი **გაბრიელ მილიტო** "ბარსელონაში" გადასასვლელად ემზადება, "სარაგოსის" მწვრთნელ **ვიქტორ ფერნანდესს** კი მის ალტერნატივად სწორედ კოლოჩინი ესახება.

## სევილია და აიაქსი: დე მული გადაწყდა, ლუიშ ფაბიანო ქვირია

სამშაბათს, "სევილიის" გენერალური დირექტორი ხოსე მარია კრუსი ამსტერდამში ჩავა და თავის აიაქსელ კოლეგას შეხვდება. როგორც ვარაუდობენ, ამ შეხვედრას უმალ მოჰყვება გარიგება, "აიაქსის" ბელგიელი ნახევარმცველის ტომას დე მულის ანდალუსიაში გადაბარგებასთან დაკავშირებით. "სევილია" 5 მილიონ ევროს იხდის და ფეხბურთელს ამდენივეწლიან კონტრაქტს უფორმებს.

"სევილია"-"აიაქსის" ურთიერთობა მარტო ამით არ ამოიწურება. ცნობილი გახდა, რომ ჰოლანდიელი გრანდი ფორვარდ **ლუიშ ფაბიანოთია** დაინტერესებული და მზადაა, ტრანსფერში 6 მილიონი ევროც დახარჯოს. თუმცა მოლაპარაკებები მაშინვე ჩაიშალა, რა წამსაც "სევილიამ" ბრაზილიელში ერთბაშად 15 მილიონი მოითხოვა.

ინტერვიუ რონალდოსთან

# გაცილებით ძნელია, იყო კარგი მამა, ვიდრე დიდი ფეხბურთელი

რონალდო მსოფლიო ფეხბურთის ფასეულ ფიგურად რჩება, და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში არა ერთი ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა. "რეალში" მისი კარიერა და შესაძლებლობები ეჭვქვეშ დააყენეს. მაგრამ რონალდომ იცოდა, რომ მთლად ძველებურად თუ ვერა, იმ დონეზე მაინც შეეძლო თამაში, რომ ქომაგებს მისი ღირსებები საკადრისად დაეფასებინათ. ამიტომაც, დაუყოვნებლივ გაეშურა იტალიაში, იქ, სადაც ადრე "ინტერში" თამაშობდა, ახლა კი მისი მტრის ბანაკშია. "ფენომენმა" გაუძლო მძიმე დროს და მოკლე ხანში "მილანშიც" თქვა თავისი სიტყვა. "როსონერი" არ არის ის კლუბი, რომელიც ფეხბურთელს ტყუილად ყიდულობს. იქ დახვეწილი და კარგად მოფიქრებული სატრანსფერო პოლიტიკა აქვთ. ახლა "მილანელოში" მოუთმენლად ელიან ახალი სეზონისა და, მეტადრე, ჩემპიონთა ლიგის დაწყებას. რონალდოს უკვე ლიგაში თამაშის უფლებაც ექნება. ამიტომ, "შავწითელი" გვარდიის ამბიციები მომავალ კამპანიაშიც ფრიად წონადი იქნება. მოკლედ, გადავიდეთ მთავარზე და გთავაზობთ ინტერვიუს რონალდოსთან, რომელიც მან "ბიზნესუიქის" კორესპონდენტს მისცა...



**- რონალდო, არდადეგებსაც ვარჯიშში ატარებ?**

- დიახ. ისე მოხდა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ზაფხულობით, ფაქტობრივად, არ მივარჯიშია, ვერ ვახერხებდი... ახლა კი ენთუზიაზმით მივილე იდეა, რომ შვებულების დროსაც მევარჯიშა, და ეს ძალიან კარგია.

**- როგორ ფიქრობ, ევროპის რომელ გრანდს ჰყავს ყველაზე ძლიერი თავდასხმა?**

- "მილანს"! ხუმრობის გარეშე. ეს მსოფლიოს უძლიერესი გუნდია და არა მარტო ბრწყინვალე თავდასხმის გამო.

**- რა რჩევას მისცემდი კაკას, რომელსაც "რეალი" დაჟინებით იწვევს?**

- მას რჩევა არ სჭირდება. "რიკიმ" იცის, რომ თამაშობს უდიდეს კლუბში, რომელმაც ძალიან ბევრი რამ მისცა. რამდენიმე დღის წინათ, ჩვენ ერთად ვივახშმეთ ნიუ იორკში.."რეალის" თაობაზე მას დეტალებში არ უსაბრია, მაგრამ მივხვდი, რომ კვლავაც "მილანის" ერთგულია და ასეთად დარჩება. არა მგონია, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამე შეიცვალოს.

**- ვინ იქნება ახალი რონალდო? პატო თუ რობინიო?**

- პატო პირველად ვნახე მატჩში, რომელშიც მისმა "ინტერნასიონალმა" თვით "ბარსელონას" მოუგო. გენიალური ფინტები აქვს. ჩემი აზრით, მას ბრწყინვალე მომავალი აქვს. რაც შეეხება რობინიოს, მასთან ერთად "რეალში" ვთამაშობდი და ვიცი, რომ ის არის უმაღლესი კვალიფიკაციის ფეხბურთელი, დიდებული ტექნიკის პატრონი...

**- ბერლუსკონიმ ადრიანოს ყიდვის სურვილი გამოთქვა...**

- დარწმუნებული ვარ, ის ატმოსფერო, რაც "მილანელოშია", ადრიანოს ძალიან მოუხდებოდა. აქ ფეხბურთელები ერთმანეთს მუდმივად მხარში უდგანან, მათთვის სხვისი პრობლემა არ არსებობს... ადრიანოსთან ხშირი კონტაქტი მაქვს, ვმეგობრობთ კიდეც... ვიცი, რომ მას გარკვეული სირთულეები აქვს, მაგრამ ახლა მასზე საჯაროდ მსჯელობა არ მსურს. მხოლოდ ერთს დავამატებდი, რომ ძალიან გამიხარდება, თუ "მილანში" მოვა.

**- უკვე ესაუბრე "მილანის" ხელმძღვანელობას კონტრაქტის გაგრძელებაზე?**

- ჯერ არა, არ ვჩქარობთ. დრო თავისით მოიტანს ამის აუცილებლობას. მინდა, რომ დავრჩე და ვიცი, "მილანსაც" აქვს ამის სურვილი. პრობლემას ვერ ვხედავ.

**- ვის მისცემდი "ოქროს ბურთს"? კაკას თუ მალდინის?**

- "ოქროს ბურთს" ორივე იმსახურებს, მაგრამ აქ სხვადასხვა ფაქტორებია. ერთი რამ ვიცი, რომ როცა კანდიდატების დასახელების დრო მოვა, ვერც მალდინისა და ვერც კაკას გვერდს ვერ აუვლიან.

**- უცნაურია, რომ ჩემპიონთა ლიგის გარდა, ყველა ჯილდო მოგებული გაქვს. ათენის ფინალის შემდეგ ინძაგის არ გშურდა?**

- მშურდა კი არა, აღფრთოვანებული ვიყავი. ინძაგიმ ბევრი სიძნელე გადაიტანა, ვიდრე ძველებურ დონეს დაიბრუნებდა. ახლა მეც ამ პროცესში ვარ. დავამატებდი, რომ ათენური ტრიუმფი მარტო ინძაგის დამსახურება არ არის, იქ გუნდმა გაიმარჯვა, ძალიან დიდმა გუნდმა...

**- მომავალი სეზონის მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაშია?**

- რა თქმა უნდა, დიდებული იქნებოდა არა მარტო ფინალში თამაში, არამედ გამარჯვება... მაგრამ გაგეცინებათ და, ამ მომენტისთვის ჩემი მთავარი ამოცანაა, შვებულება, რაც შეიძლება, შინაარსიანად გავატარო. მინდა, რომ ეს იყოს ჩემი საუკეთესო არდადეგები. მხოლოდ ასე შევძლებ ოცნებების ასრულებას.

**- შაკილ ონილი ამბობდა, რეგულარულ სეზონში ძალიან ბევრს ვერ ვჯობნი, მხოლოდ ფლეი ოფების დროს ვემსგავსები საკუთარ თავსო. და როგორ ხდება ეს რონალდოს შემთხვევაში?**

- შაკის სიტყვებში გასაკვირი არაფერია, რადგან დიდი მოთამაშეები გადამწყვეტ მატჩებს განსაკუთრებული პასუხისმგებლოდით ატარებენ. ხშირად, ისინი მარტოც წყვეტენ თამაშის ბედს. მე დიდი ხნის წინათ გავითავისე სტაბილურობის მნიშვნელობა. ვის მოსწონს მოთამაშე, რომელიც ერთ მატჩში გაიბრწყინებს, მაგრამ მერე ხუთ თამაშს ჩააგდებს?

**- "ფლამენგოს" ქომაგები ოცნებობენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს სამშობლოში დაბრუნდები და კარიერასაც იქ დაასრულებ. არის ეს რონალდოს გეგმებში?**

- "ფლამენგო" ჩემი ბავშვობის სიყვარული და გატაცებაა. დიახ, ვიცი, რომ იქაურებს აქვთ ასეთი სურვილი, მაგრამ ახლა ნამდვილად ვერ ვიტყვი, როგორ წავა ჩემი საქმეები ახლო თუ შორეულ მომავალში.

**- ის მაინც თუ იცი, კარიერის დასრულების შემდეგ ბრაზილიაში იცხოვრებ თუ...**

- ძალიან მომწონს ბრაზილიაში არდადეგების გატარება, მაგრამ ვიცხოვრებ თუ არა სამშობლოში... ალბათ, ვერა, რადგან ჩემი შვილი ევროპაში იზრდება და მისგან შორს ვერ ვიქნები.

**- შვებულებას შვილთან და მეგობარ ქალ მარია ბეატრისთან ერთად ატარებ. იპოვე უკვე ოჯახური იდილია?**

- დიახ, მათთან ერთად თავს დიდებულად ვგრძნობ. ბიჭუნა ჯერ მხოლოდ 7 წლისაა, მაგრამ ხანდახან მგონია, რომ გაცილებით უფროსია, ისე ჭკვიანურად აზროვნებს...

**- რას ასწავლი შვილს?**

- პირველ რიგში იმას, რომ პატივი სცეს იმ ხალხს, ვინც მის გვერდითაა და საერთოდ, ყველას. უკვე მივხვდი, რომ იყო კარგი მამა, გაცილებით რთულია, ვიდრე ფეხბურთის თამაში ან სულაც ჩემპიონობა...

**- არდადეგებს ხშირად ახსენებ. ბოლოს და ბოლოს, გვითხარი, როგორ ისვენებ?**

- ვისვენებ და კვირაში ორჯერ მსუბუქად ვვარჯიშობ. წარმოგიდგენია? 50 დღე! ღმერთო, ამდენი არასოდეს დამისვენია... მაგრამ არ დაგიმალავ, ხანდახან უსაქმურობა ძალიან მოსაწყენია. მეგობრებთან ერთად, რამდენჯერმე ფეხბურთიც ვითამაშე. გასულ ორშაბათს კი ჩემი მწვრთნელი ტონიაჩინიც ჩამოვიდა და ნელ-ნელა საქმესაც შევუდექით...

**- კაპელო ამბობდა, რონალდომ მოტივაცია დაკარგაო. მართლა ასე იყო?**

- ძნელია, კაპელოს სიტყვებს დაუჯერო... ის დღეს ერთს ამბობს, ხვალ მეორეს... მართლა ასე თქვა? არ გამიგია, ასე თუ ფიქრობდა, ჩემთან მსგავსი რამ უთქვამს და გასაკვირია... საბედნიეროდ, ყოველთვის მოტივირებული ვარ. როგორც კი სტიმულს დავკარგავ, მაშინვე შევეშვები ფეხბურთს.

**- მილანში რომ ჩახვედი, მასიმო მორატი არ ნახე?**

- არა.

**- "მილანსა" და "ინტერს" შორის მტრობა რომ არ წყდება, ეს ნათლად გამოჩნდა დავიდ სუასოს ტრანსფერის დროს...**

- დეტალურად არ ვიცნობ სიტუაციას, ამაზე სხვებისგან გავიგე... მე მგონი, ეს ნორმალურია, მომავალი დერბი კიდევ უფრო დამაინტრიგებელი იქნება.

**- ...და კვლავ შეხვდები "იუვენტუსს"...**

- ვფიქრობ, "იუვე" ეცდება, დაამტკიცოს, რომ მისი წარმატებების საწინდარი მსაჯები არ ყოფილან...

**- ხომ არ გგონია, რომ შენს მეგობარ ზინედინ ზიდანს კიდევ შეეძლო თამაში?**

- ჩემი მეგობარი? მან ხომ მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალიდან გამაგდო... ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა. ისე, ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ და მართალი გითხრათ, კარიერაზე მისთვის არასოდეს მიკითხავს... ბოლოს და ბოლოს ზიზუ 35 წლისა წავიდა ფეხბურთიდან და ამ ასაკში თამაშს არც მე ვაპირებ.

**- რას აპირებ კარიერის დასრულების შემდეგ?**

- წარმოდგენა არ მაქვს. ჯერ მხოლოდ ის ვიცი, რომ "მილანისთვის" მაქსიმუმს გავაკეთებ. ამ გუნდმა ფეხბურთით ტკბობის შანსი დამიბრუნა. შესაძლოა, "მილანში" არც იციან, რამხელა სამსახური გამიწიეს. ამას არასოდეს დავივიწყებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმადური პროფესიის მსახურები

# სადამდე გაძლებ, ბერნდ?

## რეალი და სამწვრთნელო რყევების ანატომია

**"რეალიდან" ფაბიო კაპელოს გაძევებამ (სხვა სიტყვას ვერ დავარქმევთ) საფეხბურთო სამყაროში დიდი რეზონანსი გამოიწვია. სახელგანთქმულ იტალიელ ტაქტიკოსს ჩემპიონის ტიტულმაც ვერ უშველა. სამეფო კლუბის პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა კაპელოსთან განშორებას ასეთი ახსნა მოუძებნა - მისი და "რეალის" ფილოსოფია ერთმანეთისგან ძალიან შორს არის, ჩვენ სხვა კაცი გვჭირდებაო. ერთი შეხედვით, უცნაურია, როცა ამას ამბობს ისეთი სახელოვანი კლუბის მესვეური, როგორიც "რეალია", რადგან ამ ორ ფილოსოფიას შორის სხვაობას ლამის ბავშვიც ხვდება. მეორე მხრივ, კაპელოს სკანდალური გადაყენება ზუსტად ესადაგება იმ ტრადიციას, რაც "ბერნაბეუზე" წლების განმავლობაში მკვიდრდებოდა და დღესაც გრძელდება. სწორედ ამ ბოლო მაგალითით, ექსპერტები მივიდნენ იმ აზრამდე, რომ "რეალში" მწვრთნელებთან ურთიერთობის კულტურა სერიოზულად მოიკოჭლებს. მოდით, გადავხედოთ ისტორიას და ფაქტებით ვიმსჯელოთ...**

### გენიოსი მუნიოსი...

ერთხელ, "რეალის" ყოფილმა მწვრთნელმა, სახელგანთქმულმა **მიგელ მუნიოსმა**, რომელმაც სამეფო კლუბთან ერთად თითქმის ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა, ასეთი რამ თქვა: *"დღემდე მიკვირს, როცა ვიხსენებ, რომ "რეალის" მწვრთნელად მთელი 13 წელიწადი ვიმუშავე. იცვლებოდნენ მოთამაშეები, მენეჯერები, სტრუქტურები... ბოლოს და ბოლოს, შეიცვალა "სანტიაგო ბერნაბეუც", მე კი ამდენ ხანს გავძელი. ეჭვი მეპარება, რომ მომავალში, თუ გავითვალისწინებთ საკლუბო ხელმძღვანელთა მზარდ მადას, ვინმეს კიდევ მოუწიოს ჩემი მიღწევის გამეორება".*

...თითქოს წყალში იყურებოდაო. მუნიოსის შემდეგ, "რეალის" მწვრთნელად ყველაზე დიდხანს იმუშავა **ვისენტე დელ ბოსკემ** - სამნახევარი წელიწადი (!). და სწორედ დელ ბოსკეს გადაყენება ითვლებოდა სამეფო კლუბის ხელმძღვანელთა მიერ ბოლო ოცწლეულში გადადგმულ ყველაზე უგუნურ ნაბიჯად. დღეს შეიძლება ითქვას, რომ **ფაბიო კაპელოს** გაშვებაც იდენტური მოვლენაა. უცნაური კიდევ ისაა, რომ კაპელომ "რეალში", ორ სხვადასხვა პერიოდში, ორადორი სეზონი დაჰყო და ორივეჯერ ჩემპიონი გახდა...

### ჰოლანდიური ხანა

1986 წელს, მუდმივად "მეხანძრის" როლში მყოფმა **ლუის მოლოვნიმ** პოსტი **ლეო ბეენჰაკერს** გადააბარა. სამი წლის განმავლობაში ჰოლანდიელმა სერიოზული სამუშაო გასწია და ტიტულებიც დაახვავა. ამ პერიოდში "რეალმა" სამჯერ მოიგო პრიმერა დივიზიონი, ხოლო თითოჯერ ესპანეთის თასი და სუპერთასი. მაგრამ სამეფო კლუბის ხელმძღვანელთა ამბიციები მაინც ევროტრიუმფებისკენ იყო მიმართული. აქ, ასე ვთქვათ, მთავარი გამღიზიანებელი იყო "მილანი", რომელიც იმხანად დიდ გუნდად ყალიბდებოდა, "რეალს" კი განზე დგომა არ შეეძლო. ამიტომ, ბეენჰაკერი გაუშვეს, ჩათვალეს რა, რომ მან იმ ფორმაციიდან მაქსიმუმი გამოადნო...

### ცუდი დროება

ბეენჰაკერის წავლის შემდეგ "რეალი" ძირს დაეშვა. ჰოლანდიელის ნაცვლად გუნდში უელსელი **ჯონ ტოშაკი** მივიდა. ბრიტანელმა თავისი წესები მოიტანა. მწვრთნელებსა და მოთამაშეებს შორის ძმაკაცურ ურთიერთობებს წერტილი დაესვა. კლუბის ზედა ეშელონებში ტოშაკისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო. მიუხედავად ჩემპიონატის მოგებისა, უელსელის ზურგსუკან ბევრი მიანიშნებდა, რომ იმ გუნდის ფუნდამენტი ბეენჰაკერის მიერ იყო ჩაყრილი. ტოშაკი მიხვდა, რომ პიკანტურ სიტუაციაში აღმოჩნდა. ერთ-ერთი ინტერვიუს დროს მან, ალბათ შეგნებულად, თქვა, რომ სანაკრებო ფეხბურთში აპირებდა გადაბარგებას. ეს ინტერვიუ მისთვის ბოლო იყო "რეალის" მწვრთნელად მუშაობის პერიოდში. ტოშაკი მოხსნეს...

...და დანიშნეს ლეგენდარული **ალფრედო დი სტეფანო**, რა თქმა უნდა, ისიც "მეხანძრის" როლში. მალე გუნდს სათავეში ჩაუდგა **რადომირ ანტიჩი**, რომელსაც მანამდე სამი სეზონი "სარაგოსაში" ჰქონდა გატარებული. ანტიჩი ტოშაკის სრული ანტიპოდი იყო. სერბმა ფეხბურთელებთან მაშინვე თბილი ურთიერთობა დაამყარა, მაგრამ მალევე გამოჩნდა, რომ ხელმძღვანელობა კიდევ ერთხელ შეცდა. ანტიჩს არ ჰქონდა საკმარისი ავტორიტეტი იმისთვის, რომ უკიდეგანო ამბიციების მქონე "რეალში" ემუშავა...

მერე ისევ ბეენჰაკერს მიადგნენ. მაგრამ მან ერთ მდინარეში მეორედ შესვლა ვერ შეძლო და ხუთ თვეში სავარძელი **ბენიტო ფლოროს** გადაულოცა. ეს პერიოდია, როცა "ბარსელონა" ქვას ქვაზე არ ტოვებს. ფლორომ თითქოს მოახერხა მოშიებული ფეხბურთელების ერთ მუშტად შეკვრა, მაგრამ მისი ორწლიანი მუშაობა ესპანეთის თასსა და სუპერთასს ვერ გასცდა. ამარცხებდა რა "ბარსელონას" სუპერთასის მატჩებში, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ "რეალი", როგორც თასის მფლობელი, ჩემპიონს სჯობდა, მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვაგვარად იყო. იწყებოდა ახალი სეზონი, ახალი დამარცხებები, ახალი რღვევები...

მოდის **ხორხე ვალდანო**, რომელსაც "რეალისთვის," ისევ და ისევ, სუპერთასი მოაქვს. როცა გაირკვა, რომ არგენტინელის ხელში სამეფო კლუბი ჩემპიონის ტიტულს მხოლოდ სიზმარში თუ ნახავდა, უკვე გვიან იყო. ვალდანომ პოსტი **არსენიო იგლესიასს** დაუთმო. მოხუცმა სპეციალისტმა "რეალის" მორყეულ სამწვრთნელო სკამზე მხოლოდ ხუთი თვე გაძლო...

### რევოლუციონერი იტალიიდან

**ფაბიო კაპელოს** სახელი იმ დროისთვის უკვე მთელ მსოფლიოში ქუხდა. 1994 წელს, მისმა "მილანმა" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გენიალური "ბარსელონა" დააჩოქა (4:0). მერე მოიგო ბოლო სკუდეტო "როსონერისთან" ერთად და... მადრიდიდანაც დაურეკეს. კაპელოს მოსვლას გუნდში მასობრივი საკადრო ცვლილებები მოჰყვა. დაიწყო იტალიური რევოლუცია. "რეალში" გამოჩნდნენ **რობერტო კარლოსი, პრედრაგ მიატოვიჩი** ("რეალის" ამჟამინდელი სპორტული დირექტორი, რომელსაც კაპელოს გადაყენებაში ლომის წილი მიუძღვის), **დავორ შუკერი, კლარენს ზეედორფი, კრისტიან პანუჩი**... "დონ ფაბიომ" ადგილობრივი ახალგაზრდობის დაწინაურებასაც მიჰყო ხელი. სწორედ მის ხელში ამობრწყინდა "რეალის" დღევანდელი სიმბოლოს **რაულ გონსალეს ბლანკოს** ვარსკვლავი. კაპელოს პოლიტიკას კლუბის ხელმძღვანელობაც, პრესაცა და ქომაგებიც გაგებით შეხვდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ სწორედ ეს მოიტანდა მივიწყებულ ჩემპიონთა თასს...

და მაინც, კაპელომ მხოლოდ ერთი სეზონი დაჰყო მადრიდში, თვით იმისდა მიუხედავად, რომ გუნდი ჩემპიონი გახადა. მთავარ მწვრთნელად დაინიშნა გერმანელი **იუპ ჰაინკესი**, რომელმაც 32-წლიანი პაუზის შემდეგ, "რეალს", ბოლოს და ბოლოს, უმაღლესი ევროსაკლუბო ჯილდო მოუტანა. მაშინ ჰაინკესზე თქვეს - ჩემპიონთა ლიგა "კაპელოს გუნდით" მოიგოო და... თანამდებობა დაატოვებინეს. თუმცა ამას წინ უძღვოდა კონფლიქტი კლუბის ხელმძღვანელობასთან...

ამის შემდეგ, სულ რამდენიმე კვირით, გუნდს სათავეში "რეალის" კიდევ ერთი ლეგენდა, **ხოსე ანტონიო კამაჩო** ჩაუყენეს. მერე, მადრიდული გრანდის უფროსებს თვალში მოუვიდათ **გუუს ჰიდინკი**, რომლის ჰოლანდიამ, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ბრწყინვალე თამაში აჩვენა. "რეალიდან" ხელცარიელი არც ჰიდინკი წასულა. სამეფო კლუბს მან საკონტინენტთაშორისო თასი დაუტოვა...

...და ისევ ტოშაკი, რომელმაც ახალ "რეალში" წელიწადზე ნაკლები "ილვაწა". ამ პერიოდს თაობათა მორიგი ცვლა დაემთხვა. მაგრამ ტოშაკს მუშაობა ისევ არ აცალეს...

### დელ ბოსკეს გალაქტიკოები

აქამდე, "რეალის" პრეზიდენტებზე კონკრეტულად არაფერი გვითქვამს და ვგონებთ, **ფლორენტინო პერესი** ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ ერთი-ორი სიტყვა შევაწიოთ. პერესმა სამეფო კლუბში წინააღმდეგობრივი ეპოქა შექმნა. ერთი მხრივ, მან გუნდში ერთმანეთის მიყოლებით მიიყვანა მსოფლიო კალიბრის ვარსკვლავები - **ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, დევიდ ბექჰემი**... "რეალს" "გალაქტიკოების" გუნდიც შეარქვეს. თუმცა პერესის მთავარი მინუსი ის იყო, რომ უპირველეს მნიშვნელობას ბიზნესგეგმას ანიჭებდა და არა საფეხბურთო სფეროს განვითარებას. თითოეული ზემოხსენებული "გალაქტიკო" პერესისეული ბიზნესგეგმის ცალკე აღებული ნაწილი იყო, მეტადრე ბექჰემი, რომელსაც საფეხბურთო ღირსებებსაც ვერ დავუკარგავთ...

ამ დროს, მთავარ მწვრთნელად მუშაობდა **ვისენტე დელ ბოსკე**, რომელსაც, ისევე, როგორც 1994 წელს, მადრიდში ხანგრძლივად მუშაობას არავინ უწინასწარმეტყველებდა. მაგრამ ამ ხუმრობა-ხუმრობაში "მსუქანმა ულვაშამ" ორჯერ (2000, 2002) მოიგო ჩემპიონთა ლიგა... თუმცა ერთ სალამოს დაიბარეს და უთხრეს, რომ პოსტი უნდა დაეტოვებინა...

### კეიროში, ლუქსემბურგო, რემონი, კარო...

აქ კიდევ ერთხელ უნდა შევჩერდეთ პერესის არაადექვატურობაზე. რამდენადაც ვარსკვლავური შემადგენლობა ჰყავდა გუნდს, ამდენადვე ვერ უძლებდა კრიტიკას იმ მწვრთნელთა კოჰორტა, რომელთაც მოკლე პერიოდში "რეალი" წინდებივით იცვლიდა. დელ ბოსკეს შემდეგ მანჩესტერიდან ჩამოიყვანეს სერ **ალექს ფერგიუსონის** თანაშემწე, პორტუგალიელი **კარლუშ კეიროში**. მას სრული კარტ-ბლანში მისცეს, მაგრამ ვარსკვლავებთან სამუშაოდ მზად არ აღმოჩნდა. თუმც ეს წინასწარ უნდა სცოდნოდათ...

"რეალის" მომდევნო ოთხი "დამრიგებელი" ერთმანეთს ანტირეკორდის დამყარებაში ეჯიბრებოდა. კამაჩომ და **გარსია რემონმა** მხოლოდ 3 თვე დაჰყვეს პოსტზე, **ვანდერლეი ლუქსემბურგომ** 11 თვე იმუშავა, **ხუან ლოპეს კარომ** კი მხოლოდ ნახევარი წელიწადი...

### ეპილოგის მაგიერ

მწვრთნელის გაშვება ფეხბურთში ჩვეულებრივი ამბავია, ისევე, როგორც გუნდიდან იმ ფეხბურთელების წასვლა, ვის ზურგსუკანაც სახელი და დიდებაა, საკუთარიცა და კლუბისაც. მაგრამ ეს ზოგადად, თორემ "რეალის" მაგალითზე... ისე, იმ ჭკვიანმა კაცმა, მიგელ მუნიოსმა, მართალი თქვა - პრეზიდენტების გაზრდილი მადაო. ჰოდა, ამიტომაც შეუდგება "რეალი" ახალ აღმართს, ამჯერად, **ბერნდ შუსტერის** მეთაურობით... სადამდე, ბერნდ?



| რეალის მწვრთნელები ბოლო ოცწლეულში | |
|---|---|
| 1986-89 | ლეო ბეენჰაკერი (ჰოლანდია) |
| 1989-90 | ჯონ ტოშაკი (უელსი) |
| 1990 | ალფრედო დი სტეფანო |
| 1991 | რადომირ ანტიჩი (იუგოსლავია) |
| 1992 | ლეო ბეენჰაკერი (ჰოლანდია) |
| 1992-93 | ბენიტო ფლორო |
| 1994 | ვისენტე დელ ბოსკე |
| 1994-95 | ხორხე ვალდანო (არგენტინა) |
| 1995-96 | არსენიო იგლესიასი |
| 1996 | ფაბიო კაპელო (იტალია) |
| 1997 | იუპ ჰაინკესი (გერმანია) |
| 1998 | გუუს ჰიდინკი (ჰოლანდია) |
| 1998-99 | ჯონ ტოშაკი (უელსი) |
| 1999-03 | ვისენტე დელ ბოსკე |
| 2003 | კარლუშ კეიროში (პორტუგალია) |
| 2004 | ხოსე ანტონიო კამაჩო |
| 2004 | გარსია რემონი |
| 2004-05 | ვანდერლეი ლუქსემბურგო (ბრაზილია) |
| 2005 | ხუან ლოპეს კარო |
| 2006-07 | ფაბიო კაპელო (იტალია) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინტერტოტოს თასი

### II რაუნდი. I მატჩები

| | |
|---|---|
| ტობოლი (ყაზ)–ლიბერეცი (ჩეხ) | 1:1 |
| მარიბორი (სლოვენ)–ჰაიდუკი (სერ) | 2:0 |
| მაკედონია (მაკ)–ჩერნო მორე (ბულ) | 0:4 |
| ჩერნომორეცი (უკრ)–შახტიორი (ბელ) | 4:2 |
| დაჩია (მოლ)–სტ. გალენი (შვეიც) | 0:1 |
| მაკაბი (პ. ისრ)–გლორია (რუმ) | 0:2 |
| გენკი (ბელ)–კლიფტონვილი (ჩ.ირლ) | 2:0 |
| რაპიდი(ავსტ)–სლოვანი (სლოვაკ) | 3:1 |
| ზალაეგერსეგი (უნგ)–რუბინი (რუს) | 0:3 |
| სლავია (ბოს)–ოცელული (რუმ) | 0:0 |
| კორკი (ირლ)–ჰამარბიუ (შვედ) | 1:1 |
| ჰონკა (ფინ)–ოლბორგი (დან) | 2:2 |
| ტრაბზონი (თურ) -ვლაზნია (ალბ) | 6:0 |
| ვეტრა (ლიტ)–ლეგია (პოლ) *მატჩი შეწყდა* | 2:0 |

*საპასუხო მატჩები 14/15 ივლისს გაიმართება.*

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ბორდო–მარსელი | 2:3 |
| ვალანსი–ნანტი | 0:0 |
| ივერდონი–სერვეტი | 1:3 |
| ვადუცი–ვილი | 0:1 |
| არაუ–ციურიხი | 2:1 |
| ავსტრია–პართსი | 1:2 |
| ბოხუმი–ჰაიდუკი | 5:4 |
| ტიროლი–სპარტაკი | 0:2 |
| ქსამაქსი–შატორუ | 1:4 |
| მონაკო–ლოზანა | 2:0 |
| იანგ ბოიზი–სელტიკი | 4:1 |
| ლაიფციგი–ჰანოვერი | 0:3 |
| ნანსი–გრენობლი | 1:0 |
| ტრირი–კიოლნი | 0:2 |
| ბურგჰაუზენი–დინამო (ბუქ) | 0:3 |
| მუნსტერი–პადერბორნი | 1:3 |
| ლოზანა–ბოლცი | 1:0 |
| ვოლფსბურგი–მიუნხენი | 5:1 |
| ტორქაუტი–ბრიუგე | 1:0 |
| შაფჰაუზენი–ფრაიბურგი | 1:2 |

## აზიის თასი

| | |
|---|---|
| ტაილანდი–ერაყი | 1:1 |
| ავსტრალია–ომანი | 1:1 |
| ვიეტნამი–საემიროები | 2:0 |

## მსოფლიო ჩემპიონატი

### UNDER 20

| | |
|---|---|
| ავსტრია–კანადა | 2:1 |
| მექსიკა–პორტუგალია | 2:1 |
| ჩილე–კონგო | 3:0 |
| არგენტინა–ჩრ. კორეა | 1:0 |
| ჩეხეთი–პანამა | 2:1 |
| ბრაზილია–აშშ | 1:2 |
| პოლონეთი–ს. კორეა | 1:1 |
| ესპანეთი–იორდანია | 4:2 |
| ურუგვაი–ზამბია | 0:2 |
| იაპონია–ნიგერია | 0:0 |
| შოტლანდია–კოსტა რიკა | 1:2 |
| ახ. ზელანდია–მექსიკა | გვ. დასრულდა |
| პორტუგალია–გამბია | გვ. დასრულდა |

## ფინეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| კტპ–ტურკუ | 4:2 |
| მიუპა–ტამპერე | 4:1 |
| ვაასა–ინტერი | 0:0 |
| ჰაკა–ჰიკ | დღეს |

## ირლანდია

XVII ტური

| | |
|---|---|
| დერი–სლიგო | 4:1 |
| დუბლინი–დროგედა | 0:1 |
| უოტერფორდი–სტ. პატსი | 2:1 |
| ლონგფორდი–შემროკი | 0:3 |
| ბოჰემიანსი–ბრეი | დღეს |

## შვედეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| იურგორდენი–მალმიო | 1:0 |
| ერებრუ–ჰალმსტადი | 0:3 |
| გაის–ტრელებორგი | დღეს |
| გეფლე–ბრომაპოიკარნა | დღეს |
| აიკ–ელფსბორგი | დღეს |

### II დივიზიონი

XIV ტური

| | |
|---|---|
| სირიუსი–იონჩოპინგსი | 2:1 |
| სუნდსვალი–ლიუნგსკილე | 3:0 |
| ბუნკეფლო–იორგრიტე | 0:2 |
| ლანდსკრონა–ატვიდაბერგსი | 4:2 |

## სლოვაკეთი

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| ჟილინა–მორავცე | 1:1 პენ. 5:4 |

## ბრაზილია

X ტური

| | |
|---|---|
| პარანა–ამერიკა | 1:0 |
| ატ. მინეირო–გრემიო | 0:1 |
| კორინთიანსი–ფლუმინენსე | 1:1 |
| სანტოსი–კრუზეირო | 4:1 |
| ბოტაფოგო–ატ.პარანაენსე | 2:0 |
| გოიასი–რესიფე | 3:2 |
| ინტერნასიონალი–ფიგეირენსე | 2:1 |
| ჟუვენტუდე–ვასკო და გამა | 2:0 |
| ნაუტიკო–პალმეირასი | 0:1 |
| სან პაულო–ფლამენგო | 0:0 |

## აშშ

XV ტური

| | |
|---|---|
| კოლამბუსი–სოლტ ლეიკი | 2:0 |
| ნიუ ინგლენდი–ჩივასი | 1:1 |
| ჩიკაგო–ტორონტო | 1:1 |
| ლოს ანჯელესი–კანზას სიტი | 2:2 |
| კოლორადო–ნიუ იორკი | გვ. დასრულდა |
| ჰიუსტონი–ვაშინგტონი | გვ. დასრულდა |

ინტერვიუ ილდირაი ბაშთურქთან

# საჩემპიონო ბრძოლაში შტუტგარტი აუტსაიდერია

## მაგრამ VFB ფავორიტი არც გასულ სეზონში ყოფილა...

ერთი წლის წინათ, როცა „შტუტგარტი“ იმ ტრიუმფალური სეზონისთვის ემზადებოდა, რომელმაც ყველასთვის მოულოდნელად გერმანიას ჩემპიონობა მოუტანა, შვაბენლანდურ კლუბს ილდირაი ბაშთურქის დონის ნახევარმცველი არ ჰყავდა. თუმცა ბუნდესლიგის გასული სეზონი ხომ მთლიანად პარადოქსი იყო – შესაბამისად, არც ეს უნდა გაგვიკვირდეს. მაგრამ სენსაციები იშვიათად ხდება. ამრიგად, შვაბებს წინ გაცილებით მძიმე სეზონი ელით. პირველ რიგში იმის გამო, რომ ჩემპიონები არიან და შესაბამისად, ზეწოლა უდიდესია. და ესეც არ იყოს, არმინ ფეეს გუნდი ხომ ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს. ეს კი ორმაგ დატვირთვას ნიშნავს. შვაბების უმთავრესი შენაძენი თურქი ფლეიმეიქერი ილდირაი ბაშთურქია, რომელმაც „შტუტგარტს“ ბერლინის „ჰერტადან“ (უფასოდ) მიაშურა. ამ უკანასკნელმა VFB-ს ნახევარდაცვა თავდასხმასთან უნდა შეაკავშიროს. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ილდირაის საინფორმაციო სააგენტო DPA-მ ჩამოართვა.



ილდირაი ბაშთურქმა ჩემპიონებთან ერთად ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო

**- ჰერ ბაშთურქ, აგერ უკვე რამდენიმე დღეა, რაც გერმანიის ჩემპიონებთან ერთად ვარჯიშობთ. ახალმა თანაგუნდელებმა როგორ მიგიღეს?**

- პოზიტიურად გაკვირვებული ვარ. ბიჭები ძალიან მეგობრულები არიან. საერთოდ, კომუნიკაბელური ვარ და ახალგაცნობილ ადამიანებთან საერთო ენის გამონაწვა არასდროს მიჭირს. შესაბამისად, დარწმუნებული გახლავართ, რომ ადაპტაციის პერიოდი არ გამიგრძელდება და მალე „შტუტგარტში“ თავს ისე ვიგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, გუნდში ჩინებული განწყობაა.

**- „შტუტგარტი“ გერმანიის ჩემპიონია – არმინ ფეემ ჩამოაყალიბა გუნდი, რომელმაც ნამდვილი სასწაული მოახდინა. თქვენ ამ გუნდში ახალი კაცი ხართ და არ შიშობთ, რომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ? ანუ, ფაქტია, რომ ვილაცას სასტარტო შემადგენლობაში ადგილს წაართმევთ, რაც შეიძლება იმის მიზეზი გახდეს, რომ ზოგ-ზოგიერთებმა ამრეზით დაგიწყონ ყურება...**

- რას ვიზამთ, ესეც ფეხბურთის ნაწილია. მწვრთნელმა და გენერალურმა მენეჯერმა გადაწყვიტეს, რომ საჭირო ვიყავი - ჰოდა, ესე იგი, ამ გუნდს მართლაც ვჭირდები. ნამდვილად არ ვარ ისეთი ადამიანი, რომელიც გუნდურ სულისკვეთებას ეწინააღმდეგება ან ხელს უშლის. იმედი მაქვს, რომ ჩემს შესაძლებლობებს მალე დავამტკიცებ. მოკლედ, პრობლემა არ არსებობს.

**- ბერლინის „ჰერტაში“ 3 წელინადი გაატარეთ. აქედან, პირველი ორი სეზონი კარგად ჩაატარეთ და თქვენს მიმართ საპრეტენზიო არავის არაფერი ჰქონია. აი, ბოლო სეზონში კი აშკარად ხელი მოგეცარათ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ტრავმებმაც შეგიშალათ ხელი...**

- ახლა სრულიად ჯანმრთელი ვარ და კიდევ კარგი, რომ აღარაფერი მაწუხებს. სეზონის ბოლო მატჩები უპრობლემოდ ჩავატარე, ასევე, ვიასპარეზე თურქეთის ნაკრებშიც. ტკივილები დიდი ხანია, აღარ მაწუხებს. ცხადია, ფორმაში ჯერ არ ვარ, რადგან რიტმიც მაკლია და პაუზაც ხანგრძლივი გამომივიდა, მაგრამ არ ვნერვიულობ – ფორმას ძალიან მალე აღვიდგენ. ამ 5 კვირის განმავლობაში თავს არ დავზოგავ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გერმანიის ჩემპიონატის სტარტს საუკეთესო ფორმაში მყოფი შევხვდე.

**- „შტუტგარტის“ გულშემატკივრებს მადა გაუძლიერდათ, რაც მოსალოდნელიც იყო. თუკი ერთი წლის წინათ ჩემპიონთა ლიგის საგზურზე ოცნებობდნენ, ახლა უკვე „ვერცხლის სინის“ შენარჩუნებას ითხოვენ. თქვენთვის ეს კარგია თუ ცუდი? ფაქტი ის არის, რომ ზეწოლა გაიზარდა...**

- ცხადია, რომ ჩემთვის უფრო იოლი იქნებოდა ისეთ გუნდში თამაში, რომელსაც სერიოზული ამბიციები არ გააჩნია, რადგან იქ უფრო თავისუფლად ვიქნებოდი. მაგრამ მე ნაბიჯს უკან არასდროს გადავდგამ. მაშ, რა აზრი აქვს ჩემი კარიერის გაგრძელებას, თუკი სირთულეებს თავიდან ავიცილებ? ისე კი, „შტუტგარტისთვის“ ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება გაცილებით ძნელი იქნება, ვიდრე მისი მოპოვება იყო.

**- მართალია, ჯერ მხოლოდ 28 წლის ხართ, მაგრამ „შტუტგარტი“ იმდენად ახალგაზრდული გუნდია, რომ თქვენ აქ ერთ-ერთი ვეტერანი იქნებით. გაქვთ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გამოცდილება („ლევერკუზენთან“ ერთად – გ.ლ.) და ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება იმას, რომ ფეე წამყვანი ფიგურის, ერთ-ერთი ლიდერის როლს გთავაზობთ...**

- მე უკვე ისეთ ასაკში ვარ, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელები ყველგან და ყოველთვის მეკითხებიან რჩევებს. „შტუტგარტში“ მოთამაშეების უდიდესმა ნაწილმა 20 წელს ახლახან გადააბიჯა, მაგრამ ამ გუნდმა უკვე ძალიან ბევრს მიაღწია – გახდა გერმანიის ჩემპიონი, რაც უდიდესი, წარმოუდგენელი სენსაციაა. 90 პროცენტს ჩემპიონთა ლიგაში არ უთამაშია. ჰოდა, მე აქ კიდევ იმისთვის ვარ, რომ ახალ თანაგუნდელებს ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში ჩემი გამოცდილება გავუზიარო და ამ გამოცდილებით დავეხმარო.

**- შესანიშნავი ტრანსფერების შემდეგ „ვერცხლის სინის“ მოპოვების უმთავრესი კანდიდატი „ბაიერნია“. თითქმის ვერ იპოვით ადამიანს, რომელიც ფიქრობს, რომ „შტუტგარტი“ ჩემპიონობას შეინარჩუნებს. თქვენ რა აზრის ხართ?**

- მეც ასეთივე სცენარი წარმომიდგენია – „ბაიერნი“, როგორც ყოველთვის, ახლაც ბუნდესლიგის უმთავრესი ფავორიტია. განსაკუთრებით მას მერე, რაც ტონი, რიბერი და კლოზე შეიძინა. „შტუტგარტი“ კი, საჩემპიონო ბრძოლაში, რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, აუტსაიდერია. დიახ, ჩვენ არ ვართ ბუნდესლიგის ფავორიტები, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ეს გუნდი არც გასულ სეზონში იყო ფავორიტი, მაგრამ ჩემპიონი გახდა. პირველობისთვის ისევ ეს ოთხეული იბრძოლებს: „ბაიერნი“, „ვერდერი“, „შალკე“, „შტუტგარტი“. ამ ოთხეულს მინიმუმ ერთი სენსაციური გუნდი მიემატება – მაგალითად, მე ასეთ როლს დორტმუნდის „ბორუსიას“ ვუწინასწარმეტყველებ, რომელიც საკმაოდ გაძლიერდა. იქვე იქნებიან „ჰამბურგი“ და „ლევერკუზენიც“. უყურადღებოდ არც „ვოლფსბურგის“ მიტოვება შეიძლება – ამ გუნდს ხომ თვით ფელიქს მაგათი წვრთნის.

**- მაინც, რა იქნება „შტუტგარტის“ მიზანი მომავალ სეზონში?**

- ვინც ბუნდესლიგაში მოკლევადიანი მიზნები დაისახა, ყველა გაუბედურდა. „შტუტგარტს“ კი გრძელვადიანი გეგმა აქვს. VFB-ს მიზანი, საბოლოო ჯამში, სტაბილური გრანდის სახელის მიღება და საუკეთესო სამეულში დამკვიდრებაა. რაც შეეხება კონკრეტულ მიზანს ამ სეზონისთვის – ცხადია, რომ ჩემპიონობის შენარჩუნება გვსურს. პირადად მე კი ვისურვებდი, რომ ტრავმა აღარ მივიღო და მთელი სეზონი სტაბილურად ჩავატარო. დარწმუნებული ვარ, რომ VFB-ს წარმატებული სეზონი ექნება.

**- და რისი იმედი გაქვთ ჩემპიონთა ლიგაში?**

- რა თქმა უნდა, ძალიან კარგია ის, რომ ევროპის საუკეთესო გუნდებთან მოგვიწევს ჭიდილი. თუკი გუნდი ზუსტად ისევე ერთ მუშტად იქნება შეკრული, როგორც გასულ სეზონში, მაშინ ჯგუფურ ეტაპს აუცილებლად გადავლახავთ. მერე კი, ფლეი ოფიდან, უკვე ყველაფერი მოსალოდნელია.

**- რომელი გუნდების წინააღმდეგ ისურვებდით თამაშს?**

- ინგლისური გუნდების წინააღმდეგ, რადგან ბრიტანულ კლუბებთან ყოველთვის კარგად გამოვიყურები ხოლმე. ისე კი, ძალიან გამიხარდება, თუ ჯგუფში თურქულ კლუბთან ერთად მოვხვდებით. მართალია, გაორებული გრძნობა მექნება, მაგრამ მაინც – ეს ძალიან კარგი იქნებოდა.

**გოტფრიდ ლენცი**



კარლოს ალბერტო

ტრანსფერი

# კარლოს ალბერტო ბრემენშია

## მან დიეგოსთან ერთად მრისხანე დუეტი უნდა შექმნას...

გუშინ გერმანულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ბრემენის „ვერდერმა“ სასურველი ფეხბურთელის, ბრაზილიელი ნახევარმცველის, **კარლოს ალბერტოს** ტრანსფერი სრულჰყო. გაირკვა, რომ რიო დე ჟანეიროს „ფლუმინენსეს“ შუამარბი გუშინ ნაშუადღევს ბრემენში ჩავიდა. „კიკერის“ ინფორმაციით, კარლოს ალბერტო სამედიცინო შემოწმებას დღეს გაივლის, რის შემდეგაც პრესას „ვერდერის“ ფეხბურთელის რანგში წარუდგება. „კიკერი“ იმასაც გვამცნობს, რომ „მუსიკოსებს“ ამ ფეხბურთელის შეძენა დაახლოებით 8 მილიონი ევრო დაუჯდათ.

აღსანიშნავია, რომ „ფლუმინენსეს“ ოფიციალურმა ვებ-გვერდმა ტრანსფერი გაჩარხულად ჯერ კიდევ შაბათს გამოაცხადა.

ამრიგად, „მუსიკოსთა“ თავკაცმა **თომას შააფმა** მიიღო ის მოთამაშე, რომლის გადაბირებაც ძალიან სურდა. კარლოს ალბერტო **დიეგოს** ძველი თანაგუნდელია და როგორც ამბობენ, ისინი ერთმანეთს შესანიშნავად უგებენ – როგორც მოედანზე, ასევე მის მიღმა. ასე რომ, დიეგოსა და კარლოს ალბერტოს დუეტი ერთ-ერთი უძლიერესი უნდა იყოს ბუნდესლიგაში.

ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატი. U 20

# საქართველო ელიტაში რჩება

**7 ივლისი, გორიცია (იტალია)**

**იტალია-საქართველო 94:56**

15:15, 34:18, 20:9, 25:14

| იტალია | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| პიაცა | 20 | 7 | 1 | 4 | 4 | 0 | 2 |
| გიური | 13 | 6 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ბრუტინი | 11 | 4 | 2 | 0 | 1 | 0 | 2 |
| ტომასინი | 14 | 2 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 |
| კუჩაროლო | 21 | 9 | 12 | 1 | 0 | 2 | 4 |
| ფილოი | 16 | 10 | 5 | 1 | 0 | 0 | 2 |
| არადორი | 19 | 10 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ამანატო | 4 | 4 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 |
| დერკოლე | 15 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 |
| და ტომე | 25 | 21 | 9 | 1 | 3 | 0 | 2 |
| ჩიმენტი | 18 | 4 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 |
| ჰაკეტი | 24 | 17 | 4 | 5 | 1 | 0 | 4 |
| **საქართველო** | **წთ** | **ქ** | **მ** | **პ** | **ჩ** | **დ** | **შ** |
| გაფრინდაშვილი | 21 | 5 | 2 | 2 | 1 | 0 | 5 |
| დიდია | 17 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ფარლალავა | 17 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ბერიშვილი | 13 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| შერმადინი | 19 | 12 | 3 | 1 | 0 | 0 | 4 |
| წიფწივაძე | 12 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 3 |
| ცეკვავა | 8 | 3 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 |
| ლაფანაშვილი | 21 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 |
| ჭოჭუა | 20 | 12 | 3 | 0 | 2 | 0 | 1 |
| ჯღერენაია | 15 | 5 | 2 | 0 | 1 | 2 | 0 |
| გულისაბედაშვილი | 17 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| მათიაშვილი | 21 | 10 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 |

**8 ივლისი, ნოვა გორიცა (სლოვენია)**

**საქართველო-ბულგარეთი 75:74**

22:12, 14:23, 20:17, 19:22

| იტალია | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გაფრინდაშვილი | 35 | 14 | 2 | 4 | 1 | 0 | 2 |
| დიდია | 21 | 3 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 |
| ჭოჭუა | 30 | 22 | 3 | 2 | 0 | 0 | 1 |
| ბერიშვილი | 17 | 0 | 4 | 0 | 0 | 1 | 1 |
| შერმადინი | 23 | 10 | 13 | 2 | 0 | 5 | 5 |
| წიფწივაძე | 5 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ლაფანაშვილი | 16 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 1 |
| ფარლალავა | 33 | 17 | 3 | 1 | 3 | 0 | 4 |
| ჯღერენაია | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მათიაშვილი | 16 | 5 | 4 | 0 | 1 | 0 | 4 |
| **ბულგარეთი** | **წთ** | **ქ** | **მ** | **პ** | **ჩ** | **დ** | **შ** |
| ნაკოვი | 17 | 6 | 1 | 3 | 0 | 0 | 2 |
| დუჩევი | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კოლევი | 29 | 14 | 9 | 0 | 0 | 0 | 2 |
| კოსტოვი | 39 | 16 | 5 | 4 | 2 | 0 | 5 |
| ლ. ლილოვი | 19 | 7 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |
| ი. ლილოვი | 32 | 16 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 |
| ავრამოვი | 22 | 6 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ჩოლაკოვი | 28 | 9 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 |
| ფილჩევი | 5 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ფიკოფი | 2 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |

*პირველი გვერდიდან*

პირველი ეტაპის დასკვნითი ორი მატჩის მიმოხილვა იტალია-საქართველოს შეხვედრით დავიწყოთ. **დავით უსტიაშვილის** შეგირდებმა მრისხანე მეტოქეს ოდენ პირველ პერიოდში გაუწიეს ღირსეული წინააღმდეგობა. მეოთხედის უკანასკნელ წამზე, **ირაკლი ჭოჭუამ** 3-ქულიანი ისროლა და მეორე მეოთხედისთვის ტაბლოზე 15:15 ენთო. სწორედ ამის შემდეგ ამოქმედდა იტალია სრული ძალით და დარჩენილი ნახევარი საათი, ფაქტობრივად, "ცალფარად" იქცა. უკანასკნელ 30 წუთზე სალაპარაკოც ბევრი არაფერია. უბრალოდ, სტატისტიკას გადავხედოთ. იტალიასთან შეხვედრაში საქართველოს ნაკრებმა 49-დან 29 ორქულიანი და 20-დან 7 სამქულიანი ჩააგდო. შედარებით არა გვიშავდა საჯარიმოებში: 21-დან 15 ჯარიმა მოვათავსეთ კალათში. აპენინელები ფარზეც უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ. მათ 45-ჯერ მოხსნეს ბურთი, მაშინ, როცა საქართველოს ნაკრები მხოლოდ 15-ს (!) დასჯერდა...

აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს, ბულგარელებმა კარგი საჩუქარი გაგვიკეთეს - ლატვიელებს მოუგეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბოლო ტურის შედეგების მიუხედავად, ელიტაში დარჩენა უკვე განაღდებული გვქონდა.

საქართველო-ბულგარეთის პირველი მეოთხედი ცუდს არაფერს გვიქადდა. სასტარტო ჩამორჩენის შემდეგ, **შერმადინმა** და **ჭოჭუამ** 4:3 დაგვაწინაურეს და ამის შემდეგ, თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში, მეტოქე მდევრის როლში გვყავდა. მეორე პერიოდი 4 წუთის დაწყებული იყო, როცა პირველ მეოთხედში მოპოვებული 10-ქულიანი ფორიდან თითქმის აღარაფერი დაგვრჩა - 26:25, ხოლო დიდ შესვენებამდე ერთი წუთით ადრე, სლავებმა ქულით იქით გაგვისწრეს. მატჩის კულმინაცია დასკვნით ათწუთიან მონაკვეთში დადგა, ბოლო წამებზე კი ნამდვილი დრამა გათამაშდა...

...მატჩის დასრულებამდე 56 წამი რჩება. ბულგარელთა რიგებში აშკარად ყველაზე გამორჩეული **ივან ლილოვი** ორივე საჯარიმოს ზუსტად ტყორცნის და თანაგუნდელებს მინიმალური სხვაობით აწინაურებს - 74:73.

...13 წამით ადრე, **გიორგი გაფრინდაშვილიც** ორ საჯარიმოს აგდებს და კვლავ საქართველოს ნაკრებია წინ - 75:74.

...უკანასკნელ წამზე, **მიხეილ ბერიშვილი** ლილოვზე ჯარიმდება. იქვე, საფინალო სირენის ხმაც გაისმის, მაგრამ ლილოვმა ორი ჯარიმა უნდა ისროლოს. ახლა ჩვენი ბედი მთლიანად მის ხელშია და... ხდება ნამდვილი სასწაული. ლილოვი ორივე ჯარიმას აცილებს და გმირობის ნაცვლად, ხელთ ანტიგმირობა რჩება. საქართველოს ნაკრები კი იგებს და ევროპის ჩემპიონატის პირველ ეტაპს მეორე ადგილზე ამთავრებს!

აქვე, გადავხედოთ ჩვენი ნაკრების გუნდურ სტატისტიკასაც, რომელიც იტალიასთან მატჩისაგან განსხვავებით, საგრძნობლად გაუმჯობესებული იყო. ბულგარეთთან შეხვედრაში ჩავაგდეთ 39-დან 24 ორქულიანი, რაც მეტ-ნაკლებად ნორმალური მაჩვენებელია. თუმცა სამქულიანებში კვლავ მოვიკოჭლებდით: 19-დან მხოლოდ 4 ზუსტი სროლა. სლავებმა კი ყველაზე მეტად სწორედ სამქულიანებით გამოიჩინეს თავი. მათ 28-ჯერ ისროლეს პერიმეტრიდან და 16-ჯერ ჩაგვიგდეს. საჯარიმოთა მაჩვენებელი კი ნორმალური გვქონდა: 19-დან 15 და ფარზეც ვაჯობეთ მეტოქეს: 38 მოხსნა ბულგარელთა 32-ის საპირისპიროდ.

ამრიგად, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მინიმუმ ერთი წლით გაიხანგრძლივა ევროელიტის წევრობა და ახლა შეეცდება, მეორე წრეშიც წარმატებით ითამაშოს. ჩვენი გუნდი მეორე ეტაპზე 6-გუნდიან ჯგუფში მოხვდა. იქ იტალია და ბულგარეთიც გადმოგვყვებიან. ამ სამი გუნდის გარდა, წილისყრამ ესპანეთი, ისრაელი და ხორვატიაც გვარგუნა. მიუხედავად იმისა, რომ იტალია და ბულგარეთი ჩვენს ჯგუფში არიან, მათ აღარ ვეთამაშებით. სამაგიეროდ, პირველ ეტაპზე დაგროვილი ქულებიც თან მიგვყვება. ნახევარფინალში კი ორი საუკეთესო გუნდი გადის.

## მატჩის შემდეგ

**ბულგარეთთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელ დავით უსტიაშვილს დავუკავშირდით:**

- როგორც იცით, ევროპის ჩემპიონატისთვის არც ისე დიდი მოსამზადებელი დრო გვქონდა და აქაც ზედიზედ სამი დღე მოგვიწია თამაში, რაც დასვენების საშუალებას არ გვიტოვებდა. ამიტომ, მაქსიმალურად ვცდილობდით, ძალების თანაბრად გადაგვენაწილებინა. ლატვიასთან მატჩში გუნდის თამაშით ძალიან კმაყოფილი დავრჩი, იტალიასთან კი იმავეს მხოლოდ პირველ მეოთხედზე ვიტყოდი. ბულგარეთთან შეხვედრას რაც შეეხება, საკმაოდ დაძაბული და საინტერესო მატჩი გამოვიდა. ჩემი აზრით, ბოლო წამზე ჯარიმა არ უნდა დაენიშნათ... თუმცა სამართალმა იზეიმა და ლილოვმა ორივე ტყორცნა ააცილა. საერთო ჯამში, ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. გუნდის თითოეულმა წევრმა თავი დადო და ასე ჯიგრითა და ერთსულოვნებით მივაღწიეთ მიზანს. თავიდანვე ვამბობდით, რომ მთავარი ამოცანა ელიტაში დარჩენა იყო. ახლა კი, როცა მიზანი უკვე მიღწეულია და ფსიქოლოგიური ტვირთიც მოხსნილია, დარჩენილ თამაშებს მაქსიმალურად გამოვიყენებთ გამოცდილების მისაღებად. მეორე ეტაპზე საკმაოდ ძლიერ გუნდებთან მოგვიწევს თამაში, რაც გამოცდილების მიღების გარდა, შეცდომების გამოსასწორებლად და კლასის ასამაღლებლად ჩინებული საშუალება იქნება.

**კობა ხატისაშვილი**

**D ჯგუფი**

**7 ივლისი**

| | |
|---|---|
| ბულგარეთი-ლატვია | 96:89 |

**8 ივლისი**

| | |
|---|---|
| იტალია-ლატვია | 72:65 |

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. საქართველო | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. ბულგარეთი | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. ლატვია | 3 | 0 | 3 | 3 |

**II ჯგუფური ეტაპი**

E ჯგუფი: სლოვენია, სერბეთი, საფრანგეთი, რუსეთი, თურქეთი, საბერძნეთი.

F ჯგუფი: ესპანეთი, ისრაელი, ხორვატია, იტალია, საქართველო, ბულგარეთი

**საქართველოს ნაკრების მატჩები**

**10 ივლისი**

საქართველო-ისრაელი

**11 ივლისი**

საქართველო-ესპანეთი

**12 ივლისი**

საქართველო-ხორვატია

მეორე ეტაპზე ნაკრებებს საწყისი სამი მატჩის ქულები გადაჰყვებათ.

E და F ჯგუფებიდან ნახევარფინალში ორ-ორი საუკეთესო გავა.

ძიუდო

ევროპის ჩემპიონატი. ჭაბუკები

# პროგრესი ხარისხშიც და რაოდენობაშიც

## ჩემპიონი რეხვიაშვილი გახდა

მალტაში დამთავრებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენებურთა საბოლოო მონაგარი თითო ოქრო-ვერცხლი და 3 ბრინჯაოა. პირველ დღეს **ზვიად კაპანაძის** (60) მიერ მოპოვებული ვერცხლისა და **ოთარ კაიდარაშვილის** (50) ბრინჯაოს შესახებ ვწერდით, მომდევნო დღეების შედეგი კი ასეთია: **ზებედა რეხვიაშვილი** (66) ჩემპიონი გახდა, **გიორგი მემარნიშვილი** (73) და **ვაჟა დაბრუნდაშვილი** (+90) მესამეზე გავიდნენ.

ჭაბუკებმა კონტინენტის შარშანდელ პირველობაზე მოპოვებული 4-ბრინჯაოიანი მონაგარი წლეულს რაოდენობრივადაც გააუმჯობესეს და ხარისხობრივადაც. პროგრესი მართლაც დიდია და ეს მით უფრო სასიხარულოა გუნდის გადახალისების ფონზე. შარშანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ რეხვიაშვილია და ის სამართლიანად მიიჩნეოდა გუნდის ლიდერად. ის შარშან მეხუთეზე გავიდა და წლეულს გაცილებით მეტს გეგმავდა. მან ტურნირიც დიდი შემართებით დაიწყო და პირველსავე შეხვედრაში რუმინელი **ანდრიუს ტარკოლეა** ბეჭებით გააკრა ტატამს. მეორეში რუს **ელიმ კიტაევს** ბეჭი ვერ დაადებინა, მაგრამ მაინც არანაკლები დღე აყარა: კიდეც გააფრთხილებინა და თითო კოკა-იუკო-ვაზარიც აართვა. ამის შემდეგ შედარებით გაუჭირდა, თუმც მთავარი შედეგია და ოქრო მაინც ირგუნა: ავსტრიელ **ალექს ფრომოერს** იუკოთი აჯობა, იტალიელ **მასიმილიანო კაროლოს** ვაზარით გასცდა, ფინალში კი უკრაინელ **არტიომ ბულიგას** გაფრთხილებით აჯობა.

მემარნიშვილმა მალტაში 5 შეხვედრა ჩაატარა, აქედან 4 მოიგო და იმათშიც სამი წმინდად. პრაქტიკულად, ის ნახევარფინალში უპრობლემოდ გავიდა: რუმინელ **რავზან პოპას**, ლატვიელ **ევგენიუსს სულოჟევსს** და შვედ **რობინ პაჩეკს** სუფთად მოუგო და ნახევარფინალში გააღწია. მისთვის საბედისწერო სწორედ ეს ეტაპი აღმოჩნდა: მომავალ ჩემპიონთან, თურქ **თანჯუ სორლისთან** კოკათი წააგო და სანუგეშოს ფინალში გადაერთო. აქ კი, ასევე მინიმალური უპირატესობით, კოკათი თავად მოუგო რუს **კაზბეგ გაზგირეევს**.

მომავალ ჩემპიონთან, გერმანელ **ლევენტ ვაისთან** წააგო ვაჟა დაბრუნდაშვილმაც, ოღონდ პირველივე წრეში და ამანაც ერთადერთი კოკათი! მართლაც დასანანი მარცხია, რადგან მოგვიანებით, სანუგეშოში გადასული ერთობ იოლად გაუსწორდა მეტოქეებს: სამივე ბრძოლა სუფთად მოიგო. ბელარუს **ძიანიუს პარკამუკს** ორი ვაზარი აართვა, რუმინელი **ფლავიუს სმეუ** და ბრიტანელი **სამუელ ჰილი** კი იპონზე დააგდო, თუმცა მანამ ორივეს უფრო დაბალი რანგის გდებებიც გაუკეთა.

ბოლო დღეებში უმედლოდ ორი მონაწილე დაგვირჩა: **დავით მერაბიშვილი** (81) სანუგეშოშიც ვერ ჩაერთო, **გიორგი კობერიძე** (90) კი გადავიდა სანუგეშოში, მაგრამ პირველივე შეხვედრა წააგო.

ამ ნაკრებს, ივლისის ბოლოს, ბელგრადში, ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალიც ელოდება. სავარაუდოდ, ახლანდელი შემადგენლობა დიდად არ შეიცვლება. ისე, ერთგვარი ინტრიგაა: კონკურენცია უფრო იმ წონებში იყო, სადაც მედლები მოვიპოვეთ, და არა უმედლოდ დარჩენილებში. მოკლედ, დაველოდოთ მწვრთნელთა გადაწყვეტილებას.

**ირაკლი თავაძე**

ლეგიონერები

# სანიკიძის პირველი მატჩი სან ანტონიოში

ლასვეგასის საზაფხულო კემპის განაცხადებში ორი ქართველი ფიგურირებდა: **ვიქტორ სანიკიძე** და **ნიკა ცქიტიშვილი**. ვიქტორს "სან ანტონიოს" მაისურით 6 და 7 ივლისს უნდა ეთამაშა, ხოლო ნიკას "დენვერმა" ტურნირი დღეს გამთენიისას გახსნა.

საზაფხულო ლიგა "სან ანტონიო"-"ფილადელფიის" მატჩით დაიწყო. "სპურზის" განაცხადში მწვრთნელებმა ქართული გვარი კი ჩაწერეს, მაგრამ ვიქტორი მოედანზე არ გამოჩენილა. ეს მატჩი "ფილადელფია სიქსერზმა" მცირე სხვაობით მოიგო - 65:61.

მეორე დღეს, "სან ანტონიო" "კლივლენდს" დაუპირისპირდა და შეტევაში უარესი შედეგი აჩვენა - 53:63 დამარცხდა. თუმცა ასეთი ტიპის შეჯიბრებებში ანგარიში მეორეხარისხოვანია - მთავარია, რომელი კალათბურთელი როგორ წარმოაჩენს თავს...

"სპურზში" ვიქტორ სანიკიძის დებიუტ სწორედ "კლივლენდთან" შეხვედრაში შედგა. ის მოედანზე მეორე მეოთხედის დასაწყისში გამოჩნდა და თამაშში თამამად ჩაერთო. საბოლოოდ, სანიკიძემ მოედანზე 8 წუთი და 24 წამი გაატარა, შეხვედრა 4 მოხსნით, 2 ქულით, 2 ფოლითა და ამდენივე შეცდომით დაასრულა. "სან ანტონიოს" რიგებში ყველაზე მეტი, 12 ქულა **უაითმა** მიითვალა, ხოლო მატჩის სნაიპერი კლივლენდელი **რაისი** გახდა 19 ქულით.

ზედიზედ მეორე ნაგების შემდეგ, ტეხასურ პრესაში გაჩნდა მცირე სტატია, რომელშიც ჩამოთვლილია ოთხი კალათბურთელი - **ჯეკი ბატლერი, ჯეიმს უაითი, მარკუს უილიამსი, ვიქტორ სანიკიძე** და იქვე, ასეთი შენიშვნაა გაკეთებული: "სპურზში" ასეთი კალათბურთელები თამაშობენ, მაგრამ ზედიზედ მეორე მატჩია, გუნდი უფერულად გამოიყურებაო...

უილიამსისა და უაითისა ამერიკელებმა იკითხონ, ჩვენ კი სანიკიძეზე მოგახსენებთ. ის სან ანტონიოში თბილისიდან 29 ივნისს გაემგზავრა, სამი დღე ტეხასში ივარჯიშა, ხოლო საზაფხულო ლიგისთვის ლასვეგასში, გუნდთან ერთად, ტურნირამდე ორი დღით ადრე ჩავიდა. 5 ივლისს, ანუ "ფილადელფიასთან" მატჩის წინ, ვიქტორს ვარჯიშის დროს ფეხის კუნთი გაეჭიმა და "სპურზის" პირველი შეხვედრა ამიტომაც გამოტოვა.

"კლივლენდთან" მხოლოდ 8 წუთი რომ ითამაშა, ამის მიზეზიც ფეხის ტრავმაა, თუმცა, როგორც თავად იმედოვნებს, სიტუაცია უკეთესობისკენ მიდის და მატჩიდან მატჩამდე სათამაშო დროსაც გაუზრდიან. ჩვენც იმედი დავიტოვოთ, რომ წუთების მომატებასთან ერთად, ქულების რაოდენობაც მოიმატებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**სან ანტონიო-კლივლენდი 53:67**

16:15, 16:23, 10:15, 11:14

სან ანტონიო: უოტსონი (10 ქ), უაითი (12 ქ), უილიამსი (2 ქ), ჰარვი (8 მ), ბატლერი (8 ქ), სომერვილი (6 ქ), ლი (5 ქ), ჰარიაზი (2 ქ), გადსონი (5 ქ), სანიკიძე (8 წუთი, 2 ქულა, 4 მოხსნა, 2 ფოლი, 2 შეცდომა).

კლივლენდი: ბრაუნი (18 ქ), ტომპსონი (9 ქ. 9 მ), რაისი (19 ქ).

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 07:57 | ფოლი: 1 |
| 07:16 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 07:11 | ფოლი: 2 |
| 06:37 | შეცდომა: 1 (ბურთი დაკარგა) |
| 06:09 | სამქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 06:04 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (23:23) |
| 05:48 | მოხსნა: 2 (შეტ: 0, დაც: 2) |
| 05:24 | მოხსნა: 3 (შეტ: 1, დაც: 2) |
| 04:12 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 04:06 | მოხსნა (შეტ: 2, დაც: 2) |
| 03:31 | სანიკიძე გადსონმა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 03:22 | სანიკიძემ ლანგფორდი შეცვალა |
| 01:27 | სანიკიძე უაითმა შეცვალა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვადასხვა

ჩოგბურთი

### ჩახნაშვილი: კუნეოდან ბიელაში

საქართველოს პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** (147) კუნეოს საერთაშორისო ტურნირზე (50 ათასი დოლარი) გამოსვლა დაამთავრა. მაკამ უკეთ ერთი კვირის წინათ, პადოვის 25-ათასიან ტურნირში ითამაშა, სადაც შეჯიბრება მისი გამარჯვებით დასრულდა. მაგრამ არც კუნეო იყო წარუმატებელი, რადგან ჩახნაშვილმა წყვილთა თანრიგის ფინალში ითამაშა. ტურნირის ისტორიაში პირველად, ფინალი ღამით, ხელოვნურ განათებაზე ჩატარდა. მაკა უკრაინელ **იულია ბეიგელციმერთან** (136) ერთად მეოთხე ნომრად იყო განთესილი. ქართველსა და უკრაინელს ტურნირის მეორე ნომერი დუეტი (**დარია კუსტავა**, ბელარუსი, 196 და **ეკატერინა მაკაროვა**, რუსეთი, 179) დაუპირისპირდა. პირველი ორი სეტი ერთმანეთის მსგავსად წარიმართა, თუმცა საპირისპირო შედეგით დასრულდა - 2:2-ის შემდეგ ჯერ რუსმა და ბელარუსმა იმძლავრეს, შემდეგ კი ქართველმა და უკრაინელმა. გადამწყვეტი სეტი კი კუსტავასა და მაკაროვას სრული უპირატესობით წარიმართა, თითქოს ჩახნაშვილსა და ბეიგელციმერს ძალა გამოელიათ - 2:6, 6:2, 2:6.

მაკა ჩახნაშვილი უკვე ქალაქ ბიელაშია, სადაც 100-ათასიან ტურნირში მონაწილეობს. სამწუხაროდ, მას რეიტინგში სულ ცოტა დააკლდა ძირითად ბადეში მოსახვედრად. ორგანიზატორებმა ქართველი საკვალიფიკაციო ტურნირში პირველ ნომრად განთესეს. პირველ საკვალიფიკაციო წრეში მაკა ისვენებდა, მეორეში კი ის იტალიელ **ანდრეა ვაიდეანუს** (687) შეხვდება. 17 წლის ვაიდეანუ წარმოშობით რუმინელია. ის ახლახან გახდა იტალიის მოქალაქე.

### ნახევარფინალიც წარმატებაა

16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვასთვის** უიმბლდონის ახალგაზრდული ტურნირი დასრულებულია. ვფიქრობთ, ერთეულთა თანრიგის მერვედფინალსა და წყვილთა შორის ნახევარფინალში თამაში ქართველი ჩოგბურთელისთვის კარგი შედეგია. ერთეულებში ოქსანას წილისყრისას რომ გაუმართლებოდა, უფრო მეტსაც მიაღწევდა. მისმა მძლეველმა **ურსულა რადვანსკამ** ფინალამდე იოლად გააღწია და ტურნირიც დამსახურებულად მოიგო.

წყვილთა თანრიგში ოქსანა კალაშნიკოვა რუმინელ **ირინა ბეგუსთან** ერთად მეოთხე ნომრად იყო განთესილი. პირველ წრეში მათ უბრძოლველად მოუგეს (მეტოქეები არ გამოცხადდნენ) რუმინელ **სიმონა ჰალეპსა** და ჰოლანდიელ **არანჩა რუსს**. მეორე წრეში ქართველმა და რუმინელმა არგენტინელები - **ტატიანა ბუა** და **მალენა გორდო** დაამარცხეს - 6:3, 6:3. მეოთხედფინალში კი მერვე ნომრად განთესილი დუეტი - **ჯესიკა მური** (ავსტრალია) და **ინ ჟოუ** (ჩინეთი) დაჩაგრეს - 6:4, 6:4.

ნახევარფინალში ოქსანა კალაშნიკოვა და მისი მეწყვილე ტურნირის სენსაციად აღიარებულ იაპონურ დუეტს - **მასაკი დოისა** და **კურუმი ნარას** შეხვდნენ. ორ სეტში იაპონელებმა იმარჯვეს და ფინალში გავიდნენ - 3:6, 4:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

შვიდკაცა რაგბი. ევროპის ჩემპიონატი

### კარგად დაიწყეს, მაგრამ ცუდად გააგრძელეს...

მოსკოვში გამართულ შვიდკაცა რაგბის ევროპის სერიის ფინალურ ეტაპზე საქართველოს ნაკრებმა წარუმატებლად იასპარეზა და მხოლოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდა. ჩვენმა შვიდკაცელებმა ტურნირი საკმაოდ კარგად დაიწყეს და სტარტზე ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვეს. უკრაინელთა "მშრალი" ანგარიშით (31:0) დამარცხების შემდეგ, "ბორჯღალოსნებმა" ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტი იტალიაც დაამარცხეს - 24:12, რითაც, ფაქტობრივად, მთლიანად ტურნირის ფავორიტობაზე გააკეთეს განაცხადი... მაგრამ, სამწუხაროდ, ჯგუფურ ეტაპზე დარჩენილი 3 მატჩიდან ორში მარცხი იგემეს და ფლეი ოფს მიღმა დარჩნენ.

პირველი მარცხი ჩვენმა გუნდმა ესპანეთთან მატჩში განიცადა - 7:21. მერე ლიტვის გუნდი დავამარცხეთ 22:7. ბოლო, გადამწყვეტი შეხვედრა მოლდოვის ეროვნულ გუნდთან გვქონდა. გამარჯვებული ფლეი ოფის საგზურს ეუფლებოდა. ჩვენებმა შეხვედრა დიდი ანგარიშით 14:40 წააგეს, ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს და საბოლოოდ, მხოლოდ მეხუთე ადგილისთვის ნახევარფინალში გააღწიეს. პირველი პოზიცია მოლდოვამ, მეორე კი ესპანეთმა დაიკავა.

მეხუთე ადგილისთვის ნახევარფინალში საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთი მარცხი იგემა, ამჯერად, რუმინელებთან - 5:14. მეშვიდე ადგილისთვის მატჩში კი პოლონელთა ძლევა არ გაგვჭირვებია - 32:7.

ევროპის ჩემპიონის ტიტული, მუდმივი ჩემპიონისა პორტუგალიის ნაკრების არყოფნაში, მ...ნძლეებმა, რუსეთის შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა მოიპოვა. ფინალში მან საფრანგეთის ეროვნულ გუნდს სძლია - 35:10.

საქართველოს ნაკრები: **ვახტანგ ახვლედიანი, ირაკლი გეგენავა, ალექსანდრე ნიჟარაძე, გიორგი კალმახელიძე** (ყველა ყოჩები), **დავით ჩიტიძე, ლაშა ხმალაძე** (ორივე ლელო), **ლევან ხუხუნეიშვილი, დავით გურგენიძე** (ორივე აკადემია), **გიორგი კაჭარავა** (ვანი), **შალვა სუთიაშვილი** (ანდორა).

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

### საუკეთესო შედეგი კარიერაში

მონრეალში დასრულებულ მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე პლაჟბურთის ქართულმა წყვილმა **საქა-რთველომ** თავის კარიერაში საუკეთესო შედეგი აჩვენა. ჩვენმა ფრენბურთელებმა შეჯიბრების მეოთხე დღეს შვეიცარიელები, **კუჰნი** და **შვეერი** დაამარცხეს 2:0 (21:17, 21:18), მერე კი, მეოთხედფინალში გამსვლელ შეხვედრაში, ტურნირზე მეოთხე ნომრად განთესილ ბრაზილიელებთან, **ლეილასთან** და **ანა პაულასთან** დამარცხდნენ 0:2 (10:21,13:21).

საბოლოოდ, საქა-რთველომ მონრეალის ეტაპზე მე-9 ადგილი დაიკავა, რამაც რეიტინგში 240 ქულა მოუტანა, ხოლო ქისა 6 000 ამერიკული დოლარით შეუვსო.

**ბესიკ ჯანგავაძე**

სუმო

### ქართველთა ბრწყინვალე დღე

**ლევან ცაგურიამ** (კოკაი) იაპონიის ქალაქ ნაგოიას ბაშო წარმატებით დაიწყო. პირველ დღეს, მეცხრე მაეგაშირად ჩამოქვეითებულმა ქართველმა რიკიშიმ ძირს დასცა კორეელი **კასუგაო**. თავად ბაშოს კი სენსაციური დასაწყისი ჰქონდა: იმპერატორის თასის მფლობელ **ასაშორიუს** კომუსუბი ამინიშიკიმ აჯობა. დღეს კოკაის მეტოქე მეათე მაეგაშირა **ჰოკუტორიკია**.

გუშინ, ნაგოიაში ქართველებს ბრწყინვალე დღე ჰქონდათ: კოკაის მსგავსად, მოიგეს მესამე დივიზიონელებმაც, **ტოჩინოშინმა** (ლევან გორგაძე) **და** გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი). **ტოჩინოშინმა** კამბაიაში **დაამარცხა, ხოლო გაგამარუმ** შიბუიას **აჯობა**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ნაგოიას ბაშო**

8-22 ივლისი

I დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-კასუგაო 1:0 (იორიტაოში), ამინიშიკი-ასაშორიუ 1:0, ჰაკუჰო-ტოკიტენკუ 1:0, კაიო-კოტოშოგიკუ 1:0, ჩიოტაიკაი-ასასეკირიუ 1:0, დეჯიმა-კოტოოშუ 1:0, კოტომიცუკი-ვაკანოსატო 1:0, ამატაკეკაძე 1:0, როჰო-ტაკამისაკარი 1:0, ტოიონოშიმა-მიაბიამა 1:0, ჰომაშო-ტამანოშიმა 1:0, ტოჩიოძანი-კისენოსატო 1:0.

II დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-ჰოკუტორიკი, ჰაკუჰო-დეჯიმა, ასაშორიუ-ვაკანოსატო, ჩიოტაიკაი-ამინიშიკი, კოტოოშუ-ტოკიტენკუ, კაიო-ასასეკირიუ, კოტოშოგიკუ-ამა, კოტომიცუკი-ტაკეკაძე, როჰო-ტოიონოშიმა, მიაბიამა-ტაკამისაკარი, ტამანოშიმა-კისენოსატო, ჰომაშო-ტოჩიოძანი.

შავი ზღვის თამაშები 2007

# ქართული სპორტის რეზერვი საიმედოა!



ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა გუნდი

შავი ზღვის თამაშების ბოლო დღეს პროგრამა ნაწილობრივ შეიცვალა: ყველა შეჯიბრება საღამოს 5 საათამდე უნდა დასრულებულიყო, რადგან შემდეგ ორგანიზატორებს ოფიციალური დახურვა ჰქონდათ დაგეგმილი. დილაადრიან კი მძლეოსნებმა დაიწყეს შეჯიბრება. წინა საღამოს ამინდის შეცვლამ ღია ცისქვეშ მოასპარეზე სპორტის სახეობათა წარმომადგენლებსაც შეუცვალა ხასიათი, განსაკუთრებით, მძლეოსნებს. ჩვენი ათლეტებიდან **ენდრიკ ზილბერშტეინმა** და **სალომე რიგიშვილმა** იყოჩაღეს. წინა დღეს, როგორც ვწერდით, **ლუდვიგ ზილბერშტეინმა** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მისი ტყუპისცალი კი მეორე იყო 400 მ-ზე რბენაში, თუმცა ამ ახალციხელ სპორტსმენს შეეძლო, ჩემპიონობისთვისაც გამოეკრა ხელი, უახლოეს მდევარს ზედ ფინიშის ხაზთან რომ არ გადაესწრო...

ილბლიანად დაიწყეს ბოლო დღე თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა დარჩენილ ხუთ წონით კატეგორიაში. სიმართლე ითქვას, წილისყრაში ნამდვილად გაგვიმართლა: პირველი შეხვედრა ჩვენმა ხუთივე მოჭიდავემ მოიგო. მეორე წრეში ხუთეულს მხოლოდ **ვალერიან გზირიშვილი** (100) გამოაკლდა. ფინალში გავიდნენ: **თორნიკე ბურჯალიანი** (50), **თენგიზ ჩოჩიშვილი** (58) და **გიორგი ჩიტაშვილი** (85), მესამე ადგილისთვის ბრძოლა განაგრძო **რევაზ ჯანელიძემ** (69). ამ სპორტსმენს მოლდოველ **ბიგინ ვოლნაკთან** უნდა გაერკვია ურთიერთობა. მეტოქე ჩვენიანს მეტად გაუძალიანდა. გადამწყვეტი პერიოდის წინ ანგარიში 1:1 იყო. მესამე პერიოდში მოლდოველი კი აქტიურობდა, მაგრამ ჯანელიძემ შეხვედრის ბოლო წამებზე მაინც მოახერხა მომგებიანი ქულის აღება და საქართველოს კიდევ ერთი მედალი მოუტანა.

მერე დაიწყო ბრძოლები ჩემპიონობისთვის. ჩვენი სამეულიდან ხალიჩაზე პირველი **თორნიკე ბურჯალიანი** გავიდა. მისი მეტოქე რუსეთის წარმომადგენელი **სურენ ბუდაევი** გახლდათ. პირველი პერიოდი თორნიკემ 8:1 მოიგო, მეორე ბუდაევმა - 6:0. ბოლო პერიოდში ჩვენიანი ისევ დაწინაურდა, მაგრამ ბოლო 20 წამში მეტოქე წინ გაუშვა და ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა. ჩოჩიშვილიც "რუს" **თემურ ძანაევს** დაუპირისპირდა. აქაც ვიცე-ჩემპიონობა გვერგო. დარჩა ბოლო შანსი: საქართველოს დელეგაციის ალამდარი, ყვარლელი **გიორგი ჩიტაშვილი** რუსეთის სახელით მოასპარეზე **შამილ ზახმედოვს** ხვდებოდა. დაღესტნელმა სამივე პერიოდი უპირატესობით მოიგო. სამწუხაროა, რომ ბოლო დღეს ჩვენებს ოქროთი ტკბობა არ ეწერათ. ახლა კი შევაჯამოთ: თავისუფალ ჭიდაობაში მოპოვებულია ოქროს 1, ვერცხლისა და ბრინჯაოს 3-3 მედალი. გუნდურში კი მესამე ადგილი გვხვდა წილად, რუსეთისა და თურქეთის შემდეგ.

პატარა სასწაული მოახდინა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობის ბოლო დღეს **ქეთი ხატიაშვილმა**, რომელმაც მანამდე მოპოვებულ ბრინჯაოს ორ მედალს კიდევ სამი მიუმატა - სახტუნელათი, ლენტითა და რგოლით ვარჯიშში. ტაეკვანდოს ნაკრები კი სამშობლოში ბრინჯაოს 7 მედლით დაბრუნდა. მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ **ლევან პერტაია** (51) და **გიორგი სანაია** (63). ბოლოს, გუნდურ შეჯიბრებაში ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლეს მშვილდოსნებმაც. გუნდში გამოდიოდნენ: **ნათია ცინცაძე, სალომე თარაშვილი, ალისია ხალადნიუკი** და **ქეთი აზნაურიძე**.

მეხუთე ადგილით დაამთავრეს მრავალდღიანი, საერთო ჯამში, 550 კმ-იანი დისტანცია ჩვენმა ველომრბოლებმა. პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილზე გასვლის რეალური შანსი **ნოდარ ყვავაძეს** ჰქონდა, მაგრამ ბრინჯაოს მედლამდე მხოლოდ 6 წამი დააკლდა. 6 წამი 550 კილომეტრზე, ნამდვილად არაფერია, მაგრამ ჩვენს სპორტსმენებს არ აქვთ თანამედროვე ინვენტარი. ეს კი არა, ბოლო ეტაპზე, წვიმაში, ყველამ გამოცვალა ველოსიპედის თვლები, ჩვენები კი ამასაც მოკლებულები იყვნენ. არადა, გამარჯვებისკენ სწრაფვა ბოლომდე შევინარჩუნეთ და შეჯიბრების ორგანიზატორთაგან "ყველაზე აქტიური გუნდის" პრიზიც დავიმსახურეთ.

კალათბურთელები მე-8 ადგილზე გავიდნენ. ფეხბურთელებმა ამხანაგური მატჩი გამართეს უკრაინელ თანატოლებთან და უგოლო ფრეს დასჯერდნენ. ფრენბურთელებმა მე-8 ადგილისთვის მატჩი რუმინეთთან 0:3 წააგეს...

### დასკვნის მაგიერ

კვირას, დილიდანვე, თამაშების მონაწილენი ტრაბზონს გამოემშვიდობნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, იმ პირობების გათვალისწინებით, როგორშიც ქართველი სპორტსმენები არიან, შავი ზღვის თამაშები ჩვენთვის წარმატებულად და იმედისმომცემად შეიძლება ჩაითვალოს. ქართული სპორტის რეზერვი საიმედოა!

ახლა კი სტატისტიკას გადავხედოთ. შავი ზღვის პირველ თამაშებზე სულ 592 მედალი გათამაშდა. მონაწილე 11 ქვეყანას შორის საქართველო მეშვიდე ადგილზე გავიდა ოქროს 6, ვერცხლის 8 და ბრინჯაოს 20 მედლით. სულ, ჩვენმა ნორჩმა სპორტსმენებმა 34 მედალი მოიპოვეს. პირველ ადგილზე რუსები გავიდნენ - 86 ოქრო, 57 ვერცხლი და 31 ბრინჯაო; მეორეზე თურქები არიან - 39 ოქრო, 40 ვერცხლი და 41 ბრინჯაო; მესამე ადგილი უკრაინელებისაა - 21 ოქრო, 23 ვერცხლი და 12 ბრინჯაო. ამათ გარდა, ბერძნებმა, რუმინელებმა და აზერბაიჯანელებმაც გაგვისწრეს. ვაჯობეთ მხოლოდ ოთხ ქვეყანას - მოლდოვას, სომხეთს, ბულგარეთსა და ალბანეთს.

ქართული ყულაბა, ტრადიციულად, მოჭიდავეებმა შეავსეს: ანტიკური სტილით მოჭიდავეებმა 4 ოქრო (**გიორგი დავითაია, ზურაბ დათუნაშვილი, პაატა ბაკურიძე** და **ვასილ იმერლიშვილი**), 2 ვერცხლი (**როინ ძირკვაძე** და **ჯემალ ხარაბაძე**) და 3 ბრინჯაო (**თორნიკე ნაჭყებია, გიორგი ღვინიაშვილი** და **ბექა ჩოფლიანი**) მოიგეს. შედარებით მწირია თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მონაგარი: 1 ოქრო (**ზურაბ იაკობაშვილი**), 3 ვერცხლი (**თორნიკე ბურჯალიანი, თენგიზ ჩოჩიშვილი** და **გიორგი ჩიტაშვილი**) და 3 ბრინჯაო (**დავით გალეგაშვილი, რევაზ ჯანელიძე** და **ოთარ ურატაძე**).

ურიგოდ არ გამოსულან მძლეოსნებიც: 1 ოქრო (**გიორგი ბედოშვილი**), 3 ვერცხლი (**ნათია გელაშვილი, სალომე რიგიშვილი** და **ლიკა დვალიშვილი**) და 2 ბრინჯაო (**ენდრიკ ზილბერშტეინი** და **ლუდვიგ ზილბერშტეინი**). ერთბაშად შვიდი მედალი (**ნინო ბერიძე, მარიამ გულუაშვილი, ბექა უმიკაშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე, ლევან პერტია, უშანგი წულაია** და **გიორგი სანაია**) მოიგეს ჩვენმა ტაეკვონდოისტებმა, თუმც ყველა ბრინჯაოსი. ამას დაემატა 4 ბრინჯაო (ოთხივე **ქეთევან ხატიაშვილმა**) მხატვრულ ტანვარჯიშში და ერთი ბრინჯაოც მშვილდოსნობაში (გოგონათა ნაკრები).

**თათია ბურდული**

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

ტრაბზონი-თბილისი



ქეთი ხატიაშვილი



თორნიკე ბურჯალიანი



გიორგი ჩიტაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

ინტერვიუ ირაკლი კეკელიძესთან



ირაკლი კეკელიძე

# თელავში ევროთასებს ელიან

## რატი მსხვილიძეს ისლანდიელები გასინჯავენ

**საქართველოს 17-გზის ჩემპიონს, წლევანდელ სეზონში სტუ-"თელავად" გადანათლულ სტუ-"შევარდენს" გვარიანად გაუგრძელდა საწვრთნელი პროცესი. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი მაისში დასრულდა, მაგრამ თბილისურ-კახური კლუბი კვლავ სისტემატურად ვარჯიშობს. როგორც სტუ-"თელავის" თავკაცმა ირაკლი კეკელიძემ გვითხრა, საზაფხულო არდადეგები საკმაოდ ხანმოკლე იქნება და შეგირდებს ახალი სეზონისთვის მზადებას 1 აგვისტოდან დააწყებინებს...**

- ეროვნული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ხელბურთელები შვებულებაში ჯერ არ გაგვიშვია. ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ვვარჯიშობთ. რამდენიმე დღეში, გუნდს დასვენების საშუალებას მივცემთ, ოღონდ, არდადაგები ხანგრძლივი არ იქნება. 1 აგვისტოდან გუნდი ვარჯიშს განაახლებს და ახალი სეზონისთვის სამზადისს შეუდგება.

**- როგორც გავიგეთ, რატი მსხვილიძეს ტიტე კალანდაძისა და როლანდ ერაძის ისლანდიური კლუბი, "ტიარნანი" იწვევს. სხვა რა საკადრო ცვლილებებს უნდა ველოდოთ?**

- რატის ნამდვილად იწვევენ ისლანდიელები. თითქმის ყველა საბუთი მივილეთ, მალე ავიაბილეთებსაც გამოგზავნიან და ისლანდიაში გასინჯვაზეც წავა. "ტიარნანის" მწვრთნელები დააკვირდებიან და თუ მოეწონებათ, დაიტოვებენ. რაც შეეხებათ სხვა ხელბურთელებს, ალბათ, შემადგენლობაში ცვლილებები იქნება. თუმცა, ამ დროისთვის, არაფერია გარკვეული. ჯერჯერობით, არც არავინ გაგვიშვია და არც ვინმე დაგვიმატებია.

**- ახალი სეზონისთვის სად მოემზადებით?**

- არც ეს საკითხია საბოლოოდ გადაწყვეტილი. სავარაუდოდ, ჯერ თბილისში გავივლით ფიზმომზადების კურსს, მერე კი თელავში გადავინაცვლებთ, სადაც დღეში ორჯერ ბურთით ვივარჯიშებთ. ახალ სეზონში საშინაო თამაშების ჩატარებას თელავში ვაპირებთ.

**- ევროთასებზე რა გეგმები გაქვთ? ორივე მატჩს სტუმრად ითამაშებთ?**

- ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა დონის მეტოქე შეგვხვდება. წილისყრა თვის ბოლოს გაიმართება და ვნახოთ... თუკი ისეთ მეტოქეს შევხვდებით, რომლის დამარცხებაც რეალური იქნება, საშინაო მატჩს აქ ჩავატარებთ.

**კობა ხატისაშვილი**

ტალანტების ფესტივალი

# ნორვეგიული ზღაპარი ქართველებისთვის

**საქართველოს ჭაბუკ ხელბურთელთა შვიდკაციანი ნაკრები ნორვეგიიდან დაბრუნდა, სადაც ტრადიციულ "ტალანტების ფესტივალში" მიიღო მონაწილეობა. ჩვენი ხელბურთელები და მწვრთნელები, სკანდინავიიდან დადებითი ემოციებით დახუნძლულები ჩამოვიდნენ. ნორვეგიულ პერიპეტიებსა და შთაბეჭდილებებზე გუშინ გუნდის მწვრთნელებს, ვახტანგ ბერიაშვილსა და მამუკა მჟავანაძეს გავესაუბრეთ...**

### მამუკა მჟავანაძე

- როგორც იცით, საქართველოს ხელბურთის ასოციაციასა და ნორვეგიის ხელბურთის ფედერაციას შორის, გაფორმებულია თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელშიც წლეულს გათვალისწინებულია შვიდი პუნქტის შესრულება. აქედან, პირველი პუნქტი მაისში განხორციელდა, როდესაც მე და ჩემი კოლეგა ირაკლი კეკელიძე მწვრთნელთა სემინარებზე მიგვიწვიეს. "ტალანტების ფესტივალში" მონაწილეობა კი რიგით მეორე პუნქტი იყო. ფესტივალი ქალაქ ჰამარში ჩატარდა. ეს კემპის სტილის ქალაქია. ასეთი ღონისძიება იქ ტრადიციულია და წელიწადში ერთხელ იმართება ადგილობრივ ტურეს ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის ბაზაზე... საერთო ჯამში, ფესტივალზე თავი მოიყარა ნორვეგიის, დანიისა და საქართველოს 430-მა ნორჩმა ხელბურთელმა. აქედან, 400 გოგონა იყო, 30 ვაჟს შორის კი ჩვენი შვიდკაციანი გუნდიც გახლდათ. კემპი მიმდინარეობდა უნივერსალურ მანეჟში, სადაც მოწყობილი იყო 9 სტანდარტული სახელბურთო მოედანი. აღსანიშნავია, რომ ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიადის დროს, ციგურებით სირბილის ტურნირი ამ კომპლექსში ჩატარდა. ისე, მასპინძლებმა ლილეჰამერის ოლიმპიური კომპლექსიც დაგვათვალიერებინეს, რომელმაც ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა. ხომ ამდენი წელი გავიდა ოლიმპიადის შემდეგ და ახლაც კი უამრავი ტურისტი აკითხავს იქაურობას... ცოტა გადავუხვიე თემას და ისევ კემპს დავუბრუნდები. მასპინძელთა გადაწყვეტილებით, კემპის მონაწილეები პატარ-პატარა ჯგუფებად დაყვეს, ჯგუფების ხელმძღვანელებად კი ნორვეგიის ეროვნული ნაკრების ხელბურთელები დანიშნეს. რა თქმა უნდა, შეეძლოთ ადგილობრივი, ცნობილი მწვრთნელები დაესაქმებინათ, მაგრამ მათი თქმით, ბავშვებისთვის ეროვნული ნაკრების წევრებთან ყოფნა უფრო დიდი სტიმულია და ასეცაა. კემპი ხუთდღიანი იყო. ვარჯიშები დილის 9 საათზე იწყებოდა და საღამოს 4 საათამდე გრძელდებოდა, პატარ-პატარა შესვენებებით. ჯგუფების ხელმძღვანელები ბავშვებს მრავალფეროვან ვარჯიშებს უტარებდნენ სირბილში, ხტომაში, გამძლეობაში, კოორდინაციაში, აზროვნების განვითარებაში, მეკარეებთან თუ ბურთთან მიმართებაში, ცრუმოძრაობებში და ასე შემდეგ. სულ 40-მდე ვარჯიში ჰქონდათ, რომელსაც ყველა ჯგუფი მონაცვლეობით აკეთებდა... დილით, ვარჯიშის დაწყების წინ, ყველა მონაწილეს იბარებდნენ "ტურე მედიის" დარბაზში, სადაც ვიდეოთი აყურებინებდნენ წინა დღის ვარჯიშების მნიშვნელოვან და სახალისო მომენტებს... სხვათა შორის, ჩვენს ხელბურთელ გურამ დარსაველიძეს დაბადების დღე ჰქონდა და ეს რომ მასპინძლებმა გაიგეს, კემპის მონაწილე უამრავმა გოგონამ და ბიჭმა იუბილარს ცნობილი "ჰეფი ბერსდეიც" უმღერა, დარსაველიძე კი გაკვირვებული დარჩა... ჩავატარეთ ერთი ამხანაგური მატჩიც, რომელშიც მასპინძლები ერთბურთიანი სხვაობით დავამარცხეთ. არადა, თავიდან, ჩვენს გაუსაძლის პირობებს მიჩვეულმა ბავშვებმა, წებოიან ბურთს ალღო ვერ აუღეს და მისი დამორჩილება უჭირდათ. ამასთან, სავსე ტრიბუნების წინაშე თამაშიც მათთვის უჩვეულო მოვლენა იყო. თუმცა ნელ-ნელა დალაგდნენ, ალღო აუღეს თამაშს და მოიგეს კიდეც... საერთო ჯამში, ნორვეგიულმა კემპმა ჩვენს ჭაბუკებს მისცა ის, რაც საქართველოში ესოდენ სანატრელი აქვთ - ეზიარნენ დიდი ხელბურთის ელემენტებს, ისწავლეს დამოუკიდებლად ცხოვრება, გაიცნეს უცხოელი თანატოლები, გაიჩინეს მეგობრები... და რაც ყველაზე მთავარია, მასპინძლები დაარწმუნეს, რომ ნამდვილად ხელბურთელები არიან და არა ტურისტები. ისინი თუ არ სჯობდნენ ნორვეგიელებს, არც არაფერში ჩამოუვარდებოდნენ. იქაურებისგან განსხვავებით, ქართველი ბავშვები უფრო მალე ითვისებენ ყველაფერს. ერთი შეხედვაც საკმარისი იყო და უპრობლემოდ იმეორებდნენ ვარჯიშებს. ერთი ეგ არის, რომ ნორვეგიელები ცოტა კოორდინაციით სჯობდნენ ჩვენებს. ისიც იმიტომ, რომ იქ ბავშვები ხელბურთის თამაშს ჩვენზე უფრო ადრეულ ასაკში იწყებენ. მოკლედ, ნორვეგიული კემპი იყო ის, რაც ყველაზე მეტად აკლიათ ჩვენს ჭაბუკებს. სწორედ ამ ასაკში ჩერდება ხოლმე მათი ოსტატობის ზრდა, რადგან, სამწუხაროდ, საქართველოში არ აქვთ ის პირობები, რაც მათი უცხოელი თანატოლებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. მდგომარეობა თუ არ გამოვასწორეთ, ევროპას ვერასოდეს დავეწევით. ქართველი ბავშვისთვის ხელბურთი არ უნდა ასოცირდებოდეს ფანჯრებჩამტვრეულ, ჭუჭყიან დარბაზში ვარჯიშთან და თამაშთან. ჩვენი ჭაბუკები გადარეულები ჩამოვიდნენ ნორვეგიიდან, ეს რა ვნახეთო... "ტალანტების ფესტივალი" ჩემთვის და ვახტანგ ბერიაშვილისთვისაც სასარგებლო იყო იქაურ სპეციალისტებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით...



გვექნება ოდესმე ჩვენც ასეთი კომპლექსი?

### ვახტანგ ბერიაშვილი

- ნორვეგია რომ საათივით აწყობილი ქვეყანაა, ეს ყველამ იცის. იდეალურ წესრიგთან ერთად, განსაკუთრებით თვალშისაცემია ის, რომ იქაურთა სახეებზე შეკრულ შუბლს ვერ დაინახავ. ბედნიერად ცხოვრობს ხალხი, არც ფინანსური პრობლემა აქვთ და სპორტსაც მშვენივრად პატრონობენ. აღსანიშნავია, რომ კემპში მხოლოდ ერთი ორგანიზაცია არ ყოფილა ჩართული, მას უამრავი სპონსორი ჰყავდა. ყველა სპორტსმენს თავისი სკოლა, მშობელი და კერძო სპონსორი აფინანსებდა. მთლიანობაში, კემპის ორგანიზატორებმა ხუთ დღეში მილიონი კრონა დახარჯეს, რაც ჩვენს ფულზე 300 000 ლარის ტოლფასია. ნორვეგიული ხელბურთი საკმაოდ მაღალი დონისაა. ქალთა ხელბურთში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჰყავთ და კაცებშიც, პლანეტის საუკეთესო ათ ქვეყანას შორის შედიან... კემპის გარდა, მასპინძლებმა დაგვპატიჟეს უამრავ საინტერესო ღონისძიებაზე, ჩვენს ხელბურთელებს კი ეკიპირება აჩუქეს. მოხარული ვარ, რომ კემპზე ჩვენმა გუნდმა თავი არ შეირცხვინა. მასპინძლებმა პირად საუბარში გვითხრეს, რომ საქართველოსთან ხელშეკრულების გაფორმებით და ჩვენი ბავშვებით კმაყოფილები არიან - ფული, რომელსაც ჩვენს ქვეყნებს შორის განხორციელებულ პროექტებში ვხარჯავთ, ხელბურთისაა და აბსოლუტურად სწორად იხარჯებაო... კარგია ისიც, რომ გუნდის ნორვეგიაში წაყვანით, ჩვენს რეგიონებში ხელბურთის პოპულარიზაცია გაიზარდა. შვიდკაციანი გუნდი ისე დავაკომპლექტეთ, რომ ფაქტობრივად, ყველა რეგიონიდან გვყავდა წარმომადგენელი. მშობლებმა დაინახეს, რომ თუკი მათი შვილები აქ თავს გამოიჩენენ, უცხოეთშიც მიეცემათ ამის შანსი და ბევრმა გადაწყვიტა, ბავშვის ხელბურთზე შეყვანა. დასასრულ, ისიც ვთქვათ, რომ ამ ასაკის გუნდი, ოღონდ ამჯერად უკვე 16-კაციანი შემადგენლობით, კიდევ ერთხელ ეწვევა ნორვეგიას, სადაც შეკრებას გაივლის. ეს იქნება ან ახლა, აგვისტოში, ან მომავალი წლის გაზაფხულზე.



ქართველები მასპინძლებთან ერთად

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უიმბლდონი

# მოსალოდნელია როჯერი და ალაგ-ალაგ ვენუსი

**როჯერ ფედერერი** ეპოქალური მოთამაშეა, რომელიც გუშინ თავისი ეპოქის კიდევ ერთი რეკორდით წინა პლეადის ბობოლას, სკანდინავიელ მეფე ბიორნ ბორგს გაუტოლდა და ახლა ამ ზეშედეგის გაუმჯობესებას, ანუ უიმბლდონის ზედიზედ მეექვსედ მოგებას ეცდება. ფინალი მართლა ფინალი იყო და არა ისეთი სპექტაკლი, რომელიც ქალთა ერთეულების გადამწყვეტ მატჩში დაიდგა - როგორც პირველი, ასევე მეორე ხარისხოვანი როლის შემსრულებელი ვენუს უილიამსი იყო, მისი ფრანგი ოპონენტი მარიონ ბარტოლი კი მთელი მატჩის განმავლობაში ილიმებოდა, თითქოს ფინალში გასვლით მან მთელი ტურნირისა და კარიერის მაქსიმუმი შეასრულა. ალბათ, ასეც იყო.

## ფედერერი და ნადალი... ნადალი და ფედერერი...

იქამდე, სანამ შვეიცარიელი ფენომენი და ესპანელი უმაღლეს დონეზე სათამაშოდ აუცილებელ მოტივაციას არ დაკარგავენ, საჩოგბურთო სამყარო მათი იქნება. გუშინდელმა ფინალმა ერთხელაც დაგვანახა, რომ რაფა ერთი საფარის მოთამაშე აღარ არის, როჯერისთვის ჩოგნის ქნევაში მარჯვედ გაჯიბრება ბალახზეც ტოლსწორად შეუძლია. მას ყველაფერი წინ აქვს.

ფედერერი კი მეთოდურად იკვალავდა გზას ზედიზედ მეხუთე საუიმბლდონო ფინალისკენ, სადაც შვეიცარიელ მეჩოგნეს თავისი შარშანდელი ოპონენტისა და წელს ფრანგულ გრუნტზე მისი მძლეველის წინააღმდეგ უნდა ეცადა ძალა.

როჯერისა და რაფას წინა 12 ურთიერთჯახიდან შვეიცარიელს მხოლოდ 4 მოეგო, თუმცა პლუს-მინუსების დათვლის, სატოტალიზატორო კოეფიციენტების შეჯამებისა და კიდევ უამრავი ნიუანსის გათვალისწინების მიუხედავად, ფავორიტი მაინც ფედერერი იყო.

თამაშის სტილში გარკვეული და ბარე შესამჩნევი კონტრასტის მიუხედავად, მატჩი ფინალის შესაფერისი გამოდგა.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ფედერერი ბიორნ ბორგთან გატოლებას ენერგიის მინიმალური დახარჯვით ცდილობდა. როჯერი მხოლოდ მაშინ ავლენდა მაქსიმუმს, როდესაც ბრეიკ-პოინტის გადარჩენა, ან პირიქით, მეტოქის მოწოდებაზე იდენტური შანსის გამოყენება მართებდა. ამ შემთხვევებში ფედერერი კვლავ დაუნდობლად მუსრავდა და მიწასთან ასწორებდა ნადალს, სხვა მხრივ კი როჯერის ჩოგბურთში წუნი ბევრი იყო.

პირველი სეტის პირველივე გეიმზე მეტოქის მოწოდებაზე ფედერერმა 0:40 ჩამორჩენის შემდეგ, ანგარიშის გათანაბრება, მერე კი ნადალის დაბრეიკება მოახერხა. რაფა ორ გეიმში სტატუსკვოს აღდგენას ახერხებს, ბოლოს კი, გამარჯვებულის ვინაობა ტაი ბრეიკმა გაარკვია.

ფედერერი აქაც უკეთ იწყებს და ჯერ 5:2, შემდეგ კი 6:3 წინ გადის. 3 სეტ პოინტი ნადალმა 2 უძლიერესი ფორჰენდითა და ფედერერის უნებლიე შეცდომით გააბათილა, რის შემდეგაც 6:7-ზე კიდევ ერთის გადარჩენა შეძლო. თანაბარ ანგარიშზე უკვე ესპანელი აწვდიდა, თუმცა როჯერმა მიღებისას ბურთი პირენეელს ზედ ფეხებთან დაუსვა, რაფამ კი რეაგირება დააგვიანა და შვეიცარიელმა მეოთხე სეტ პოინტი გამოიყენა.

მეორე სეტში მეათე გეიმამდე ერთი ბრეიკ პოინტი რაა, ისიც არ ყოფილა, მერე კი, ალბათ, უფრო ფედერერმა მოითქვა სული, ვიდრე ნადალმა აჯობა შვეიცარიელს - 5:4-ზე რაფაელმა ჯერ ბადესთან მოხატა, მერე აბრაგანით ფედერერი გააქვავა, ბოლოს კი ბადესთან იშვიათი გასვლით მეტოქეს კიდევ ერთი უნებლიე შეცდომა დააშვებინა. სეტობრივი თანაფარდობა აღდგა.

მესამე სეტი და კვლავ ტაი ბრეიკი - ამჯერადაც ფედერერის უპირატესობა და პირველი სეტისგან განსხვავებით, შვეიცარიელს საკუთარი იალლიშების გამოსწორებაზე ჯანი აღარ დაუხარჯავს. როგორც დაიწყო მინიბრეიკით საჩოგბურთო ლატარია, ასევე ფედერერის გამარჯვებით დასრულდა.

ნადალმა ერთხელაც დააქუხა და მეოთხე სეტი მოიგო, თუმცა ისე ნუ გაგვიგებთ, თითქოს ესპანელს დისაიდერში მოგების შანსი არ ჰქონოდა.

პირიქით, 2:2-ზე როჯერი ორჯერ სულელურად პატიობს ნადალს კორტის მთლიანად გახსნას და ორივეჯერ უნებლიე შეცდომას უშვებს. შედეგად, ესპანელს ორი ბრეიკ პოინტი აქვს, რომელთაგან ერთსაც ვერ იყენებს, ერთი გეიმის მერე კი ფედერერმა ესპანელი კიდევ ერთხელ გატეხა და ცოტა ხანში ბადესთან გასულმა მეხუთედ ირგუნა ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირის მთავარკაცის ტიტული.

როჯერმა უიმბლდონი პირველად 2003-ში მოიგო, როდესაც ფინალში ავსტრალიელ **მარკ ფილიპუსისი** სამ სეტში დაამარცხა. ამის მერე ზედიზედ ორჯერ დაუხვენავი და ნიჭიერი იანკის, **ენდი როდიკის** შერცხვენის დრო დადგა, შარშან კი როჯერმა 6:0, 7:6, 6:7, 6:3 ნადალს აჯობა.

**ბიორნ ბორგს** უიმბლდონი 1976-80 წლებში აქვს მოგებული. ფინალებში ბიორნი (თანმიმდევრულად) **ილიე ნასტასეს**, ზედიზედ ორჯერ **ჯიმი კონორსს, როსკო ტენერსა** და **ჯონ მაკინროის** უგებდა. ბორგს 1981-შიც შეეძლო მთავარი პრიზის თავსზემოთ ალმართვა, მაგრამ ფინალში ოთხ სეტში მაკინროისთან დამარცხდა. სხვათა შორის, 1980 წლის ფინალი ბორგისა და მაკინროის მონაწილეობით 233 წუთით დღემდე ამ ტურნირს აღნიშნულ თანრიგში ყველაზე ხანგრძლივია. ფედერერისა და ნადალის უკანასკნელი ფინალი კი 225 წუთს გაგრძელდა.

## ვენერამ მაგრად იბალახა

**ვენუს უილიამსი** უიმბლდონზე 23-ე ნომრად კი განთესეს, მაგრამ შავ ბრგე დედაკაცს ეს განთესვის ნომერი წმინდა უიმბდონური ამბებით ერგო. ისე კი, ვენუსი ერთეულთა კლასიფიკაციაში მხოლოდ 31-ე ადგილზე იყო და ფინალში **მარიონ ბარტოლის** გალახვით ტურნირის ისტორიაში ყველაზე დაბალი განთესვის მქონე ტრიუმფატორიც გახდა.

თავის ბოლო ოთხ მატჩში უფროსმა უილიამსმა მხოლოდ 22 გეიმი დათმო და ეს მიუხედავად იმისა, რომ მას მეტოქეებად უიმბლდონის 2004 წლის ჩემპიონი **მარია შარაპოვა,** იმავე წლის ამერიკული სასლემოს ტრიუმფატორი **სვეტა კუზნეცოვა** და წლევანდელი საფრანგეთის ღია პირველობის ფინალისტი **ანა ივანოვიჩი** ჰყავდა.

ბარტოლიმ თავისი წილი სასწაული მანამდე მოახდინა, როდესაც ნახევარფინალში **ჟუსტინ ანენ-არდენი** პირველი სეტის 1:6 წაგების შემდეგ მიამსხვრია, მერე კი ფინალი უბრალო ფორმალობად იქცა.

ბარტოლი თავისას მაინც ცდილობდა და იითოეულ გათამაშებაში ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ ვენუსი იმ დღეს მსოფლიო ქალთა ჩოგბურთის დედოფალივით თამაშობდა და რა ბარტოლი, რის ბარტოლი, კორტის იქითა მხარეს ათი შარაპოვა რომ გაწოლილიყო, ტიტული მაინც ვენუსისა იქნებოდა.

შავი ვენერა, ანუ იგივე უილიამსი უიმბლდონის საერთეულო მთავარ პრიზს მეოთხედ დაეპატრონა, რითაც ელიტურ კომპანიაში შევიდა - ვენუსამდე აღნიშნული ტიტული მინიმუმ ოთხჯერ **ბილ ჯინ კინგმა (4), შტეფი გრაფმა (7)** და **მარტინა ნავრატილოვამ (9)** მოიგეს. კინგმა ასევე 1966-67 წლებშიც იმარჯვა, ანუ იქამდე იქნია ჩოგანი ჩემპიონურად, სანამ ჩოგბურთი ღია ერაში შეაბიჯებდა.

უილიამსმა კარიერაში მეექვსე სასლემო შეირგო და თუ ასე გააგრძელებს, იქნებ ორი-სამი ანალოგიური სუპერმოსალოდნელ-სენსაციური შედეგი კიდევ დააფიქსიროს.

ვენუსი და მისი და **სერენა** ჩოგბურთში დღესაც ყველაზე კოლორიტულ ქალებად რჩებიან. მერე რა, რომ შარაპოვას კაბა ვენუსისაზე ხუთჯერ მეტი ღირს, ან **ანა კურნიკოვა** კორტს გარეთ ერთი გაღიმებით უფრო მეტს შოულობს, ვიდრე ვენუსი კორტზე ოფლის ღვრით. ვერც მარია და ვერც მთელი სლავური ვარსკვლავთჯგრო ამ ორ ბუმბერაზთან ერთი ეისის მანძილზეც ვერ მივა.

უიმბლდონი ერთი მოსალოდნელი და მეორე სასურველი შედეგით დასრულდა.

ფედერერმა დომინაცია განავრცო, უილიამსმა კი თავის კლანსა და ქალთა ჩოგბურთის ელიტას პრესტიჟი შეუნარჩუნა. ნაღდად ვერ გეტყვით, რა იქნება შემდეგ სეზონში - იქნებ არც ნადალი იყოს ფინალისტი და არც ვენუსს შერჩეს ზედიზედ მეორედ გაჩემპიონების ენერგია, მაგრამ წლევანდელი უიმბლდონი რომ ულაპარაკოდ "შედგა", ყველასთვის "ასიანია".

ფედერერმა ბორგის რეკორდი გაიმეორა, ალბათ, ახალს დაამყარებს, ხოლო ვენუსმა კი ბილი ჯინ კინგს თუ გადაასწრო, ყველა მაგრად ვიხალისებთ.

აბა, მაგრად და მომავალ უიმბლდონამდე.

**ზურაბ თალაკვაძე**

| ფედერერი (1)– ნადალი (2) 7:6 (7, 56 წთ), 4:6 (40), 7:6 (3, 54), 2:6 (37), 6:2 (38) | | |
|---|---|---|
| 24 | ეისი | 1 |
| 3 | ორმაგი შეცდომა | 2 |
| 34 | უნებლიე შეცდომა | 24 |
| 65 | აქტიურად მოგებული ქულა | 50 |
| 8-ში 3 | გამოყენებული ბრეიკ-პოინტი | 11-ში 4 |
| 51-ში 30 | ბადესთან მოგებული ქულა | 26-ში 18 |
| 204 კმ/სთ | უსწრაფესი მოწოდება | 206 კმ/სთ |
| 156-ში 111 | I მოწოდება | 167-ში 118 |
| 111-ში 79 | მოგებული I მოწოდება | 118-ში 81 |
| 45-ში 28 | მოგებული II მოწოდება | 49-ში 28 |



**როჯერ ფედერერი უიმბლდონზე**

წელს: მატჩი - 6, ეისი - 86, ორმაგი შეცდომა - 6, ხუთსეტიანი მატჩი - 1, ოთხსეტიანი - 1, სამსეტიანი - 4, სულ სეტი - 21, გეიმი - 205.

კარიერა: 1999 - I წრე, 2000 - I წრე, 2001 - 1/4 ფინალი, 2002 - I წრე, 2003 - ჩემპიონი, 2004 - ჩემპიონი, 2005 - ჩემპიონი, 2006 - ჩემპიონი, 2007 - ჩემპიონი.



| ვენუს უილიამსი (23) – მარიონ ბარტოლი (18) 6:4 (45), 6:1 (45) | | |
|---|---|---|
| 1 | ეისი | 0 |
| 2 | ორმაგი შეცდომა | 5 |
| 12 | უნებლიე შეცდომა | 9 |
| 29 | აქტიურად მოგებული ქულა | 7 |
| 10-ში 4 | გამოყენებული ბრეიკ-პოინტი | 4-ში 1 |
| 17-ში 12 | ბადესთან მოგებული ქულა | 6-ში 3 |
| 192 კმ/სთ | უსწრაფესი მოწოდება | 168 კმ/სთ |
| 50-ში 35 | I მოწოდება | 63-ში 40 |
| 35-ში 27 | მოგებული I მოწოდება | 40-ში 24 |
| 15-ში 7 | მოგებული II მოწოდება | 23-ში 9 |

### კაცები

1/2 ფინალი: **როჯერ ფედერერი (1)** - რიშარ გასკე (12) 7:5, 6:3, 6:4; **რაფაელ ნადალი (2)** - ნოვაკ ჯოკოვიჩი (4) 3:6, 6:1, 4:1 (ჯოკოვიჩის ტრავმა).

ფინალი: **როჯერ ფედერერი (1)** - რაფაელ ნადალი (2) 7:6 (7), 4:6, 7:6 (3), 2:6, 6:2.

### ქალები

ფინალი: **ვენუს უილიამსი (1)** - მარიონ ბარტოლი (18) 6:4, 6:1.

### წყვილები

კაცები. ფინალი: **მიშელ ლოდრა/არნო კლემანი (10)** - ბობ ბრიანი/მაიკ ბრიანი (1) 6:7 (5), 6:3, 6:4, 6:4.

ქალები. ფინალი: **კარა ბლექი/ლიზელ ჰუბერი (2)** - კატარინა სრებოტნიკი/აი სუგიამა (4) 3:6, 6:3, 6:2.

შერეული წყვილები. ფინალი: **იონას ბიორკმანი/ალისია მოლიკი (5)** - ფაბრის სანტორო/სევერინ ბრემონი 6:3, 3:6, 6:3.

### იუნიორები

ვაჟები. ფინალი: **დონალდ იანგი (3)** - ვლადიმირ იგნატიჩი (1) 7:5, 6:1.

გოგონები: **ურსულა რადვანსკა (1)** - მედისონ ბრენგლი (7) 2:6, 6:3, 6:0.

### წყვილები

ვაჟები. ფინალი: **მატეო ტრევიზანი/დანიელ ლოპესი (7)** - ჯონი ჰამუი/დონალდ იანგი 6:3, 2:6, 10:4.

გოგონები: **ანასტასია პავლიუჩენკოვა/ურსულა რადვანსკა (1)** - ნიკოლა ჰოფმანოვა/სანდრა რომა 4:6, 6:4, 10:5.

## ფორმულა 1. ბრიტანეთის დიდი პრიზი

# რაიკონენი მადაზე მოვიდა




კიმი რაიკონენი

ბრიტანეთის დიდი პრიზისთვის ბილეთის შოვნა, რბოლამდე ორი თვით ადრე პრობლემური საკითხი იყო. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი ბრიტანელი პილოტი **ლუის ჰემილტონია**, რომელიც შინაურ ეტაპზე ლიდერის რანგში ჩავიდა. მას ჩემპიონის შესაფერისი დახვედრა მოუწყვეს და მისგან ბევრი "სილვერსტოუნზე" გამარჯვებასაც ელოდა, მაგრამ საზეიმოდ განწყობილი ალბიონელები ფინელმა **კიმი რაიკონენმა** პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა.

სწორედ რაიკონენია ის პილოტი, რომელმაც თავისი სისწრაფის, კარგად დაგეგმილი ტაქტიკისა და უბადლოდ მომზადებული მანქანის წყალობით, ზედიზედ მეორე, სულ კი ჩემპიონატში მესამე გამარჯვება მოიპოვა და კიდევ უფრო შეამცირა ჩამორჩენა ლიდერებთან.

სანამ უშუალოდ რბოლას შევეხებოდეთ, კულუარულ ამბებსაც მოვყვეთ. ჯერ ერთი, სანამ დიდი პრიზების ქარავანი საფრანგეთიდან ინგლისში გადაბარგდებოდა, ორ ლიდერ საჯინიბოს შორის სკანდალური ისტორია აგორდა. "ფერარი" და "მაკლარენი" ერთმანეთს საინჟინრო შპიონაჟში ადანაშაულებენ. ორივე გუნდმა თითო წამყვანი ინჟინერი დაითხოვა. იტალიური გუნდი ირწმუნება, რომ მისი საინჟინრო შტაბიდან საიდუმლო ტექნიკურმა ინფორმაციამ "მაკლარენის" შტაბამდე მიაღწია, რაშიც თავისი წამყვანი ინჟინერი **ნაიჯელ სტეპნი** დაადანაშაულა.

"მაკლარენი" ყოველივეს უარყოფს, თუმცა მაინც არსებობს იმის ალბათობა, რომ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ ინგლისურ გუნდს კონსტრუქტორთა პირველობაზე მთლიანად ჩამოაწეროს მოპოვებული ქულები. უფრო მეტიც, ინგლისური გუნდის შეფი **რონ დენისი** არც იმას გამორიცხავს, რომ ამ სკანდალს ჰემილტონისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ესპანელი **ფერნანდო ალონსოს** ქულებიც შეეწიროს. ამის გამო იყო, რომ კვალიფიკაციაში ჰემილტონის გამარჯვების შემდეგაც კი, დენისს დანა პირს არ უხსნიდა.

პოულის მფლობელი საკვალიფიკაციო სესიის ბოლო წამებზე გაირკვა - სწრაფი წრის გავლისას დაშვებული რამდენიმე შეცდომის მიუხედავად, ჰემილტონმა მაინც შეძლო რაიკონენის შევიწროება და მესამედ მოიპოვა რბოლის პოულიდან დაწყების უფლება (მეცხრე რბოლაში).

რბოლა საკმაოდ საინტერესო გამოდგა. პირველი ინციდენტი სტარტამდე რამდენიმე წამით ადრე მოხდა, როცა გასახურებელი წრის გავლის შემდეგ, რაიკონენის ბრაზილიელ თანაგუნდელ **ფელიპე მასას** ძრავი ჩაუქვრა. ამის გამო, პილოტებს კიდევ ერთ გასახურებელ წრეზე წასვლა მოუხდათ, მასამ კი ბოქსებში გადაინაცვლა და სტარტიც იქიდან აიღო.

სტარტი პოულის მფლობელმა მოიგო, ვისაც კვალში რაიკონენი ჩაუდგა. ამას კი უკან ალონსო გაჰყვა. კარგი სტარტი აიღო მასამაც, ვინც მთელი რბოლა უმაღლეს დონეზე ჩაატარა და წინდაწინ ვიტყვით, მეხუთე ადგილზე დაასრულა. ჰემილტონი ლიდერობას პირველ პიტსტოპამდე ინარჩუნებდა. ბოქსში კი ის მეტისმეტად ადრე, მე-15 წრეზე შევიდა. აშკარა გახდა, რომ ბრიტანელმა კვალიფიკაციაზე უპირატესობას შედარებით მსუბუქი მანქანის წყალობით მიაღწია.

ასეა თუ ისე, ნაადრევი პიტსტოპი მას ლიდერობის დაკარგვის ფასად დაუჯდა. ფინელმა ბოქსები ორი წრის დაგვიანებით მოიარა და იქიდან რომ დაბრუნდა, ბრიტანელის წინ იყო. თუმცა ლიდერობის დაბრუნება მაინც ვერ შეძლო - სამი წრის შემდეგ ბოქსებში ალონსოც შევიდა, რომელიც ტრასაზე დაბრუნების შემდეგაც ლიდერად დარჩა.

მართალია, ესპანელმა პირველი სტოპი დააგვიანა, მაგრამ ლიდერებიდან მეორე სტოპი პირველმა სწორედ მან განახორციელა და ეს ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა. მისი და რაიკონენის სტოპებს შორის განსხვავება 6 წრე იყო და ამან პრაქტიკულად გადაწყვიტა კიდეც რბოლის ბედი. ფინელმა პილოტმა მეორე პიტსტოპის შემდეგ დაიბრუნა ლიდერის პოზიცია და ის ფინიშამდე შეინარჩუნა. ის პირველი პილოტია, ვინც მიმდინარე ჩემპიონატში მესამე რბოლის მოგება შეძლო.

ჰემილტონი, ვის გამარჯვებასაც ტრიბუნაზე მისული დაახლოებით 150 000 მაყურებელი ელოდა, ამჯერად მესამე ადგილს დასჯერდა. თუმცა ესეც დიდი მიღწევაა - ახალბედა პილოტმა პირველივე სეზონის პირველი ცხრა რბოლის შემდეგ ამდენჯერვე შეძლო კვარცხლბეკზე ასვლა. მაგრამ მისთვის უბრალოდ კვარცხლბეკი უკვე ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ჰემილტონისგან ახლა უკვე ყველა გამარჯვებას ელოდა და მოითხოვდა კიდეც.

ნარბოლევს ბრიტანელმა აღნიშნა, რომ რამდენიმე სერიოზული შეცდომა დაუშვა, რამაც, საერთო ჯამში, მისი დამარცხება განაპირობა. *"ახლა ვხვდები, რომ მანქანა არასწორად მოვამზადე. მანქანის უკანა ნაწილი ფერნანდოსგან განსხვავებულად მოვამზადე, რასაც ჯერ კიდევ კვალიფიკაციაზე მივხვდი, მაგრამ რაიმეს გამოსწორება უკვე შეუძლებელი იყო. მერე კი პირველ პიტსტოპზეც შევცდი, რაზეც რამდენიმე წამი დავკარგე. მოკლედ, კარგი გაკვეთილი მივიღე. მთავარი კი ისაა, რომ ყოველივეს მიუხედავად, კვლავ კვარცხლბეკზე ავედი"*, - განაცხადა ჰემილტონმა, ვინც პირველი პიტსტოპის დროს, მანქანა დროზე ადრე დაძრა და ამის გამო რამდენიმე წამი დაკარგა. ისე, მასას სტარტი კვალიფიკაციაზე მოპოვებული ადგილიდან რომ აეღო, ბრიტანელი პილოტი პირველად დაასრულებდა რბოლას მოწინავე სამეულს მიღმა.

ალონსო მეორე ადგილს დასჯერდა, თუმცა ესეც საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ თანაგუნდელ ლიდერთან ჩამორჩენა 12 ქულამდე შეემცირებინა. ლიდერთან ჩამორჩენა რაიკონენმაც შეამცირა (18 ქულამდე), ვინც ამ მოგებით, პირად კლასიფიკაციაში მესამე ადგილი თანაგუნდელ მასას წაართვა.

მასასა და ჰემილტონს შორის, მეოთხე ადგილი მოიპოვა პოლონელმა **რობერტ კუბიცამ**, ვინც კანადური ავარიის შემდეგ, ამერიკული რბოლა კი გამოტოვა, მაგრამ მას შემდეგ, ზედიზედ ორჯერ, ფინიშს მეოთხემ მიაღწია. თანაც, ორივე შემთხვევაში, მასზე ბევრად გამოცდილი თანაგუნდელი, გერმანელი **ნიკ ჰაიდფელდი** ჩამოიტოვა.

■ ■ ■

სხვათა შორის, ბრიტანეთში "რენომ" ფორმულა ერთის ისტორიაში პირველი ტურბოძრავის გამოყენების 30 წლის იუბილე აღნიშნა. სწორედ ფრანგული კომპანიის ამ სიახლემ დაუდო სათავე ფორმულა ერთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ტურბოს ერას.

ბრიტანეთშივე, ბოლიდების უცნაური გარეგნობით გაგვაკვირვა "რედ ბულმა", რომლის ორივე მანქანა 30 000 ფანის ფოტოსურათით იყო აჭრელებული. ამ ერთჯერადი აქციის სანაცვლოდ კი გუნდის ბიუჯეტი სოლიდური თანხით შეივსო. საქმე ისაა, რომ გუნდი თავისი ვებგვერდის ვიზიტორებს ოცი დოლარის გადახდის სანაცვლოდ, ბრიტანეთის დიდი პრიზის დროს, თავის მანქანებზე მათი ფოტოების განთავსებას კისრულობდა. ჰოდა, ამ შეთავაზებას თურმე 30 000-ზე მეტი ფანი გამოხმაურებია!

**მერაბ ლორთქიფანიძე**

| სილვერსტოუნი (ბრიტანეთი). 308.355 კმ (5.141 კმ X 60 წრე) | |
|---|---|
| 1. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) | 1:21:43.074 |
| 2. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | +00:02.459 |
| 3. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | 00:39.373 |
| 4. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, ბემვე ზაუბერი) | 00:53.319 |
| 5. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) | 00:54.063 |
| 6. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, ბემვე-ზაუბერი) | 00:56.336 |
| 7. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, რენო) | 1 წრე |
| 8. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, რენო) | 1 წრე |
| 9. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ჰონდა) | 1 წრე |
| 10. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) | 1 წრე |
| 11. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, რედ ბულ-რენო) | 1 წრე |
| 12. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამს-ტოიოტა) | 1 წრე |
| 13. ალექსანდერ ვურცი (ავსტრია, უილიამს-ტოიოტა) | 1 წრე |
| 14. ტაკუმა სატო (იაპონია, სუპერ აგური-ჰონდა) | 2 წრე |
| 15. კრისტიან ალბერსი (ჰოლანდია, სპაიკერ-ფერარი) | 2 წრე |
| 16. ვიტანტონიო ლიუცი (იტალია, ტორო როსო-ფერარი) | 6 წრე |
| გ. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) | 16 წრე |
| გ. ენტონი დევიდსონი (ბრიტანეთი, სუპერ აგური-ჰონდა) | 24 წრე |
| გ. სკოტ სპიდი (აშშ, ტორო როსო-ფერარი) | 30 წრე |
| გ. რალფ შუმახერი (გერმანია, ტოიოტა) | 37 წრე |
| გ. ადრიან სუტილი (გერმანია, სპაიკერ-ფერარი) | 43 წრე |
| გ. მარკ უებერი (ავსტრალია, რედ ბულ-რენო) | 51 წრე |

*(შენიშვნა: გ - გამოეთიშა)*

*უსწრაფესი წრე: კიმი რაიკონენი - 1:20.638, მე-17 წრე.*

**პირადი კლასიფიკაცია**

1. ლუის ჰემილტონი 70 ქულა; 2. ფერნანდო ალონსო 58; 3. კიმი რაიკონენი 52; 4. ფელიპე მასა 51; 5. ნიკ ჰაიდფელდი 33; 6. რობერტ კუბიცა 22; 7. ჯანკარლო ფიზიკელა 17; 8. ჰეიკი კოვალაინენი 14; 9. ალექსანდერ ვურცი 8; 10. იარნო ტრული 7; 11. ნიკო როსბერგი 5; 12. დევიდ კულტჰარდი 4; 13. ტაკუმა სატო 4; 14. მარკ უებერი 2; 15. რალფ შუმახერი 2; 16. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) 1; 17. სებასტიან ფეტელი 1

**კონსტრუქტორთა პირველობა**

1. მაკლარენ-მერსედესი 128; 2. ფერარი 103; 3. BMW ზაუბერი 56; 4. რენო 31; 5. უილიამს-ტოიოტა 13; 6. ტოიოტა 9; 7. რედ ბულ-რენო 6; 8. სუპერ აგური-ჰონდა 4; 9. ჰონდა 1

## TV სპორტი

**9 ივლისი. ორშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 კოპა ამერიკა. 1/4 ფინალი. მექსიკა-პარაგვაი.
14:10 კოპა ამერიკა. 1/4 ფინალი. არგენტინა-პერუ.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. სელტა-არსენალი.
18:05 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ბაიერნი.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 კოპა ამერიკა. 1/4 ფინალი. მექსიკა-პარაგვაი.
22:05 კოპა ამერიკა. 1/4 ფინალი. არგენტინა-პერუ.
23:55 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
00:25 გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
08:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სეზონის მიმოხილვა.
09:00 კრივი. რინგ-საიდი.
10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გოიაში-პალმეირასი.
11:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ჰალე. გერმანია.
16:55 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
17:25 ცურვა. Fina-გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
19:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ბირმინგემი. ინგლისი.
20:35 ფეხბურთი. Barca TV. რონალდინიო.
21:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
22:00 სპორტკლუბი.
22:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:35 პროფესიული კრივი. მძიმე წონა. კელვინ ბროკი-ტიმურ იბრაჰიმოვი.
02:25 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გოიაში-პალმეირასი.
04:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.
05:55 ფეხბურთი. Barca TV. რონალდინიო.

**EUROSPORT**

10:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
11:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. პორტუ. პორტუგალია.
12:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-გამბია. კანადა.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-ს.კორეა. კანადა.
14:00 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ოთხთა ფინალი.
15:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. I ეტაპი (LIVE).
16:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. II ეტაპი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-ს.კორეა. კანადა.
20:30 მულტისპორტი.
21:00 სნუკერი. დიდების დარბაზი.
22:00 კიკბოქსინგი.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
01:00 სნუკერი. დიდების დარბაზი.
02:00 მულტისპორტი.
02:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. II ეტაპი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. ფლეი ოფი.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ახალი ზელანდია-მექსიკა. კანადა.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ოთხთა ფინალი.
17:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ახალი ზელანდია-მექსიკა. კანადა.
18:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. ფლეი ოფი.
19:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ტორონტო. კანადა.
20:00 ახალი ამბები.
20:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
21:00 მულტისპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. იტალია-იაპონია. იტალია.
23:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-ს.კორეა. კანადა.
00:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. ფლეი ოფი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. ფლეი ოფი.
02:45 ახალი ამბები.
03:30 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. ფლეი ოფი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჰოკეი**

## დეტროიტი ვარსკვლავებს უმიზნებს

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მიმდინარე სატრანსფერო ბაზარზე, "დეტროიტ რედ უინგზმა" უკვე სამი ფორვარდი დაკარგა - **რობერტ ლანგი, ტოდ ბერტუცი** და **კაილ კალდერი**.

აქედან გამომდინარე, კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **კენ ჰოლანდმა** განაცხადა, რომ "დეტროიტი" ორ-სამ მაღალი კლასის ჰოკეისტთან აპირებს კონტრაქტის გაფორმებას.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, კლუბის პოტენციური ახალწვეულები არიან რუსი **ალექსეი იაშინი**, შვედი **პეტერ ფორსბერგი** და კანადელი **ბრენდან შენეჰანი**.

იაშინი უკლუბოდაა დარჩენილი და მას "რედ უინგზი" წელიწადში 4 მილიონ დოლარს სთავაზობს, რაც შეეხებათ ფორსბერგსა და შენეჰანს, ამ ფორვარდების ტრანსფერი მათ კლუბებთან, შესაბამისად "ნეშვილსა" და "რეინჯერსთან" მოლაპარაკებებზე იქნება დამოკიდებული.

## ვანეკისთვის ბრძოლა ბაფალომ მოიგო

გასულ უიქ ენდზე დიდი ბრძოლა იყო გაჩაღებული ავსტრიელი ფორვარდის, **ტომაშ ვანეკის** ხელში ჩასაგდებად. ამ ჰოკეისტზე პრეტენზიას მისი ამჟამინდელი კლუბი "ბაფალო სეიბრზი" და "ედმონტონ ოილერზი" აცხადებდნენ.

თავდაპირველად, "ედმონტონმა" იაქტიურა და 23 წლის ფორვარდს სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. მხარეებმა წინასწარი შეთანხმებაც კი გააფორმეს, მაგრამ "ბაფალოს" ხელმძღვანელებმა ზუსტად ისეთი პირობები შესთავაზეს ვანეკს, როგორიც "ოილერზმა" და ჰოკეისტმა ძველ კლუბში დარჩენა ამჯობინა.

მაშ ასე, ვანეკი "სეიბრზში" კიდევ 7 წელი ითამაშებს და ამ დროის განმავლობაში 50 მილიონ დოლარს მიიღებს.

*"როცა ავსტრია დავტოვე, 14 წლის ვიყავი და მაშინ ვერც კი გავბედავდი 50-მილიონიან კონტრაქტზე ოცნებას. უბრალოდ, NHL-ში თამაში მინდოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ბედნიერი ვარ, რომ "ბაფალოში" დავრჩი"*, - განაცხადა ვანეკმა.

## ოტავას ახალი დამრიგებელი

მომავალ სეზონში სტენლის თასის წლევანდელ ფინალისტ "ოტავა სენატორზს" ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. როგორც იცით, ამ გუნდის წინა დამრიგებელმა **ბრაიან მიურეიმ** ივნისის დასაწყისში "სენატორების" გენერალური მენეჯერის ფუნქციები ჩაიბარა.

მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტური გახდა და მას გუშინ გამოუჩნდა მფლობელი. "ოტავას" დამრიგებელი გახდა მიურეის ყოფილი ასისტენტი **ჯონ პადოკი**. 53 წლის სპეციალისტი "სენატორზში" ორი წელიწადი მუშაობდა, მანამდე კი, "ოტავას" ფარმკლუბს წვრთნიდა, რომელიც AHL-ის ბინადარი გახლავთ.

სხვათა შორის, პადოკს NHL-ში დამოუკიდებლად მუშაობის გამოცდილებაც აქვს - ის 1991-95 წლებში "ვინიპეგ ჯეტსის" მთავარი მწვრთნელი იყო.

**კალათბურთი**

## სტეკჰაუსი დალასში დარჩა

ვეტერანმა კალათბურთელმა **ჯერი სტეკჰაუსმა** "დალას მავერიქსთან" ახალი, სამწლიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. ამ ხელშეკრულების თანახმად, სტეკჰაუსის წლიური ხელფასი, დაახლოებით 2 მილიონი დოლარი იქნება.

*"ეს შესანიშნავი ახალი ამბავია ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის. დალასი ჩემი მეორე სახლი გახდა"*,- განუცხადა კალათბურთელმა სააგენტო AP-ის.

აღსანიშნავია, რო 32 წლის სტეკჰაუსი, კარიერის მანძილზე პირველად გახდა თავისუფალი აგენტი. მას შეეძლო სხვა კლუბში ეცადა ბედი, მაგრამ "დალასში" დარჩენა ამჯობინა, სადაც არ ითვლება ძირითადი ხუთეულის წევრად.

## ხარებმა ნოჩიონი დაიტოვეს

არგენტინელი **ანდრეს ნოჩიონი** "ჩიკაგო ბულზში" რჩება. მხარეებმა ხუთწლიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმეს და გაზეთ Chicago Tribune-ის ცნობით, მომავალი ხუთი სეზონის განმავლობაში ნოჩიონი 38 მილიონ დოლარს მიიღებს. გარდა ამისა, ხელშეკრულებაში ჩადებულია კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივების პუნქტი. სავარაუდოდ, ახალი ხელშეკრულება 11 ივლისს გაფორმდება.

*"ბედნიერი ვარ "ჩიკაგოში" დაბრუნებით. ამ კონტრაქტზე მე და ჩემმა აგენტმა ბევრი ვიმუშავეთ"*, - აღნიშნა ნოჩიონიმ.

## შაკი შერიფი გახდება

შაბათს, "მაიამი ჰიტის" ცენტრალური თავდამსხმელი **შაკილ ო'ნილი** ტოქ-შოუ Regis and Kelly-ის პირდაპირ ეთერში იყო მიწვეული და იქ კალათბურთელმა მეტად საინტერესო განცხადება გააკეთა. შაკმა დაადასტურა, რომ სპორტიდან წასვლის შემდეგ, პოლიციაში აპირებს მუშაობას.

*"თითქმის გადაწყვეტილი მაქვს, რომ პოლიციაში ვიმუშავებ ორლანდოში ან ფორტლედერდეილში. ჩემი საბოლოო მიზანი კი მაიამის პოლიციის შეფობა გახლავთ"*, - აღნიშნა კალათბურთელმა, რომელიც წელიწადში 20 მილიონ დოლარს იღებს. დღეისათვის, შაკი მაიამის პოლიციის ერთ-ერთი განყოფილებაში ირიცხება, რადგან თავის დროზე წარმატებით გაიარა სპეციალური კურსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი

### სატიტულო ბრძოლები

# კლიჩკომ რევანში აიღო

**ვლადიმირ კლიჩკოსთვის ლეიმონ ბრიუსტერთან** შეხვედრას ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა - ერთი, რომ IBF-ისა (კრივის საერთაშორისო ფედერაცია) და IBO-ის (კრივის საერთაშორისო ორგანიზაცია) ტიტულები ჰქონდა დასაცავი, მეორეც - უკრაინელ ზემძიმეწონოსანს თავის კარიერაში პროფესიულ რინგზე ყველაზე მტკივნეული მარცხი სწორედ ბრიუსტერისგან ჰქონდა ნაგემი.

უკრაინელს რევანშის შანსი შაბათს მიეცა და ის ბრწყინვალედ გამოიყენა. ბრძოლა კიოლნში, კლიჩკოსთვის შინაურ რინგზე (გერმანელებიც მას თავისად თვლიან, რადგან რაც პროფესიონალია, გერმანიაში ვარჯიშობს) ჩატარდა და უკრაინელმა ის მეექვსე რაუნდში, ტექნიკური ნოკაუტით მოიგო.

*"ამ ბრძოლას სამი წელიწადი ველოდე. ლეიმონთან რემატჩს ჩემთვის უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა. ამჯერად წაგების უფლება აღარ მქონდა. უბრალოდ, იმდენად კარგად მოვემზადე, რომ წაგება არ შემეძლო. ლეიმონმა კარგად იბრძოლა, მაგრამ ამჯერად სისწრაფე აკლდა. ყოველთვის ვამჩნევდი, როცა ის მუშტს იქნევდა და მზად ვხვდებოდი. ამან კი საქმე გამიადვილა. გარდა ამისა, არც დაცვაში იყო ძველებურად მობილი ზებული"*, - განაცხადა ბრძოლის შემდეგ კლიჩკომ, ვინც მთელი ბრძოლის განმავლობაში, თავისი ცაცია ჯების მეშვეობით, მეტოქეს სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა.

თავიდან ისე ჩანდა, რომ ბრიუსტერი ჩემპიონის შეტევებს მედგრად ხვდებოდა, მაგრამ მეექვსე რაუნდში მან უკრაინელის კომბინაცია გაატარა, რამაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა. კლიჩკოს ორდარტყმიანმა (ცაცია-მარჯვენა) კომბინაციამ ამერიკელი იმდენად გატეხა, რომ მეშვიდე რაუნდის წინ, მისმა მწვრთნელმა **ბადი მაკგირტმა** რინგზე პირსახოცი გადმოაგდო.

*"ამჯერად ვლადიმირი შეუდარებელი იყო. რაც შემეძლო, ყველაფერი გავილე. მეგონა, ბრძოლისთვის კარგად მომზადებული ვიყავი, მაგრამ როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ იყო. ბადიმ მითხრა, რომ მეტისმეტად ბევრი მუშტი მომხვდა. მას ბრძოლის შეჩერება სურდა. მითხრა, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ სხვა გზა არ მაქვსო. მე კი მივუგე, როგორც საჭიროდ ჩათვალო, ისე მოიქეცი-მეთქი. რა თქმა უნდა, გარედან უფრო კარგად ჩანს შენი ჩხუბი. ბადი კარგად ხედავდა ჩემს პრობლემებს და მან ბრძოლის შეწყვეტა გადაწყვიტა"*, - განაცხადა ბრიუსტერმა, ვინც ბრძოლის წინ ხშირი წვერი ნულზე გაიპარსა.

სხვათა შორის, მაკგირტმა ბრიუსტერს ჯერ კიდევ ხუთი რაუნდის შემდეგ უთხრა, რომ თუ დაცვას არ მიხედავდა, ბრძოლის შეწყვეტას მოითხოვდა. მან კიდევ ერთი რაუნდი აცადა თავის შეგირდს და გადაწყვეტილება მაშინვე მიიღო, როგორც კი უკრაინელმა თავისი კომბინაციით დაბომბა პრეტენდენტი.

*"აშკარა იყო, რომ ბრძოლის სადავეები მთლიანად ვლადიმირის ხელში მოექცა. საქმეში რომ არ ჩავრეულიყავი, ლეიმონს ალბათ მოკლავდა. ყოველ შემთხვევაში, ის ამისთვის მზად იყო. ლეიმონს ერთი რაუნდი კი მივეცი, მაგრამ წინდაწინ ვიცოდი, რომ არაფერი შეიცვლებოდა. ჰოდა, რატომ უნდა დამეყენებინა მისი ჯანმრთელობა რისკის ქვეშ?"* - განაცხადა მაკგირტმა.

ბრიუსტერის თქმით, მას ბრძოლის გაგრძელება სურდა, მაგრამ მწვრთნელს ბოლომდე ენდო და მისთვის წინააღმდეგობა არც გაუწევია. *"ჩემზე კარგად ვინ იცოდა, რომ ძალიან მიჭირდა. კლიჩკო ყველანაირად მჯობდა. ის უფრო მანევრული იყო და თავისი ჯებით სრულად მაკონტროლებდა. ბრძოლა რომც გაგრძელებულიყო, მისი მომგები მაინც არ ვიყავი"*, - ამბობს ბრიუსტერი.

სხვათა შორის, მაკგირტმაც და კლიჩკოს მწვრთნელმა **ემანუელ სტიუარდმაც** აღიარეს, რომ მეშვიდე რაუნდში აუცილებლად ამერიკელის ნოკაუტით დასრულდებოდა.

შეგახსენებთ, რომ ამ ორი მოკრივის პირველი ბრძოლა 2004 წელს შედგა. მაშინაც პირველ ოთხ რაუნდში უკრაინელი დომინირებდა, რომელმაც მეოთხეში მეტოქეს ნოკდაუნი აგემა. ამერიკელი გონგმა იხსნა, რინგზე დაბრუნებულმა კი თავად აგემა უკრაინელს ნოკაუტი (ტექნიკური). ამ გამარჯვებით, ბრიუსტერმა კლიჩკოს WBO-ის ტიტული ჩამოართვა.



კლიჩკომ ცაცია ჯებით მაგრად იმუშავა

ამჯერად, ბრიუსტერმა სასწაული ვეღარ მოახდინა. როგორც ჩანს, მასზე ყველაზე უარყოფითად იმ ფაქტმა იმოქმედა, რომ ერთი წელია, არ ებრძოლა. კლიჩკომდე ბოლო ბრძოლა მან ბელარუს **სერგეი ლიახოვიჩთან** ჩაატარა და მარცხი იწვნია. იმ წაგების შემდეგ, მას მარცხენა თვალზე ოპერაცია დასჭირდა. კლიჩკოს კი ისე შეხვდა, მანამდე მოსათელი ბრძოლაც კი არ გაუმართავს.

უქმეობის ამ ერთმა წელიწადმა ბრიუსტერი აბსოლუტურად შეცვალა. ერთ დროს სამაგალითო აღნაგობის მოკრივე ზედმეტად გასუქებული ჩანდა. ეს მაშინ, როცა უკრაინელი მოკრივე ნამდვილი კუნთების გროვაა. ამის მიუხედავად, კლიჩკო თავის მეტოქეზე თითქმის 7 კილოთი მძიმე იყო (სულ დაახლოებით 111 კილოგრამი).

კიოლნის ბრძოლის შემდეგ, კლიჩკოს პროფესიულ კარიერაში 49 გამარჯვება (3 წაგება) დაუგროვდა, რომელთაგან 44-ში მან მეტოქეებს ნოკაუტი აგემა. ბრიუსტერის მაჩვენებელი გაცილებით მოკრძალებულია - 33-4, 29 ნოკაუტი.

*"ძალიან გამიკვირდა, როცა დავინახე, რომ რინგზე მაკგირტი ავიდა. მაგრამ ერთ რამეში მაინც არ შემპარვია ეჭვი - დღეს ჩემი მომგები არავინ იყო"*, - დაასკვნა... დაამთავრა... 

გუსულ უქმეებზევე, აშშ-ის შტატ კონექტიკუტის ქალაქ ბრიჯპორტში, ქვესაშუალო წონაში, კანადელმა **ჯოაკიმ ელსაინმა** ქულებით აჯობა ამერიკელ **ტრევის სიმს** და მას WBA-ის ტიტული ჩამოართვა. სიმსისთვის (25-1) ეს ტიტულის პირველი დაცვა იყო, ელსაინმა (29-0) კი ტიტულისთვის პირველად იბრძოლა.

ბრძოლა მეტად უინტერესო გამოდგა. ორივე მოკრივე კრივის ნაცვლად, ჭიდაობას უნდებოდა. რეფერიმ ორივეს თითო ქულა იმის გამო ჩამოართვა, რომ მათ ბრძოლის ჟინი გონგის შემდეგ ულვივდებოდათ. მეცხრე რაუნდში რეფერიმ ჩემპიონს საეჭვო ნოკდაუნი ჩაუთვალა. არადა, სიმსი ირწმუნებოდა, ფეხი გამიცურდაო. სხვათა შორის, 36 წლის კანადელისთვის ეს კარიერაში (სამოყვარულოშიც და პროფესიულშიც) პირველი ნოკდაუნი ყოფილა.

ამ ბრძოლის ანდერქარდზე, ფილიპინელმა **ნნიტო დონაირმა** (18-1) ნოკაუტით მოუგო სომეხ **ვიკ დარჩინიანს** და მას მწერის წონაში (52 კგ-მდე) IBF-ისა და IBO-ის ტიტულები ჩამოართვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ველოსპორტი

### ტურ დე ფრანსი

# კანჩელარამ ტურის პროლოგი მეორედ მოიგო

ლონდონის ქუჩებში, ორგანიზატორთა მონაცემებით, მილიონი მაყურებლის თვალწინ, სტარტი აიღო რიგით 94-ე ტურ დე ფრანსმა, რომელიც, ვარსკვლავების ნაკლებობის მიუხედავად, მაინც უზმარმაზარ ინტერესს იწვევს. როგორც ყოველთვის, ველომარათონი პროლოგით გაიხსნა და ის დროზე ინდივიდუალური რბოლების შვეიცარიელი სპეციალისტის, მსოფლიოს ჩემპიონ (დროზე რბოლაში) **ფაბიან კანჩელერას** (გუნდი CSC) გამარჯვებით დასრულდა.

*"ტურის პროლოგს მეორედ ვიგებ და გარწმუნებთ, ამჯერად უფრო ძლიერ ზეწოლას ვგრძნობდი, ვიდრე მაშინ, როცა არმსტრონგის წინააღმდეგ მიწევდა ასპარეზობა. ალბათ იმიტომ, რომ ჩემგან, როგორც მსოფლიო ჩემპიონისგან, ყველა უფრო მეტს ელოდა. ჰოდა, ბედნიერი ვარ, რომ მოლოდინი გავამართლე და კიდევ ერთხელ მოვირგე ლიდერის ყვითელი მაისურა. ლონდონში რომ ჩამოვფრინდი, ჰიტროუს აეროპორტში ბარგი დავკარგე. თუმცა, აქედან უფრო ძვირფასი რამით ვბრუნდები და ეს ლიდერის მაისურაა"*, - განაცხადა კანჩელარამ, ვინც პირველად ტურის პროლოგი 2004 წელს მოიგო.

26 წლის შვეიცარიელმა 13 წამით აჯობა "ასტანას" გერმანელ **ანდრეას კლოდენს**, ვინც შარშან ტური მესამე ადგილზე დაასრულა, ორი წლით ადრე კი, იმავე რბოლაში მხოლოდ **ლენს არმსტრონგთან** წააგო. თავისი შედეგით, კლოდენმა თავისი ამბიციები გამოავლინა და ყველას, მათ შორის, თავისი გუნდის ლიდერს, ყაზახ **ალექსანდრ ვინოკუროვსაც** დაანახა, რომ თუ შანსი ექნება, მის გამოყენებას არ მოერიდება.

პროლოგის მარშრუტმა სტარტი ტრაფალგარის სკვერში აიღო და ჰაიდ პარკის, ვესტმინსტერისა და ბუკინგემის სასახლეების გვერდით ჩაიარა. რბოლის



ფაბიან კანჩელარა

ლონდონური ნაწილის ორგანიზატორთა განცხადებით, ტურის პროლოგის სანახავად, ლონდონის ქუჩებში მილიონზე მეტი ადამიანი იყო გამოსული.

გუშინ კი ტურის პირველი ეტაპი ჩატარდა, რომელიც სპრინტერული ფინიშით დასრულდა. პელოტონმა სტარტი ისევ ლონდონში აიღო, რბოლა კი კენტერბერიში დასრულდა. საფინიშო სპურტის ქაოსით კარგად ისარგებლა ამ საქმეში გამოცდილმა ავსტრალიელმა **რობი მაკიუენმა** და სპრინტის ყველა ოსტატი უკან მოიტოვა. "პრედიქტორ-ლოტოს" ველომრბოლმა, ვისაც ტურის მწვანე მაისურა (საუკეთესო სპრინტერისთვის განკუთვნილი) სამჯერ აქვს მოპოვებული, სპურტში აჯობა ისეთ ძლიერ სპრინტერებს, როგორებიც არიან ბელგიელი **ტომ ბოონენი** და ნორვეგიელი **თორ ჰუსჰოვდი**.

აღსანიშნავია, რომ მაკიუენს ფინიშამდე 21 კილომეტრით ადრე ავარია მოუვიდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ წაქცევისას მუხლი და მაჯები დაუზიანდა, მაინც შეძლო რბოლის გაგრძელება. ბოლო სწორზე რომ გავიდა, 35 წლის სპრინტერი პელოტონის შუაგულში იმყოფებოდა, თუმცა ხელსაყრელ მომენტს დაელოდა, წინ მიმავალთა შორის დერეფანი იპოვნა და მისთვის ჩვეული აჩქარების წყალობით, პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

*"როცა დავეცი, გავიფიქრე, რომ შესაძლოა, ჩემთვის ტური პირველივე ეტაპზე დასრულდა. მაგრამ რბოლა მაინც გავაგრძელე, ახლა კი ჯერ ვერ დამიჯერებია, რომ ეს შევძელი. ეს გამარჯვება ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაა და მინდა, მათ მადლობა გადავუხადო. სწორედ მათი წყალობით შევძელი პელოტონში დაბრუნება"*, - განაცხადა მაკიუენმა, ვისაც ტურზე 12 გამარჯვება დაუგროვდა.

პირველი ეტაპის შემდეგ, ლიდერი არ შეცვლილა. სამაგიეროდ, მესამეზე ბრიტანელმა **დევიდ მილარმა** გადაინაცვლა, რომელმაც პროლოგი მე-13 ადგილზე კი დაასრულა, მაგრამ გუშინ რბოლის დიდი ნაწილი დაწინაურებულთა მცირე ჯგუფში გაატარა და მოპოვებული ბონუსების წყალობით, ლიდერთა შორის დამკვიდრდა.

სხვათა შორის, გუშინდელ ეტაპს ორ მილიონამდე მაყურებელი ადევნებდა თვალყურს.

დღეს ტური კონტინენტურ ევროპას უბრუნდება. მეორე ეტაპს სტარტი საფრანგეთის დიუნკერში მიეცემა და ბელგიის გენტში დასრულდება. პელოტონს იმ გზების გავლა მოუწევს, რომლებზეც ფლანდრიის ტურისა და გენტი-ვეველგემის კლასიკურების მონაწილენი ასპარეზობენ ხოლმე. ამ გზებზე ხშირია ავარიები და რბოლას ალბათ ჩრდილოეთის ზღვიდან მქროლავი ქარიც გაართულებს. რა თქმა უნდა, შინ გამარჯვებას ბოონენი ეცდება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### ტურ დე ფრანსი
### პროლოგი. ლონდონი (7.9 კმ)

1. ფაბიან კანჩელერა (შვეიცარია, CSC) 8.50 (53.7 კმ/სთ); 2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 0.13; 3. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 0.23; 4. ბრედლი უიგინსი (ბრიტანეთი, კოფიდისი) 0.23; 5. ვლადიმირ გუსევი (რუსეთი, დისქავერი ჩენელი) 0.25; 6. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.26; 7. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) 0.30; 8. თომას დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) 0.31; 9. მანუელ კინცანტო (იტალია, ლიკიგაზი) 0.32; 10. ბენუა ფოგრენარი (საფრანგეთი, ფრანსი დე ჟუ) 0.32...

### პირველი ეტაპი.
### ლონდონიდან კენტერბერიმდე (203 კმ)

1. რობი მაკიუენი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 4.39.01; 2. თორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) იგივე დროში; 3. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი); 4. სებასტიან შავანელი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ); 5. რომენ ფეილუ (საფრანგეთი, აგრიტუბელი); 6. რობერტ ფიორსტერი (გერმანია, გეროლშტაინერი); 7. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი); 8. მარკუს ბურგჰარდტი (გერმანია, T-მობილი); 9. ფრანსისკო ხოსე ვენტოსო ალბერდი (ესპანეთი, სონიე დოუვალ-პროდირი); 10. ტომას ვაიტკუსი (ლიტვა, დისქავერი ჩენელი) ყველა იგივე დროში...

### კლასიფიკაცია
### პირველი ეტაპის შემდეგ

1. ფაბიან კანჩელერა (შვეიცარია, CSC) 4.47.51; 2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 0.13; 3. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, სონიე დოუვალ-პროდირი) 0.21; 4. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 0.23; 5. ბრედლი უიგინსი (ბრიტანეთი, კოფიდისი) 0.23; 6. ვლადიმირ გუსევი (რუსეთი, დისქავერი ჩენელი) 0.25; 7. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.26; 8. თორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) 0.29; 9. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) 0.30; 10. თომას დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) 0.31...


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჭელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა